საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №11 (3052) პარასკევი, 15 იანვარი, 1999 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

ვიზიტი

მიზანი — ახალ ინვესტიციათა სტიმულირება

ბრძელდება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სამუშაო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ხუთშაბათს, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან შეხვედრათა დასრულების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გაემგზავრა ტეხასის შტატში, ქალაქ ჰიუსტონში, სადაც საპარლამენტო დელეგაციის მასპინძლები არიან ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ნავთობკომპანიათა ლიდერები.

ზოგიერთი მათგანი უკვე მუშაობს საქართველოში, მაგალითად „ფრონტერა რესორსი". ამ ნავთობკომპანიის მიერ კახეთში, კერძოდ დედოფლისწყაროში განხორციელებული პროექტი, სამკაოდ წარმატებულია და სერიოზული მოგება მოაქვს საქართველოს ბიუჯეტისათვის.

ამერიკელ ბიზნესმენებთან ზურაბ ჟვანიას შეხვედრის მიზანია ახალ ინვესტიციათა სტიმულირება, განსაკუთრებით, ნავთობწარმოების სფეროში, აგრეთვე, სხვა სფეროებში, მათი ჩართვა იმ რეგიონული პროექტების აღსრულებაში, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნისათვის. შეხვედრებისას ითქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევით ამერიკაში საქართველოს უკვე ჰყავს ძლიერი ლობისტი იმ კომპანიათა სახით, რომლებიც დიდ თანხებს აბანდებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

ხუთშაბათს ზურაბ ჟვანიამ ჰიუსტონის მერის მიწვევით დაათვალიერა ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი საზღვაო ნავსადგური და გაეცნო მის სტრუქტურას, რაც განსაკუთრებით აქტუალური და საინტერესოა საქართველოსათვის ფოთის პორტის რესტრუქტურიზაციისა და მისი ზოგიერთი სიმძლავრის პრივატიზების პროცესში.

პარლამენტის პრესსამსახური.

პრეზიდენტი

სავალუტო ფონდის მისიას საქართველო შესრულებული ვალდებულებებით დახვდება

იანვრის მეორე ნახევარში საქართველოში ჩამოდის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, რომელიც განიხილავს სტრუქტურული გარდაქმნების სამწლიანი პროგრამის მეორე ტრანშის გამოყოფის საკითხს. იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს პროგრამა და წლეულს რა ღონისძიებებია განსახორციელებელი მის ფარგლებში, იმსჯელეს 14 იანვარს საქართველოს პრეზიდენტთან გამართულ თათბირზე საქართველოს მთავრობის ეკონომიკური ბლოკის წარმომადგენლებმა.

თათბირზე დეტალურად განიხილეს პროგრამის შესრულების საკონტროლო მაჩვენებლები, რომელთა დიდი უმრავლესობა საქართველომ ამ ეტაპისათვის უკვე შეასრულა. იმ საკითხებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ შესრულების სტადიაშია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტის წლიური შემოსავლების ნარჩენების პრობლემის გადაწყვეტას, ლიცენზირების არსებული სისტემის მოწესრიგებას, სახელმწიფო სექტორის შესახებ სტატისტიკური მონაცემების დაზუსტებას, ჩათვლების პრაქტიკის დროულ ლიკვიდაციას... რაც შეეხება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც სავალდებულოა პროგრამის შესრულებისათვის, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი აქციზური მარკების შემოღებაა. როგორც თათბირზე ითქვა, მარკები უკვე მზად არის. მათ თბილისში 20 იანვრისათვის ჩამოიტანენ და რეალიზაცია უკვე სავალუტო ფონდის მისიის საქართველოში ყოფნის დროს გახდება შესაძლებელი. ის კი, თუ რამდენად გაამართლებს აქციზური მარკების პრაქტიკა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით, უმთავრესად შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების კეთილსინდისიერებასა და პროფესიონალიზმზე იქნება დამოკიდებული.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 10 იანვარი ქ. თბილისი

გ. გიგაურის და თ. ჭოხონელიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის" დამდგმელი მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი **გივი გიგაური** და სტუდია „მემატიანეს" რეჟისორი და ოპერატორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **თეიმურაზ ჭოხონელიძე** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 10 იანვარი ქ. თბილისი

ნ. სურგულაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

დარგის მუშაკთა სოციალურ-ეკონომიკური, შრომითი და სამართლებრივი ინტერესების დაცვაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ადგილობრივი მეურნეობის, საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა პროფესიული კავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ სურგულაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

მთა

ვინა სთქვა თუშთა დალევა?..

დიდება მთა-ბარის სალოცავთ, და მათი წყალობა ჩვენ, — ასე დაილოცა გუშინ, 1999 წლის 14 იანვარს ომალოში გია არსენიშვილი, პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში.

ომალოში ფეხი არ დაგვიდგამს, ისე ავურინდით კელავ. დართლოში გადავალთო. ხევ-ხუევებში გაეძერ-გამოეძერით და დიკლოში ამოვიჩნდით.

თოვლში ჩაკარგული თუშური სოფელია დიკლო, და რომ გგონია, აქ მთავრდება ადამიანის სამოსახლო, იქ, მაღლა, ძალიან მაღლა დაგანახებენ მთის მწვერვალზე გადმომდგარ კოშკებს: ორი სული იქ ცხოვრობს, ერთი ოჯახიაო, გეტყვიან. საქონელს უვლიანო.

ორი თვეა სტუმარი არ ჰყოლია დიკლოს, და ადამიანმა კი არა, ძაღლებმაც გაიხარეს, პატრონებს დაასწრეს გამოგებება და ისე გაგვეწვა ფეხებთან, ისე გაგველაქუცა ოქროსფერბეწვიანი უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი, რომელსაც რატომღაც ერქვა მურა, როგორც ფინია, ხოლო პატარა ცუგომ ხომ საერთოდ თავ-გზა დაკარგა, ციბრუტივით ტრიალებდა მისულებს შორის და აღარ იცოდა, რით გამოეხატა თავისი ემოციური მგზნებარება.

კომბალს ეყრდნობოდა და ისე ჩამოდიოდა გაუკვალავ თოვლის თეთრ ფერდობზე თეთრი მოხუცი რეზო ცაციკიძე, როგორც საბაოფი თეთრი ღრუბლებიდან.

15 წლის ბიჭი ამოსულა აქ და მას შემდეგ თუშეთი არ დაუტოვებია.

აქვე ვიტყვი: არ არის ღვთისგან მიტოვებული სოფელი დიკლო — ამ ზაფხულს უამრავი დამსვენებელი ამოსულა (უკვე ამოსულა), რეზო პაპა კი განათლებული და ნაკითხი კაცია, ქვეყანაში გამოხედული, სიტყვას ფლობს და ნათქვამი დაეჯერება.

არაფერი გვიჭირსო, — როგორც მთის კაცს შეჰფერის, ისე მიპასუხა რეზო პაპამ, მისალმების შემდეგ რომ შევეკითხე — როგორ ხართ, რასა იქმთ?

— როგორი პერიოდიდან შოედიართ, რა არ გადაგვიტანია, — განაგრძო, — მაგრამ გარბის ხალხი მთიდან — არაო, ჩვენ არ გვინდაო მთაში ყოფნა... ბიჭო, მთაა ყველაზე კარგი — წამალი რომ არა გქონდეს, თვითონ გიშველის, ბუნება, ხომ იცით, რა არი!.. ყველაფერი მოწამლულია ბარში, ხომ მოგეხსენებათ.

იხ. მე-2 გვ.

პრესა

დღეს საკუთარი ბუღალტრის კრიტიკა უფრო ძნელია, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტის

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ტრადიციულად აქცია წინასაახალწლოდ ჟურნალისტებთან, მასმედიის ხელმძღვანელებთან შეხვედრები. გამონაკლისი არც 1998 წელი ყოფილა, იმ განსხვავებით, რომ 30 დეკემბრის შეხვედრაზე ჭიქა შამპანურის ნაცვლად უპირველესი იყო სიტყვა.

მასმედიის ხელმძღვანელების პრეზიდენტთან შეხვედრისას საერთო ყურადღება მიიპყრო გაზეთ „ახალი საქართველოს" რედაქტორის ნოდარ გრიგალაშვილის გამოსვლამ, რომელშიც კონდენსირებულია მთელი რიგი მტკივნეული პრობლემები. მაგრამ ეს გამოსვლა საყურადღებო იყო იმ მხრივაც, თუ როგორ უხდება ცივილური ფორმა თუნდაც ძალიან მწვავე და კრიტიკულ პათოსს.

გთავაზობთ ნოდარ გრიგალაშვილის გამოსვლის სტენოგრაფიულ ჩანაწერს და საქართველოს პრეზიდენტისათვის ჩვეულ თბილი იუმორით შეზავებულ შემაჯამებელი სიტყვის ფრაგმენტს.

იხ. მე-3 გვ.

მაგისტრალი

გზა უნდა შეინახოს იმან, ვინც ამ გზით სარგებლობს

რიკოთის საუღელტეხილო საავტომობილო გვირაბით სარგებლობის საფასური დაწესდა 1994 წლის ნოემბრის თვეში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ამავე წლის 12 ნოემბრის № 1010 გ განკარგულებით. საფასურის დადგენას საფუძვლად დაედო საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ", აგრეთვე, მსოფლიოში ავტოსაგზაო მომსახურების სფეროში აღიარებული პრინციპი – „მომხმარებელი იხდის".

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

ლიტონი სიტყვები

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება სოხუმის სეპარატისტთა ლიდერის ვ. არძინბას განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც კერძოდ ნათქვამია: კონფლიქტში მონაწილე აფხაზური მხარის განცხადება იმის შესახებ, რომ 1999 წლიდან ცალმხრივი წესით დაიწყება ლტოლვილთა დაბრუნება გალის რაიონში, სხვა არაფერია, თუ არა ლიტონი სიტყვები და ფართო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მორიგი მცდელობა.

სრულიად ნათელია, რომ ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების პროცესის რეალურად განხორციელება შეუძლებელია ქართული მხარის უშუალო მონაწილეობისა და დაბრუნებულ ლტოლვილთა უსაფრთხოების მკაფიოდ ჩამოყალიბებული საერთაშორისო გარანტიების გარეშე, რის წინააღმდეგაც გამოდიოდა და გამოდის აფხაზური მხარე.

მზაკვრული გეგმა

გალის რაიონში გასული წლის მაისის ტრაგიკული მოვლენების განმეორების საშიშროებას ქმნის აფხაზთა ლიდერის ვლადისლავ არძინბას განცხადება, რომელიც 1 მარტიდან დევნილთა ცალმხრივი წესით დაბრუნებას ითვალისწინებს, – ნათქვამია ეუთო-ს პრეს-ცენტრის განცხადებაში.

მათი ინფორმაციით, დევნილთა დაბრუნების შემდეგ, აფხაზთა ხელისუფლება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებას აპირებს. პრეს-ცენტრს მიაჩნია, რომ არძინბას განცხადება რუსეთის გეგმის შემადგენელი ნაწილია.

დევნილი მოსახლეობა არ უნდა აჰყვეს პროვოკაციულ მოწოდებას, რომელიც მას მორიგ ტრაგიკულ შედეგებამდე მიიყვანს, — აღნიშნულია განცხადებაში.

ეუთო-ს მიაჩნია, რომ გალში და მთლიანად აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების ორი პირობა მაინც უნდა არსებობდეს: აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენა და ერთობლივი საოქმო გადაწყვეტილება დევნილთა დაბრუნების შესახებ.

პატივი მიაგეს ღვაწლმოსილი პიროვნების ხსოვნას

14 იანვარს გარდაბანში დაკრძალეს მაგარამ პასანოევი — ღვაწლმოსილი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე, კაცი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას. მაგარამ პასანოევი 50 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გარდაბნის მებოსტნეობას საბჭოთა მეურნეობას, მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ლირსების ორდენი. სიცოცხლის ბოლო წუთამდე იყო ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის წევრი.

მაგარამ პასანოევის ხსოვნისათვის პატივის მისაგებად გარდაბანში ჩავიდა და დაკრძალვას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

რუსეთი მხარს დაუჭერს საქართველოს გაწევრიანებას ევროსაბჭოში

რუსეთის დელეგაციასთან წინასწარი კონსულტაციების თანახმად, მოსკოვი მხარს დაუჭერს ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებას, — უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს ელჩმა რუსეთში მალხაზ კაკაბაძემ.

საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების საკითხი მიმდინარე წლის 27 იანვარს სტრასბურგში, აღნიშნული ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე განიხილება.

ადრე რუსეთი ევროსაბჭოში ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს ერთდროული გაწევრიანების მომხრე გამოდიოდა.

პენიტენციალური სისტემა იუსტიციის სამინისტროს უნდა დაექვემდებაროს

საქართველოს პენიტენციალური სისტემის შსს-დან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლა ევროსაბჭოს უპირველესი მოთხოვნაა, — უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს პარლამენტის პენიტენციალური სისტემისა და მსჯავრდებულთა საკითხების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ. მისი თქმით, ევროსაბჭოს რეკომენდაციით, პენიტენციალური სისტემის იუსტიციის სამინისტროში გადასვლა საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებამდე ან გაწევრიანებიდან 3 თვის შემდეგ უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო აღნიშნული ორგანიზაციიდან გაირიცხება.

ამასთან დაკავშირებით, მზადების პროცესშია კანონპროექტი „თავისუფლებააღკვეთილ პირთა სასჯელაღსრულების შესახებ", რომელიც ევროსაბჭოს რეკომენდაციებს ითვალისწინებს. კანონპროექტს საქართველოს პარლამენტი სავარაუდოდ მიმდინარე წლის მარტში განიხილავს.

იური სენკევიჩი მზად არის თბილისში ჩამოვიდეს

საქართველოს ელესიაზე ობიექტური ტელეგადაცემის მომზადების მიზნით, ცნობილი რუსი ტელეჟურნალისტი იური სენკევიჩი მზად არის თბილისში ჩამოვიდეს, — უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს ელჩმა რუსეთში მალხაზ კაკაბაძემ.

სენკევიჩის გადაწყვეტილება გამოწვეულია საქართველოს საელჩოში მისი ვიზიტით, სადაც ქართულმა მხარემ გაკვირვება გამოთქვა ჟურნალისტის მიერ გაკეთებულ გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც აფხაზეთში ქრისტიანობის განვითარებას ასახავს.

სენკევიჩთან შეხვედრამდე, შესაბამისი განცხადება ორტ-ს ხელმძღვანელს იგორ შაბდურასულოვს გადაეცა, — უთხრა პრაიმ-ნიუსს კაკაბაძემ. მისი თქმით, სენკევიჩი მზად არის საქართველოს პატრიარქსაც ეწვიოს.

ელექტრო-ენერგეტიკული საბითუმო ბაზარი

მიმდინარეობს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ფორმირება.

ამ დღეებში აირჩიეს მუდმივმოქმედი აღმასრულებელი საბჭო, იგი 12 წევრისაგან შედგება და ოთხი წლის განმავლობაში იმუშავებს. აქ გაერთიანდნენ საქენერგოს, საქენერგოგენერაციის და ელექტროგადაცემის პირველი პირები.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მუდმივმოქმედი აღმასრულებელი საბჭოს პირველ თავმჯდომარედ სახელმწიფო კომპანია ელექტროგადაცემის გენერალური დირექტორი ვაჟა მეტრეველი აირჩიეს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, გეამ.

მწვავე საკითხი

დაცვა გევალებოდეს და... აჩანაგებდე?!

ბუნებას გაუჭირდება, თუ მის ბედს კვლავაც ზოგიერთი გამგებელი განაგებს

ახალს, ალბათ, არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ დღეს ძალიან ხშირად აღებ-მიცემობის საგანი ხდება ქვეყნის დოვლათი, სინდისი, მოვალეობა. ბევრი თითქოს მოსწრებაზეა და ერთმანეთს ეჯიბრება, თუ ვინ მეტს წაგლეჯს და გემრიელ ლუკმას ჩამოაჭრის ისედაც დაუძლურებულ მამულს. ზოგმა ფულის კეთებისა ქართული ტყე გაიხადა.

იჩეხება და ჩანაგდება უამრავი ხე, იყიდება ღვთით ბოძებული მწვანე საფარი, თანაც ეს ხდება თბილისის გარშემო, სადაც ასე გვაკლია მცენარე, მაცოცხლებელი ჟანგბადი. ამის შესახებ სხვა დროსაც ბევრჯერ ჩამოგვიკრავს განგაშის ზარი. ამჯერად კი მკითხველის ყურადღება ბუნებისა და მოვალეობის ღალატის კიდევ ერთ შემაშფოთებელ ფაქტს მინდა მივაპყრო.

დავიწყებ იმით, რომ თბილისის სატყეო მეურნეობას 18 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს. აქედან, 10 ათასი ხელოვნურად არის გაშენებული. ადრე აქ ხრიოკი, უსიცოცხლო მიდამო იყო, რომლის გამწვანებას ათობით წელი და მილიონობით ნერგის გახარება დასჭირდა. როგორც ყველა ცოცხალ არსებას, ამ მცენარეებსაც თავისი წარმომავლობა, „ადგილის დედა" აქვთ. მათ სამშობლოს, სამოსახლოს, კოჯრის წარმტაცი ტყეების წიაღში რომ არის დავანებული, ლამაზი სახელი — სამადლო ჰქვია. აქ არის დიდი ხნის წინათ გაშენებული ჩვენი მეურნეობის სკოლა-სანერგე, რომლის „შთამომავლებმაც" აღმოაცენეს თბილისის ირგვლივ ხელოვნური ტყე.

იხ. მე-2 გვ.

თბილსრესი

კრიზისთან მებრძოლი იაკობი

მუნიციპალური ენერგოკომპანიები კორუფციის ბუდეა – აცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი

თბილსრესიდან რეპორტაჟის გაკეთება პირველად ამ ათიოდე წლის წინათ მომიხდა. იმ დროს ეს სადგურიც გამართულად მუშაობდა და ქვეყანაც უენერგოკრიზისოდ ცხოვრობდა.

ამ ათი წლის მანძილზე ქვეყანაში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. თბოელექტროსადგური კვლავ დგას, როგორც კორუფციასა და ენერგოკრიზისთან მებრძოლი იაკობი, თუმცა ამ ჭიდილში მაინცდამაინც დიდ წარმატებას ვერ აღწევს. საერთოდ კი, გვარიანად შელანძღულ მისასვლელ გზას თუ არ მიაქცევთ ყურადღებას, თესს გარეგნული იერი დღესაც არ შეუცვლია. იგი კვლავ რჩება ქვეყნის გიგანტურ საწარმოდ, რომელიც ყოველწლიურად ასეულობით მილიონი ლარის პროდუქციას აწარმოებს, მაგრამ სიდუხჭირეში უწევს ცხოვრება. აქ თვეობით ელიან ხელფასს.

იხ. მე-2 გვ.

ენერგეტიკა

რაც მოგივა დავითაო...

რეილის მონაწილეების მიმართ მეტად უდიერი დამოკიდებულება გამოამჟღავნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოლიას" პურის საცხობის დირექტორმა ი. მაჭარაძემ, რომელმაც მათ მიერ შედგენილ აქტზე ხელი შეგნებულად არ მოაწერა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ჯენტლმენურად მოიქცნენ და ობიექტს ამჯერად ცხობის ტექნოლოგიური პროცესი რომ არ დარღვეულიყო, დენის მიწოდება არ შეუწყვიტეს.

ხელმძღვანელის უდიერება კი იმაში გამოიხატა, რომ მან მათი ადრინდელი ვიზიტის დროს შემდგარი აქტის საფუძველზე მითითებული ნაკლოვანებები დროულად არ გამოასწორა. არადა მიცემული ორი კვირის ვადა კი ამისათვის საკმარისი იყო.

ახლა „თელასთან" ხელშეკრულების გაუფორმებლობა და ელექტროენერგიის მოხმარების თაობაზე ოფიციალური ნებართვის აუღებლობაზე პასუხი მან ენერგეტიკოსებს სასამართლოს საშუალებით უნდა გასცეს.

სწორედ ამაზეა ნათქვამი, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

უკანასკნელ საათს

გუშინ დაიწყო პრეზიდენტ ბილ კლინტონის საქმის სასამართლო მოსმენა აშშ კონგრესის სენატში. პრეზიდენტის განცხადებით, იგი ნაკლებ დროს უთმობს სენატის სხდომებს და უფრო სერიოზული პრობლემებით არის დაკავებული.

გუშინ ამერიკულმა ავიაციამ ამ კვირაში უკვე მეოთხედ მიიტანა იერიში ერაყის ჩრდილოეთში ქვეყნის საჰაერო თავდაცვის კომპლექსზე.

ფართო მასშტაბებს იღებს სკანდალი რუსეთსა და აშშ შორის ირანისათვის რუსეთის მიერ ბირთვული და სარაკეტო ტექნოლოგიების მიყიდვის საკითხზე.

ბრაზილიის ვალუტის მკვეთრმა დაცემამ მსოფლიო ახალი ფინანსური კრიზისის წინაშე დააყენა. ვარაუდობენ, რომ ამჯერად კრიზისი აშშ-საც შეეხება.

ფინანსები

ლარის კურსი

71653

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 15 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.4278 ლარი
გერმანული მარკა	1	1.2377 ლარი
აშშ დოლარი	1	2.0800 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3690 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0646 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0918 ლარი.

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით ზოგან წვიმა, მთაში თოვლი, დასავლეთის ქარი 5-10 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +3+8; დღისით +11+16.

მთაში: ღამით -2+3 დღისით +7+12.

მაღალ მთაში: ღამით -3-8; დღისით +1+6.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.

ბარში: ღამით -4+1; დღისით +6+11.

მთაში: ღამით: 0-5; დღისით +5+10.

მაღალ მთაში: ღამით -4-9; დღისით +2+7.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ჩრდილო დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.

ღამით -1+1; დღისით +9+11.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

საბაჟო

ბიუჯეტში შეიტანეს

გუშინდელი ოპერატიული ინფორმაციით, ადგილობრივი საბაჟო ორგანოებიდან ბიუჯეტში შეტანილია 4320,7 ათასი ლარი. დღის საბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 287,4 ათასი ლარი.

საბაჟო დეპარტამენტის ოპერატიულმა სამსახურმა გამოავლინა საბაჟო წესების დარღვევის ერთი ფაქტი. მოკვლევის პროცესში ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით მოქცეულია 20500 ლარი.

გაზეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

მთა

ვინა სთქვა თუშთა დალევა?..

(პირველი გვერდიდან)

მაშ რაღ უნდა ვწუწუნებდეთ? წუწუნით საქმე არ კეთდება. ამიტომაც ვშრომობთ.

მე რა მიჭირს, კაცო! ყველაფერი გავამზადე ზაფხულში და ახლა ჩვეულებრივ ვარ.

— ამ საქონელს მოვლა არ უნდა?

— აბა, თუ დავწვები, — ეცინება რეზო პაპას, — საქონელს ვინ მოუვლის. არა, არ მიჭირს არაფერი.

— თუ გასაჭირი არაფერია, სხვები რაღ არ ამოდიან?

— ცოტა გავზარმაცდით. აი, ამ ფუფუნებამ ძალიან გაგვრყვნა. საქართველოსთვის ყველამ ვალი უნდა მოვიხადოთ. ადრე არაფერი გვიჭირდა... ახლა იმიტომ გვიჭირს, რომ ვიღაცეებმა გავიტაც-გამოვიტაცეთ ყველაფერი. აი, შევარდნაძე რომ წავიდა, მოსკოვში რომ წავიდა, როგორი დაგვიტოვა, და რომ ჩამოვიდა რა დავახვედრეთ, ჰა? აი, ეგ უნდა დავფიქრდეთ... ერთი კაცი რას გააკეთებს, თუ გვერდში არ ამოვუდგებით არავინ?!

გვერდში უნდა ამოვუდგეთ ერთმანეთს ყველანი.

— თუ გახსოვეთ, ამ ოციოდ წლის წინათ შევარდნაძე რომ ამოვიდა თუშეთში, გზა გაიყვანეს, მშენებლობა დაიწყო...

— შევარდნაძე რომ არ ყოფილიყო, თუშეთს გზა არ ექნებოდა. ეგ ყველამ იცოდეს!..

თქვა ეს რეზო პაპამ და ახლა თვითონ იკითხა:

— ისე მაინც როგორაა მანდ საქმე? (ბარში, ანუ დედაქალაქშიო,. ამას ნიშნავდა).

— საქმე არის ასე, — უპასუხებს გია არსენიშვილი, პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში. — 8 მილიონი დოლარი მოხმარდება თუშეთს, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის ნაკრძალებს. ბევრი რამე გაუმჯობესდება... მაგრამ თუშეთმა თავისი ძველებური სახე უნდა შეინარჩუნოს, — ეს რაც ოქტომბრის მერე მოხდა. თუშეთთან დაკავშირებით ახლა მზადდება პრეზიდენტის განკარგულება. აქაც ბევრი საინტერესო საკითხია, იმის ნახევარიც რომ შესრულდეს, ეგეც საკმარისი იქნება. ჩვენ თქვენთან ერთად უნდა ვეცადოთ, რომ ამ გაჭირვებულ დროში თავი შევინარჩუნოთ, ქვეყანა შევინარჩუნოთ.

გაზაფხულზე ისევ გეწვევით. ვერ დაგპირდებით, ჩითებს ჩამოგიტან-მეთქი..

ორივე გულიანად იცინის.

— ჩითებს წყალი შესდის, — ცეცხლს უკიდებს რეზო პაპა...

— მე მინდა გითხრა, — ბეჭედს უსვამს დიალოგს ბერიკაცი, — აი, ჩვენ, ვინც აქა ვართ, შევარდნაძის ხალხი ვართ, და თუ მას მხარს არ დავუჭერთ, არ იქნება.

გიამ მადლობა გადაუხადა და აცნობა, რომ შევარდნაძეს მის შესახებ ელაპარაკა, რომ პრეზიდენტმა გაიხსენა ბატონი რეზო და დიდი მოკითხვაც დააბარა მასთან.

— დიდი მადლობა შევარდნაძეს და თქვენ. დიდი მადლობა, რომ თავის დროზე გვნახეთ. უდროოდ კი არა, კაცო. ეგ ზედმეტი არ გარგა: რომ მოხვიდეთ და წახვიდეთ, ამ თვითმფრინავსაც საწვავი უნდა, არა? ფული უნდა. ეკონომია უნდა გავწიოთ. ვიმუშაოთ და ეკონომია გავწიოთ. მუქთად არავინ გვინახავდა და არც ახლა არავინ შეგვინახავს.

ღმერთმა გამრავლოთ და გახაროთ! მთელი საქართველო, განა მარტო ჩვენ. აი, როგორც ვიყავით, ისე უნდა დავდგეთ ფეხზე. მოდი, ნუ დავიფანტებით. მაგასა გიხოვთ, რომ ყველა შევქუჩდეთ. მგელი ფარაში რომ შევარდება, ვერაფერს გამორჩება. ნოტო-ნოტო კი გაანადგურებს. შევერთდეთ, კაცო, რამ გაგვფანტა, შევიკრათ ჯგუფად, როგორც ადრე ვიყავით.

იდგა თოვლში ეს ბერიკაცი და ლოცავდა საქართველოს, ახალ წელს ულოცავდა ყველას და ერთადერთს გვეხვეწებოდა: ერთად იყავით, ნუ დაიფანტებით, მტერს ნუ გაახარებთო..

* * *

რამ აგვიყვანა გუშინ, 14 იანვარს ძველით ახალ წელიწადს თუშეთში, ამაზე ხვალ მოგითხრობთ. დღეს კი იმ დალოცვით დავამთავრებ, გია არსენიშვილმა სახელდახელო სუფრაზე რომ თქვა: დიდება მთა-ბარის სალოცავთ და მათი წყალობა ჩვენ!

არმაზ სანებლიძე,
„სრ" სპეც. კორ.

სურათებზე: სოფელი დიკლო; რეზო პაპა (პირველ გვერდზე); ვერტმფრენი — ერთადერთი ტრანსპორტი ზამთრის თუშეთში.

ბესიკ კეზერაშვილის ფოტო.

მწვავე საკითხი

დაცვა გევალებოდეს და... აჩანაგებდე?!

ბუნებას გაუჭირდება, თუ მის ბედს კვლავაც ზოგიერთი გამგებელი განაგებს

(პირველი გვერდიდან)

პოდა, ამდენი ჯაფით და წვალებით ნალოლიავები მწვანე საბადო, დედაქალაქის ტყეებისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი სიკეთის წყარო, უკვე ხუთი წელიწადია ურჩხულად ქცეული ადამიანების ტყვეობაშია. იქ ნერგი აღარ ხარობს. ეს ადგილიც, როგორც ბევრი რამ წმინდა და ხელიხელსაგოგმანებელი, სიხარბისა და ანგარების მსხვერპლი გახდა.

აღშფოთებას უფრო ის აძლიერებს, რომ ამ უკეთური საქმის მოთავეებად მოგვევლინნენ ის ადამიანები, რომელთა უპირველესი მოვალეობაა ტყის გამრავლება-დაცვა. მსჯელობაში მყავს გარდაბნის რაიონის გამგეობის ზოგიერთი თანამდებობის პირი და მათი მფარველნი.

ეს ამბავი იმ დროიდან იწყება, როცა კოჯრის საკრებულოს გამგებლად ჯუმბერ გოგოლიძე დანიშნეს. ამ თანამდებობაზე მოსვლისთანავე იგი მტრად გადაეკიდა ტყეს და მეტყევეებს. თითქმის ყოველდღე კონფლიქტურ სიტუაციებს გვიქმნიდა, იმის გაგონებაც არ სურდა, რომ ტყე სახელმწიფოს განსაკუთრებული დაცვის საგანია, რომ მისი ხელყოფა, გასხვისება მძიმე დანაშაულად ითვლება. როცა ამას შევახსენებდით, ღიზიანდებოდა. ჩვენ არც გვეკითხებოდა, თვითნებურად და ერთპიროვნულად წყვეტდა სატყეო მეურნეობის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. მისი ინტერესების განსაკუთრებული სფერო კი ჩვენი კუთვნილი ფართობების მითვისება-გასხვისება იყო.

ჯერ კიდევ 1992 წელს, კანონის უხეში დარღვევით, თბილისის სატყეო მეურნეობას ფაქტობრივად წაართვა მის ბალანსზე რიცხული კოჯრის კანტორის შენობა, სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობი (0,12 ჰექტარი) და მთელი ეს ავლადიდება ჩალისფასად მიართვა ამავე სატყეოს ყოფილ უფროსს გივი აბულაძეს.

ამავე პერიოდში გოგოლიძემ სამადლოს სკოლა-სანერგესაც დაადგა თვალი და მისი ჩამორთმევა განიზრახა, რათა შემდეგ „ლამაზი თვალების" გამო, ვინმე „გაჭირვებულისთვის" ებოძა.

მაშინ მთელი მეურნეობა ფეხზე დადგა, ენერგიული წინააღმდეგობა გავუწიეთ გამგებელს, მეტისმეტად გახმაურდა ეს საქმე და ამიტომ ვერ შეძლო ჩანაფიქრის აღსრულება. თუმცა სანერგეზე საბოლოოდ ხელი არ აუღია, მარცხით გაბოროტებულმა ჩვენს მიმართ ბოღმა და რევანშის აღების სურვილი სამომავლოდ გულში ჩაიდო. თანაც, პირი რომ არ გაეტეხა იმათთან, ვისაც შეჰპირდა მსუყე საჩუქარს, ურჩია: მიდით და დაიკავეთ მიწა, მერე რამდენიც უნდა, ილაპარაკონ მეტყევეებმა, ბოლოს საჩივლელად მაინც ჩემთან მოვლენო.

ასე ჩაიგდეს სამადლოელებმა გოგოლიძის ლოცვა-კურთხევით ჩვენი სანერგე, რომელიც სათიბად გადააქციეს. ეს მოხდა 1994 წელს. მას შემდეგ აქაური ნერგი აღარ შემატებია თბილისის ტყეებს, დაეცა შემოგარენის გამწვანების სამუშაოების ტემპი. ადრე თუ სამადლოს სანერგიდან სხვებსაც ვამარაგებდით მცენარეებით და ამით სოლიდურ შემოსავალსაც ვიღებდით, ახლა თვითონ გვექცა მათი შოვნა პრობლემად, სანერგის წართმევით მიღებული ზარალი ათიათასობით ლარია.

სად არ ვიჩივლეთ, ვის არ მივმართეთ, მაგრამ სამართალს ვერ მივაგენით, ყველა ჩვენი განცხადება საბოლოოდ რაიონის გამგეობაში, იქიდან კი კოჯრის საკრებულოში მიდიოდა. გოგოლიძემ პირნათლად შეასრულა მიწის მიმტაცებლებისათვის მიცემული პირობა. შემდეგ კი, როცა დააწინაურეს და გარდაბნის რაიონის მიწათმოწყობის უფროსად დანიშნეს (მგელს ცხვრის ფარა ჩააბარეს), ახლა უკვე გაზრდილი ძალაუფლებითა და იქაური ხელმძღვანელების მხარდაჭერით ფრთებშესხმულმა, კვლავ კანონის დარღვევით და ყალბი საბუთებით მიაღწია სანუკვარ საწადელს — მეტყევეებზე რევანში აიღო: გამგეობის დადგენილებით სკოლა-სანერგეს 1,5 ჰექტარი ფართობი ჩამოგვართვეს, რეფორმის ფონდში ჩარიცხეს და პირადი სარგებლობისთვის სამადლოსა და თბილისში მცხოვრებ პირებს გადასცეს.

ისმის კითხვა, რაღა მაინცა და მაინც სანერგეს დაადგა თვალი ან ვინ არის ის „გაჭირვებული", უმიწო და უსახლკარო ხალხი, ვისთვისაც ასე გამოიდო თავი გოგოლიძემ? ჯერ ერთი, მან კარგად იცის, რომ ნერგების გამოსაყვანად შერჩეული ფართობი უნიკალური ნიადაგობრივი თვისებებისაა, ძვირად ფასობს, თანაც ისეთ ადგილას მდებარეობს, უკეთესს ვერ ინატრებს ადამიანი. ვიდრე სამადლოს მწვანე საბადოს აღმოვაჩენდით, თბილისის მთელი შემოგარენი შემოვიარეთ, მისხალ-მისხალ, გულდასმით გამოვიკვლიეთ. ეს არის ერთადერთი და განუმეორებელი ადგილი, სადაც დედაქალაქის ტყეებისათვის საჭირო ყველაზე ჯანსაღი და ლამაზი ნერგი ხარობს, ამიტომ ასეთი მიწის სხვა მიზნით გამოყენება, მარტო ცოდვა კი არა, აუნაზღაურებელი დანაკლისია და დანაშაულიც კი არის.

გოგოლიძის მიერ ჩადენილ სიყალბესა და დანაშაულზე ცხადად მეტყველებს თუნდაც ერთი ფაქტი: მისი კარნახით შედგენილ აქტში წერია, თითქოს სანერგის ტერიტორია საჭირო იყო სოფელ სამადლოში მცხოვრებ მცირემიწიან ზუბიაშვილებისათვის, რაც თავიდან ბოლომდე აშკარა სიცრუე, მონაგონია და მხოლოდ ანგარებითი ჩანაფიქრის შესანიღბად არის შეთხზული. სამადლოში სულ ამ გვარის ოთხი ოჯახი (ძმები) ცხოვრობს, ისინი მამა-პაპით, შთამომავლობით მეარღნეები არიან, ფული ბლომად აქვთ და, ძველ პროფესიასთან ერთად, მიწის სიყვარულიც გაუჩნდათ. მთავარი მაინც ის არის, რომ ერთმა „გაჭირვებულმა, უმიწო" ზუბიაშვილმა უკვე კარგა ხანია გაყიდა თავისი საკარმიდამო ნაკვეთი ქალაქის მაცხოვრებელზე, რომელმაც იქ ააშენა ორსართულიანი სახლი, მეორე ძმამ სოფელ სამადლოში თვითნებურად დაიკავა საგზაოს კაპიტალური შენობა და მისი მიმდებარე ერთი ჰექტარი ფართობიც მიითვისა. მესამე ზუბიაშვილს ბეთანიაში აქვს სახლი და მიწის ნაკვეთიც. აი, ასეთ ხალხს მფარველობს გოგოლიძე და სწორედ მისი ხელშეწყობით მათ ჯერ ძალით მიიტაცეს სანერგე, შემდეგ კი გამგეობამ, როგორც მცირემიწიანებს, მიტაცებული დაუკანონა.

ახლა მთავარი: სახელმწიფო სატყეო ფონდის ფართობებიდან მიწის გაცემა კანონით ფაქტობრივად აკრძალულია, ამგვარი რამ მხოლოდ უკიდურეს, რაიმე განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თანაც ამისათვის სხვადასხვა მთავრობის ოფიციალური დადგენილებაა საჭირო. ეს ჩინებულად იციან ჯ. გოგოლიძემ და გარდაბნის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობამ, მაგრამ ამჯერად, კანონზე მეტად სხვა რამ — პირადი ინტერესები აღმოჩნდა უფრო ძლიერი. არც საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს შეთანხმებია ვინმე, არც მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია ჩაუყენებიათ საქმის კურსში. თვითონ გამოიტანეს დადგენილება სანერგის კუთვნილი 1,5 ჰექტარი ფართობის რეფორმის ფონდში ჩარიცხვისა და მეარღნეებსა და სხვებზე საკარმიდამო ნაკვეთებად განაწილების შესახებ.

მათ არათუ „რომელიღაც" დეპარტამენტი და კომისია, ქვეყნის პრეზიდენტის გაფრთხილებაც არაფრად ჩააგდეს. სწორედ პრეზიდენტის მითითებით, სანერგე ერთგვარ ხელშეუხებელ, „აკრძალულ ზონად" ითვლება, გამონაკლისის სახითაც კი დაუშვებელია მისი გასხვისება, სხვა მიზნით გამოყენება. ის კი არადა, კიდეც რომ ფლობდეს და არადანიშნულებისამებრ ხმარობდეს მას გარეშე ვინმე, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას და დაუბრუნდეს პირვანდელი ფუნქცია. ამას ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 თებერვლის № 166 ბრძანებულება „მიწის რეფორმის ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად არსებული ხარვეზებისა და დარღვევების გამოსწორების, მიწის რეფორმის დაჩქარებისა და მიწათსარგებლობაში სათანადო წესრიგის დამყარების შესახებ", რომელიც მმართველობის სამხარეო, საქალაქო და რაიონულ ორგანოებს ავალებს, სხვა მოსაგვარებელ საკითხებთან ერთად, უზრუნველყონ „სანერგე მეურნეობის მიწებიდან მოქმედი წესის დარღვევით რეფორმის ფონდში გამოყოფილი, ან უნებართვოდ დაკავებული ნაკვეთების ადრინდელი მოსარგებლისათვის დაბრუნება".

თითქოს დაუჯერებელია, თანამდებობის პირის ამგვარი თვითნებობა, თავგასულობა, კანონის აბუჩად აგდება, სამწუხაროდ, ეს ჩვენი მწარე სინამდვილის, გაუკუღმართებული ზნეობისა და მოვალეობის ღალატის კიდევ ერთი სავალალო ფაქტია. ცხადია, მარტო გოგოლიძე ასე ხელაღებით ამდენს ვერ გაბედავდა, მას რომ „ზევით" თანამზრახველები და მფარველები არ ეგულებოდეს.

ამიტომ გაგვიჭირდა ამდენ ხანს აშკარა დანაშაულის მხილება, სიმართლის დადგენა. ჩვენ ბოლომდე ფარ-ხმალი არ დაგვიყრია და ხუთწლიანი ბრძოლის შემდეგ მაინც მივაღწიეთ საწადელს.

ახლახან გარდაბნის რაიონის სასამართლომ დააკმაყოფილა თბილისის სატყეო მეურნეობის სარჩელი და კუთვნილი სანერგე კვლავ მეტყევეებს დაგვიბრუნდა. ალბათ, ამ გადაწყვეტილებას ლოგიკური გაგრძელებაც მოჰყვება — სათანადო პასუხს მოსთხოვენ მთავარ დამნაშავეს — ჯუმბერ გოგოლიძეს. ჩვენ, ჩვენის მხრივ, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღვძარით, მაგრამ, ალბათ, ქვემო ქართლის ხელმძღვანელობაც იტყვის თავის სათქმელს — მგელს ჩამოაშორებს ფარეხს, უღირს თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებისთვის საკადრის პასუხს მოსთხოვს.

შოთა მეფარიძე.

ასოციაცია 250-მდე ინვალიდ ბავშვს უვლის

ინვალიდ ბავშვთა სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის ასოციაცია მიმდინარე წლიდან მათთან აღრიცხვაზე მყოფი ბავშვებისთვის უფასო სამედიცინო მომსახურების პროგრამის განხორციელებას დაიწყებს. ასოციაციის პრეზიდენტის თამარ მაღლაკელიძის თქმით, ამჟამად აღრიცხვაზე 250-მდე ინვალიდი ბავშვი იმყოფება. პროგრამის ფარგლებში ყოფილ „ლეჩკომბინატში" ბავშვებს უფასოდ ჩაუტარდებათ დიაგნოსტიკა, მკურნალობა, გადაუდებელი ოპერაციები.

თბილისის საკრებულოში ქალთა კლუბი შეიქმნება

ქალთა კლუბის შექმნა გადაწყდა გუშინ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრისას თბილისის საკრებულოს მდივანთან ნანა დევდარიანთან.

შეხვედრაში მონაწილეობდა ქალთა 10 ორგანიზაცია.

კლუბს ნანა დევდარიანი უხელმძღვანელებს, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ქალთა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობას.

ქალთა ორგანიზაციებმა დღევანდელ შეხვედრაზე მხარი დაუჭირეს პარლამენტარ გურამ შარაძის მოთხოვნას, რომელიც საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში ეროვნების რეკვიზიტის აღდგენას ეხება.

აფხაზეთის მხატვართა შემოქმედება თბილისში

სურათების ეროვნულ გალერეაში აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა, სადაც თავიანთი შემოქმედება სხვადასხვა თაობისა და ხელწერის თხუთმეტამდე ხელოვანმა წარმოადგინა. აქ გამოფენილ ასამდე ფერწერულ, გრაფიკულ და ქანდაკებაში შესრულებულ ნამუშევრებს შორის, აღსანიშნავია ლადო ფოჩხუას, გიორგი შენგელიას, რამინ აფაქიძის, ზურაბ ჭელიას, ლერი ჭანტურიას და სხვათა ნამუშევრები.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: ბეამ, პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.

მაგისტრალი

გზა უნდა შეინახოს იმან, ვინც ამ გზით სარგებლობს

(პირველი გვერდიდან)

ფასიანი საავტომობილო გზით, გზის მონაკვეთით, ან საგზაო საინჟინრო ნაგებობებით (ხიდით, გვირაბით) სარგებლობის საფასური არ არის არც გადასახადი, არც მოსაკრებელი, ეს მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების საფასურის ანაზღაურებაა, რომელმაც ალტერნატიული უფასო გზით სარგებლობას არჩია უფრო კომფორტული, მოკლე და უსაფრთხო, მაგრამ ფასიანი გზით მგზავრობა.

ფასიანი გზით სარგებლობის საფასური, როგორც წესი, ფასიანი გზის მონაკვეთის, ან საგზაო ობიექტის (ამ შემთხვევაში საუღელტეხილო გვირაბის) მოვლა-შენახვის ხარჯების დაფარვის წყაროა.

საქართველოში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო 1991-1995 წლებში რიკოთის საუღელტეხილო საავტომობილო გვირაბის, ისევე, როგორც მთლიანად საავტომობილო გზების ქსელის მოვლა-შენახვის დაფინანსების მოცულობა კატასტროფულად შემცირდა და შეადგინა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხების არაუმეტეს 10-15 პროცენტისა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა 1993-1995 წლებში, როდესაც მწირი დაფინანსების პირობებში არ ხერხდებოდა ელემენტარული საექსპლუატაციო სამუშაოების განხორციელებაც კი, პარალიზებული იყო გვირაბის დაცვის სამსახური.

ამ წლებში გაიძარცვა და მწყობრიდან გამოვიდა გვირაბის ელექტრომეურნეობა, სავენტილაციო, სადრენაჟო, ხანძარქრობის, განათების, კავშირგაბმულობისა და სხვა სისტემები. იმატა გვირაბში წყლის მოდინებამ, სხვადასხვა ხარისხის დეფორმაციები განვითარდა გვირაბის კონსტრუქციულ ელემენტებში. მთლიანად აიყარა სავალი ნაწილი. შეუძლებელი გახდა გვირაბში ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფა.

უპირობოდ აუცილებელი გახდა გვირაბის ექსპლუატაციის პარალელურად გადაუდებელი აღდგენითი-სარემონტო სამუშაოების განხორციელება.

ამ საქმისათვის თავის დადგმა შესაძლებელი გახდა 1995 წლის ბოლოდან, როდესაც, ერთი მხრივ, ამოქმედდა გადაწყვეტილება გვირაბით სარგებლობის საფასურის დაწესების შესახებ და, მეორე მხრივ, ძალაში შევიდა კანონი „საგზაო ფონდის შესახებ".

1995-1998 წლებში აღვადგინეთ ელექტრომეურნეობა, ელექტროდანადგარებისა და სავენტილაციო სისტემები, დამთავრდა ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები, სადრენაჟო სისტემების აღდგენა-შეკეთება; აგრეთვე, — ავტონომიური სახანძრო ვენტილაცია; კავშირგაბმულობის სისტემები; დაზიანებული მზიდი კონსტრუქციების კაპიტალური შეკეთება, თავიდან დაიფარა სავალი ნაწილი.

გვირაბით სარგებლობის საფასურით მიღებულმა შემოსავალმა 1994-1998 წლებში შეადგინა 1,027.000 ლარი. 1994 წელს საგადამხდელო პუნქტმა იმუშავა მხოლოდ 20 დღე — 22 ნოემბრიდან 12 დეკემბრამდე, ხოლო 1996 წელს მხოლოდ 49 დღე — იანვრის 18 დღე და დეკემბერი მთლიანად, 1997-1998 წლების ზაფხულის პერიოდში გვირაბით სარგებლობის საფასურის აკრეფა არ ხდებოდა გვირაბში სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის გამო.

ეს თანხა მთლიანად მიიმართა აღდგენითი სამუშაოების დასაფინანსებლად. სხვაობა 401192 ლარი დაიფარა საგზაო ფონდის შემოსავლებიდან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გვირაბით სარგებლობის საფასურის აკრეფას თან ახლავს სერიოზული სირთულეები: მოქალაქეების მიერ საფასურის გადახდისათვის თავის არიდების მცდელობა, საგადამხდელო პუნქტის მუშაკთა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა, საგადამხდელო პუნქტის მოწყობილობის დაზიანება. იყო შემთხვევები ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისაც კი, თუმცა, საბედნიეროდ, ამას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

როგორც სტატისტიკა მეტყველებს, მოძრაობის მონაწილეთა არანაკლებ 25 პროცენტისა თავს არიდებს გვირაბით სარგებლობის საფასურის გადახდას.

რიკოთის გვირაბით სარგებლობის საფასური დაწესებულია „საქართველოს საავტომობილო გზების შესახებ" კანონის საფუძველზე და მოქალაქეთა თუ ორგანიზაციების არც ერთი კატეგორიისათვის შეღავათებს არ ითვალისწინებს.

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-ცენტრი.

თბილსრესი

კრიზისთან მებრძოლი იაკობი

მუნიციპალური ენერგოკომპანიები კორუფციის ბუდეა — აცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი

(პირველი გვერდიდან)

ჩვენი საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ბევრ ენერგეტიკოსსაც კი ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ამ ობიექტზე. დღეს საქართველოში უკვე ძნელად შეხვდებით ადამიანს, ვინც ამ თბოელექტროსადგურისა და მისი მეცხრე ენერგობლოკის თაობაზე ლეგენდებს არ მოგიყვება.

საუბედუროდ, ეს პრესისა თუ რადიო-ტელევიზიისთვისაც მეტად მსუყე და საინტერესო თემაა, თუმცა ბევრ ჩვენს კოლეგას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თბოელექტროსადგურის თაობაზე ენერგობლოკების ჩართვა-გამორთვას (რომელთა თერმული ქვაბი ცხრასართულიან კორპუსზე მეტია) მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერასთან აიგივებს. პრობლემისადმი ასეთ მიდგომას ზოგჯერ თავად ენერგეტიკოსებიც უწყობენ ხელს. დარგის თუ ქვეყნის ხელმძღვანელობის წინაშე თავის მოწონებისა თუ სიყოჩაღის გამოჩენის მიზნით, ხშირად კომუნისტური ლოზუნგების სტილითა და მეთოდებით აგრძელებენ პატაკების ჩაბარებას (ამ საათზე ჩაირთვება მეცხრე, იმ საათზე — მეათე ენერგობლოკი...) და საახალწლო საჩუქრებივით გულუხვად არიგებენ დაპირებას.

თბილსრესისა თუ მეცხრე ენერგობლოკის პრობლემაც სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ გააშარჟა.

შარშან, დეკემბრის ბოლოს, თბილსრესში მეცხრე ენერგობლოკზე გაჩენილმა ხანძარმა და საქართველოში ენერგოკრიზისის გამწვავებამ ჩვენი ენერგეტიკოსების საახალწლო დაპირება კინაღამ თოვლის ფიფქად აქცია. სტიქიური უბედურებისგან წინასწარ დაზღვეული არავინ არის. ბუნებრივია, არც ენერგოობიექტები, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ის მეცხრე ენერგობლოკი ქუდბედიანი ვერ გამოდგა.

დღეს იმ ხანძრის თაობაზე, რომელიც აქ 22 დეკემბერს მოხდა, [illegible] ჩამონგრეული სახურავისა და კარგი მეგზურის ახსნა-განმარტების შემდეგ თუ შეიქმნი წარმოდგენას.

ჩვენი ფოტოკორესპონდენტი გენადი სანაია გადასაღებად ნახანძრალს ეძებს. უკვე თითქმის ყველაფრის აღდგენა მოუსწრიათ, შენობის ჩამოქცეული ჭერიღაა გადასახური. ამ მოცულობის რკინის კონსტრუქციებიანი სახურავი რომ ჩამოაქცია, რა ხანძარი უნდა ყოფილიყო... ნაამბობით ერთობ ძნელი აღსაქმელია.

ჩვენ ახლა ზუსტად ნახანძრალთან ვიმყოფებით. თბილსრესის გენერალური დირექტორი **ტარიელ ბიწაძე** დაწვრილებით აგვიწერს რა მოხდა იმ დღეს. ხანძრის გამომწვევ მიზეზებს საგანგებო კომისია სწავლობს. იმედია, ძიება ზუსტად დაადგენს, რა და როგორ მოხდა.

— ეს მკვებავი ელექტროტუმბოა, ეს კი მკვებავი ტურბოტუმბო, — მიჩვენებს ბატონი ტარიელი.

ეს ტუმბოები გულივერს გოლიათების ქვეყანაშიც კი გააკვირვებდა. თურმე ასეთი ტუმბოებიც არსებობს!

— მაშინ მუშები სწორედ ტურბო-ტუმბოსთან მუშაობდნენ. როგორ ამოასხა ზეთმა, ამას კომისია გაარკვევს, — განაგრძობს თბილსრესის დირექტორი, — ცეცხლის ალი 25 მეტრის სიმაღლეზე ჭერს მისწვდა, რამაც გაახურა ლითონის კონსტრუქციები და სახურავი ჩამოწვა, ყველა ელექტროტუმბო გამოირთო, მაგრამ გვქონდა დიზელის ტუმბო, რომელიც ხუთი დღით ადრე გამოსცადეს გერმანელმა სპეციალისტებმა. სწორედ მისი დახმარებით ამოქმედდა სპეციალური სახანძრო სტაციონარული ზარბაზნები და ხანძარი ჩავაქრეთ. ადგილობრივმა მეხანძრეებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს.

— დღეს რამდენად არის დაცული ეს ობიექტი, რათა ანალოგიური შემთხვევები გამოირიცხოს?

— სისტემა მთლიანად გამართულია. დიზელის ტუმბო რომ არა, როგორ განვითარდებოდა ხანძარი, ძნელი სათქმელია.

როგორც ბატონი ტარიელი მიხსნის, მეცხრე ბლოკი აღდგენილია, ახლა ელექტროტუმბოს გავუშვებთ. ეტაპობრივად 180-200 მეგავატ სიმძლავრეს მივაღწევთ. ტურბო-ტუმბოს როცა ავამუშავებთ, ბლოკი სიმძლავრეს 280 მეგავატამდე გაზრდის. ამას რამდენიმე დღე დასჭირდება.

— ხანძარმა მეათე ენერგობლოკიც დააზიანა?

— არა. მისი ტექნოლოგიური დახვეწის პროცესი მიმდინარეობს. დეტალურად გადამოწმდა ყველაფერი. საერთოდ კი, ბლოკის ტექნოლოგიური დახვეწის პროცესი სამ თვეს გრძელდება. ჯერ პირველი თვეა, ამ დღეებში ისიც ჩაირთვება. თავიდან 150 მეგავატი სიმძლავრით იმუშავებს, მერე ტურბო-ტუმბოც ამუშავდება, მას გერმანელი სპეციალისტები გაუშვებენ და ამ ბლოკის დატვირთვა სრულ სიმძლავრეს მიაღწევს.

მეათე ენერგობლოკის აგრეგატები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში დამონტაჟდა. მერე აქ დიდი ხანძარი გაჩნდა და იგი დაიწვა. დღეს მისი რეაბილიტაცია თითქმის უკვე მთლიანად დამთავრებულია, დამცავი მოწყობილობები მთლიანად გერმანულია, ტურბინა ხარკოველებმა დაამონტაჟეს, მშენებლები კი ქართველები იყვნენ. საერთოდ, როგორც გერმანელი სპეციალისტები ამბობენ, კონსერვაციის ელემენტარული პირობებიც კი არ ყოფილა დაცული, ამიტომ ამ ბლოკის ხელახლა გაკეთება გახდა საჭირო.

ჩვენი თბილსრესში ყოფნის დროს მხოლოდ ორი ენერგობლოკი მუშაობდა, მეცხრე ბლოკს თავად დირექტორიცა და მინისტრიც მუშა აგრეგატად მიიჩნევდნენ, მას უკვე ჩასართავად ამზადებდნენ, მაგრამ ეს გუშინდლამდე ვერ დასრულდა. რა იქნება დღეს, ღმერთმა იცის, საერთოდ კი, ასეთი ურთულესი აგრეგატის ჩართვა-გამორთვა გარკვეულ პრობლემებთანაც არის დაკავშირებული. დიდხანს გაჩერებული მოწყობილობები ზოგჯერ მწყობრიდანაც გამოდის. აქ კი წვრილმანი არ არსებობს, ყველაფერს სერიოზული მიდგომა სჭირდება.

რამდენიმე დღეში, ყოველ შემთხვევაში, როგორც ბატონი ტარიელი ამბობს, ოთხ-ხუთ დღეში, მეოთხე ბლოკიც ამუშავდება და...

მოდით, წინასწარ ნურაფერს ვიტყვით, თუმცა სამომავლოდ, განწყობის ასამაღლებლად მაინც ვთქვათ, დაგეგმილია კიდევ ერთი — მე-6 ან მე-7 ენერგობლოკის რეაბილიტაცია. ესენი რუსული წარმოების პატარა, მაგრამ გამძლე აგრეგატებია.

და კიდევ, სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს მეთერთმეტე აირტურბინიანი ბლოკის მშენებლობაზე. ეს ჩვენთვის სრულიად ახალი ტექნოლოგიაა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 70 პროცენტს აჭარბებს. შედარებისთვის, თბილსრესში მომუშავე აგრეგატების ანალოგიური მაჩვენებელი უკეთეს შემთხვევაში 35 პროცენტს თუ აღწევს.

გერმანული კომპანია „ქაბი" აქ უკვე მე-3 წელიწადია მუშაობს. ეტყობა, პერსპექტივა დაინახეს და ახლა მე-11 ენერგობლოკის მშენებლობის (რომლის სიმძლავრე 450 მეგავატი იქნება) დაწყებაზეც ფიქრობენ. თვითონ შემოიტანენ ინვესტიციებს და თავადვე გაუწევენ ექსპლოატაციას. თუ ამ პროექტს ხორცი შეესხა, ეს იქნება პირველი საერთაშორისო სტანდარტებით გამართული სერიოზული ობიექტი, რომელიც საქართველოში აშენდება.

იქნებ არც ღირდა უარის თქმა. უფრო თვალსაჩინო წარმოდგენა რომ შეგვექმნათ იმ საწარმოზე, რომელსაც თბილსრესი ჰქვია, ერთ მაგალითსა და ორიოდე ციფრს მოვიშველიებ.

საათში ენერგობლოკი 60 ტონა მაზუთს წვავს. მას 24 საათში ერთი სარკინიგზო ეშელონი (24 ცისტერნა) სჭირდება. ეს მხოლოდ ერთ ბლოკს, არადა, დრო იყო, აქ 7-8 აგრეგატი ერთდროულად მუშაობდა. ამჟამად „თბილსრესი" დღეში 2,5 მილიონი კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს მოიხმარს. ამჟამად გენერალური დირექტორის განმარტებით, თბოელექტროსადგურს სათბობის საკმაო მარაგი აქვს.

მე-9 და მე-10 ენერგობლოკების მართვის ფარი კომპიუტერებითა და ელექტროსქემებითაა გაწყობილი. ისინი საკმაოდ მოზრდილ ოთახშია განლაგებული. აქ მთლიანად გერმანული აპარატურა დგას. ყველა მონიტორი მუშაობს. აქედან იმართება აგრეგატები. ყოველი სიგნალი, ინფორმაცია აქვე იყრის თავს. ახლაც მეცხრე ბლოკს რთავენ. ეს საკმაოდ რთული პროცესია და რამდენიმე საათს გრძელდება. გერმანელები გვერდით მეათე ბლოკს ამზადებენ. გეგმის მიხედვით, ამ ბლოკის გაშვების სამუშაოები 22 მარტამდე უნდა დასრულდეს.

ბუხრისპირა საუბრები

სანამ შვილნარში კალამი გაიფოთლება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" №10.

ამ რამდენიმე წლის წინათ მწერალმა კარლო კობერიძემ (კახეთის ავ-კარგის გამორჩეულად მცოდნემ) ერთი სიტყვა მასწავლა, რომელიც პირდაპირ ლურსმანივით ჩამეჭედა მეხსიერებაში და სურნელითა და ტკბილხმოვანებით გამთანგა.

კახელებს ვაზის სანერგის სინონიმად რამდენიმე სიტყვა აქვთო: მშვენიერი, დარბაისლური – „სადედე", მოსხლეტილი და ზუსტი – „საძირე" და მოულოდნელი და უცხოდ მჟღერი – „შკოლა".

მაგრამო, მითხრა მწერალმა, არის კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც ყველას მთელი ერთი თავით ალემატება და რომელშიც საოცრად კრისტალდება ღვთის ხელდასმული ვაზისადმი ქართველი კაცის მთელი დამოკიდებულება – „შვილნარი"!

შვილნარო, ვაზო, შვილივით ნაზარდო!..

გახსოვთ, როგორ ეფერება გიორგი მახარაშვილი გერმანიაში შემოფეთებულ ვაზს კინოფილმ „ჯარისკაცის მამაში"?

კინოფილმი კია, მაგრამ ვაზის ფერების ის კადრები ცხოვრებისეულია, ფოტოგრაფიულად ნაღდია.

შვილში არ გამოერჩეოდა ვაზი კახელ გლეხს.

პოდა, მის დასაფესვიანებელ-სანერგე ადგილს მოფერებით და სიყვარულით შვილნარი უწოდა.

შვილნარი!

და ახლა, როცა ჩუმლაყის „ზაოტზე" ყოფილი კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის ველიკო უტიაშვილის ცხარე ლაპარაკს ვუსმენთ, ეს სიტყვა განსაკუთრებული კეთილხმოვანებით წამოტივტივდება მეხსიერებაში.

– ყველაზე დიდი უბედურება რა იყო, იცით? პირველ რიგში, სანერგეები დაანგრიეს, კაცო! ახალი ვენახი როგორ უნდა გააშენო, თუ ვაზის ძირი არ გაქვს, თუ აპრობირებული რქა არ გაქვს. თავის დროზე სახელმწიფო აფინანსებდა, სახელმწიფო ზრუნავდა ნერგის გამოყვანაზეც, ვენახის გაშენებაზეც, მის შემდგომ მოვლა-პატრონობაზეც და მოწეული მოსავლის გაყიდვაზეც. ახლა ყველაფერი ეს კერძო ხელში გადავიდა. და ეს აბსოლუტურად სწორია. მე თუ მკითხავთ, რეფორმათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზაცია იყო. ოღონდ, არის დარგები, რომელთა მზრუნველობაც სახელმწიფომ განკერძოების შემდეგაც უნდა გააგრძელოს. პრივატიზაცია იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ სულ დაიბანოს ხელი ყველაფერზე, მარტო გლეხის იმედზე, მარტო ფერმერებსა და მეწარმეთა იმედზე იყოს. თუ სახელმწიფომაც არ თქვა თავისი სათქმელი, ფონს ვერ გავალთ.

– ბატონი ველიკო მართალს ბრძანებს, – სიტყვას ჩამოართმევს ზურაბ ტყემალაძე, – სახელმწიფო გამწევ ძალად უნდა ჩაუდგეს საქმეს, რათა სოფლის მეურნეობამაც და მრეწველობამაც შეხმატკბილებულად იმუშაონ. სხვაგვარად არაფერი გამოვა.

– აი ახლა, სოფლად საქმე მკვდარი წერტილიდან რომ დაიძრას, პირველ რიგში, რა უნდა გაკეთდეს?

ველიკო უტიაშვილი – პირველ რიგში, სათესლე მასალაა საჭირო, ხორბალი იქნება, ლობიო, სიმინდი თუ სხვა. რაც შეეხება ვენახს, აკი წელანვე ვთქვი – სანერგე მეურნეობა, რათა საკუთარი ნერგით გააშენოთ ვენახები. შემდეგ: სოფელში ტექნიკა თავმოყრილი უნდა იყოს. გლეხს სხვათა კარდაკარ ხვეწნა-მუდარით სიარული არ უნდა უხდებოდეს – ნაკვეთი მომიხანითო. გინდა მექანიზატორთა ბრიგადა დაარქვი, გინდა რგოლი.

– ჩუმლაყში რომ იმდენი ტექნიკა გქონდათ, სად გაქრა?

შოთა ბერულაშვილი – არსადაც არ გამქრალა, – სახლებში აქვთ.

– სახლებში რა, შეისყიდეს?

– ზოგმა იქნება შეისყიდა კიდეც, უმრავლესობამ დაიტაცა. პოდა, ახლა საჭიროა ყველაფერ ამას თავი მოეყაროს.

– ისევ რაღაც ემტეესის მსგავსი სახელმწიფო ორგანიზაცია შექმნათ?

ველიკო უტიაშვილი – ნუ იქნება, ბატონო, სახელმწიფო, შერეული იყოს, კერძო იყოს, მაგრამ ორგანიზებული იყოს. ოღონდ იყოს. სად წავიდა ის იმდენი სახელმწიფო ქონება. თუ ბევრი კერძო გახდა, 40-50-60 პროცენტი ხომ ჯერაც სახელმწიფო საკუთრებაა. ჭუჭყიანი ცხვირსახოციივით ყველაფრის გადაგდება და თავიდან მოშორება იქნება, კაცო? ამერიკელი რომ ჩამოდის ჩვენს დასახმარებლად, რა, ჩვენზე ძალიან სტკივა გული? მოგებისათვის ჩამოდის! ვინც ჩამოდის, მოგებისათვის ჩამოდის! მეტყვიან ხოლმე, ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო, ჩვენ რა გვაქვს, რო ამერიკელი დახარბდესო. გვაქვს, რატომაც არა, არც ეგრეა საქმე. მიწა გვაქვს მადლიანი და ღალიანი, კარგი მოსავალი იცის. აი, იმ მოსავლის იმედი აქვთ იმ ამერიკელებს თუ ფრანგებს.

– ეგ მოსავალი ადრეც ხომ სხვას მიჰქონდა.

– მიჰქონდა, მართალია, მიჰქონდა იაფად, მაგრამ სამაგიეროდ, ასევე იაფად იძლეოდა შხამ-ქიმიკატებს, საწვავს, ტექნიკას. სოფელს კულტურის სახლი, გზა, საავადმყოფო სჭირდებოდა, მასწავლებელს – ხელფასი... პოდა, ყველაფერი ეს ხომ იაფადვე მოგვდიოდა?!

მე მაშინაც არ მომწონდა, რომ მოსავალს ჩვენ ვიწევდით, ფასებს მთაერობა ადებდა; რასაც ცეკა დაგვავალებდა, ის უნდა გაგვეკეთებინა. დამიბარეს ერთხელ ცეკაში და მთხოვეს, ქართლში შაქრის ჭარხლის მოყვანა შეგვეფერხდა და უნდა დაგვეხმაროო. ამ მევენახეობის გულში ჭარხალი დამათესინეს. მთელი 500 ტონა, ჩვენი მანქანებით ჩავზიდეთ აგარაში. კაპიკიც არავის აუნაზღაურებია. ბენზინის ფული მაინც გადაეხადათ! ახლა, მადლობა ღმერთს, ასე აღარ არის, ფასსაც გლეხი ადებს და არც არავის მუქთად არაფერს მისცემს, მაგრამ სოფელს რო ის ღონე აღარ აქვს?..

შალვა ომსარაშვილი – ადრე გლეხის ოჯახს 10-15 მესედი მიწა ჰქონდა, იქედან ნახევარი ხალხი ვერ აუდიოდა ნაკვეთების დამუშავებას. არადა, ტექნიკა არ ჭირდა, საწვავი და შხამ-ქიმიკატი. ახლა იგივე ადამიანებს ჰექტარი და უფრო მეტი დავურიგეთ და ვუთხარით, დაამუშავე, გამდიდრდი და ქვეყანაც გაამდიდრეო. რითი დაამუშაოს, ცარიელი ხელებით, თოხით? ვერც საწვავს ყიდულობს (ფული არა აქვს) და ვერც შხამ-ქიმიკატებს. შარშან ვენახების ნახევარი უხარისხო შხამქიმიკატებმა გააოხრა.

ველიკო უტიაშვილი – ეგ კიდევ არაფერი! რაც მოიწია, ისიც ვერ ჩააბარა გლეხმა. კილოს 20 თეთრად იძლეოდა და ვერ ჩააბარა. ღმერთი აღარ არის, კაცო?

ზურაბ ტყემალაძე – სამაგიეროდ, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოდის უფრო მუქთი ყურძენი და ღვინო. დააკრავენ ეტიკეტს „საფერავიო" და გადის გრიალით.

– ამას წინათ, ერთ-ერთ გაზეთში რეპლიკა წავიკითხე, თურმე სომხეთში გამოსულა ღვინო „საფერავი"...

ზურაბ ტყემალაძე – როცა ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სად აქვთ სომხებს „საფერავი", რა სომხურ „საფერავზე" შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ ნახეს, რომ აქ ფალსიფიკატორები მათი ღვინით ვითომ „საფერავს" ამზადებენ და, ალბათ, თვითონაც ხელის მოთბობა გადაწყვიტეს. სახელწოდება „საფერავი" ხომ ძალზე პოპულარულია, გასაღების გარანტიას იძლევა.

ჩვენს ღვინოებში შემოტანილის გარევა საერთოდ არ შეიძლება. ეგ კი არა, ჩვენში ის უცხოური მდარე ხარისხის ვისკებიც არ უნდა შემოდიოდეს. საბაჟომ და საგადასახადო სამსახურმა უნდა დაიცვან ადგილობრივი წარმოება, კანონის შესაბამისად, რა თქმა უნდა.

მოდით მოვაწყოთ ექსპერიმენტი: საბაჟოს მოვთხოვოთ სტატისტიკა, თუ რამდენი ვისკია შემოტანილი საქართველოში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ასეთი ციფრები ოფიციალურად ფიქსირებული არ იქნება. ახლა კი გავიაროთ თბილისის ქუჩებში, მაგალითად, მ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქუჩაზე და ვნახოთ იქაურ სუპერმარკეტებსა და ბარებში რამდენი და რა სახის ვისკია გამოფენილი.

საქართველოში შემოდის ზღვა დაუბეგრავი პროდუქცია, დაუბეგრავია და ამიტომ იაფია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უმრავლეს შემთხვევაში სუროგატია, ფალსიფიცირებულია. ჩვენ არ გვეშინია ნამდვილი, მაღალი ხარისხის ვისკის, ჯინის, კონიაკის თუ შამპანურის. იგი იმდენად ძვირია, რომც არ დაიბეგროს, კონკურენციას მაინც ვერ გაუწევს ჩვენს ღვინოსა და კონიაკს, აქ ლაპარაკია იმ იაფფასიან, უხარისხო უცხოურ სასმელებზე, რომლებიც მყიდველის თვალს ატყუებს და სერიოზულ კონკურენციას გვიწევს.

– ნუთუ საქართველოში ვისკი ჩვენ ღვინოებს ავიწროებს?

– ნუ იტყვით, რომ ვისკი ღვინის კონკურენტი არ არის. რა, ლუდი არ არის ღვინის კონკურენტი, ან არაყი? ხალხი მაგარი და იაფი სასმელის სმაზეა გადასული, ღვინის მოხმარება მცირდება.

– თქვენი აზრით, რატომ?

– რატომ და ბოთლი არაყი 60-80 თეთრი ღირს. ბოთლი არაყი ნებისმიერ პიროვნებას გამობრუჟავს. პოდა, კაცმა 60-80 თეთრად აისრულა სურვილი – შეზარხოშდა. 60 თეთრად რა ღვინო მოუვა? რეალური ფასი თუ გინდათ, 60 თეთრი ერთი ჭიქა ღვინო უნდა ღირდეს! აი, გლეხები სხედან აქ და ჰკითხეთ, რა უჯდებათ თვითღირებულებით 1 ლიტრი ღვინო!

დღეს ისინი ნორმალურად ვერ მოიხმარენ შხამქიმიკატებს – მის შესაძენად ფული არა აქვთ; იმავე მიზეზით ვერ ყიდულობენ ნერგს ვენახის გასაახლებლად და ახლის გასაშენებლად. ვაზის სათანადო მოვლა-პატრონობაც გაჭირდა. გლეხი ვენახში შესაწამლად ხუთჯერ მაინც უნდა შევიდეს, დღეს კი ორჯერ თუ შევიდა, დიდი მიღწევაა.

საკრედიტო რესურსების გარეშე სოფლის მეურნეობის აღორძინება წარმოუდგენელია...

ალეკო ასლანიშვილი
„სრ" სპეც. კორ.

(გაგრძელება იქნება).

პრესა

(პირველი გვერდიდან)

ნოდარ გრიგალაშვილი:

ბატონო პრეზიდენტო, ასეთ შეკრებებზე ვცდილობ ხოლმე არ შევაწუხო დამსწრე საზოგადოება, რადგან მიმაჩნია, რომ პრეზიდენტთან პირისპირ საუბარი დიდად საპასუხისმგებლოა, მით უფრო, როდესაც ეს ხდება მთელი საქართველოს წინაშე.

ახლა გავბედე და გამოვედი. უპირველეს ყოვლისა, მინდა ჩემს კოლეგებთან ერთად თქვენ და თქვენს ოჯახს მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი და გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება ოჯახთან და სამშობლოსთან ერთად.

ამასთანავე, ჩემი სიტყვის შესავალში კომპლიმენტის სახით მინდა გითხრათ, რომ ჩემი აზრით, როგორც მასმედიის ერთ-ერთი ორგანოს ხელმძღვანელის აზრით, თქვენი დამოკიდებულება პრესასთან სანიმუშოა, იმ თვალსაზრისით, რომ პრესას არ უჭირს პრეზიდენტის კრიტიკა.

კრიტიკა, თქვენთვის სასიამოვნოა თუ არა, თქვენგან ნორმალურად აღიქმება. ყოველ შემთხვევაში, თქვენგან პასუხი, რომელიც შეიძლება გასცეს პრეზიდენტმა, არ ჩანს ხოლმე, მე ამ შემთხვევაში ვგულისხმობ არა პასუხს, ვთქვათ, სიმართლის, ანდა უმართებულობის თვალსაზრისით, არამედ კრიტიკისადმი, საერთოდ, თქვენი დამოკიდებულების თვალსაზრისით.

პირდაპირ ვიტყვი, არ გაისმის მუქარა, პრესას არ აქვს შიში თქვენი კრიტიკის დროს.

პრესას ნაკლებად ხელეწიფება ამა თუ იმ დაბალი რანგის ჩინოვნიკის გაკრიტიკება.

ამა თუ იმ ფირმის პრეზიდენტის კრიტიკა.

საკუთარი ბუღალტრის კრიტიკა უფრო ძნელია, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტისა.

ამას თავისი მიზეზები აქვს. ჩვენ ახლო წარსულში გვქონდა იმისი მაგალითი, როდესაც პრესა მაშინდელ მეორე პირს ვერ უბედავდა კრიტიკას და უბედავდა პირველ პირს – ჩვენთვის და თქვენთვის ცნობილი გარემოებების გამო.

პატარა დიპლომატია ჩვენც ვისწავლეთ თქვენს ხელში: ყველაფერი ეს მოგახსენეთ იმის გამო, რომ მინდა გადავიდე მეორე, უფრო მნიშვნელოვან საკითხზე.

შიშზე მოგახსენებდით, ჩვენ არ გვაქვს-მეთქი თქვენი შიში – კარგი გაგებით.

სამაგიეროდ, თქვენი ეშინიათ სახელმწიფო მოხელეებს, სახელმწიფო ჩინოვნიკებს. ეს, ალბათ, ასეც უნდა იყოს, მოგეხსენებათ, შიში შეიქმს სიყვარულსა, მაგრამ, ეს მაშინ, როდესაც ამ შიშს საფუძვლად უდევს პასუხისმგებლობის გრძნობა, თანამებრძოლის მიერ აღებული ტვირთი და იმ მისიის შეგრძნება, რომელიც მათ აკისრიათ.

ეს შიში აბსოლუტურად გასაგებია. მოგეხსენებათ, როცა ებრაელთა მეფედ საული აკურთხეს, ქვევრში დაიმალა, – იმ ტვირთის შეეშინდა, რასაც მეფობა გულისხმობს.

ეს შიში ჩვენს ჩინოვნიკებს არ გააჩნიათ.

შეიძლება ითქვას, არა თუ შიშით, პირიქით – თამამ-თამამით ითხოვენ თანამდებობებს.

მათი თქვენდამი შიში დამყარებულია იმ შეგრძნებაზე, რომ ისინი არიან კორუმპირებულნი. მათ კარგად იციან ეს, მაგრამ არ უწყიან, ვინ როდის წამოჰკრავთ ხელს და ცდილობენ თქვენი გული მოიგონ პირადი ერთგულებისა და სიყვარულის გამოცხადებით, საქმით კი ანგრევენ სახელმწიფოს, ანგრევენ ქვეყანას.

ღმერთმა დამიფაროს, რომ სახელმწიფოში ყველა მოხელე ასეთად წარმოიდგინო, მაგრამ მეჩვენება, რომ დიდი უმრავლესობა ასეთები გახლავან. ჩვენმა დრომ, ამ ბოლო 6-7-მა წელიწადმა გამოაჩინა, რომ ხშირად სახელმწიფო მოხელედ გვევლინება ხომალდის ვირთხა.

მოგეხსენებათ, როცა ხომალდი იძირება, თუ მგზავრები ჭკვიანნი არიან, წყალს ხაპავენ ხომალდიდან, რათა თავიც გადაირჩინონ და ხომალდიც სამშვიდობოს გაიყვანონ, ხოლო თუ უჭკუონი – თავის გადარჩენის იმედით ხტებიან აღელვებულ ზღვაში და ტალღებს ეწირებიან. თავსაც იღუპავენ და ხომალდსაც. აი, მათ უწოდა იაკობ გოგებაშვილმა ხომალდის ვირთხები. თქვენს გვერდით მყოფი, ბევრი გვინახავს გადამხტარი იმ ხომალდიდან, მაგრამ ბევრიც შემორჩენილია და აი, მათაც მე ამ რაკურსით ვხედავ.

ამაში, რა თქმა უნდა, ვგრძნობ თქვენს დიდ პასუხისმგებლობას.

დღეს საკუთარი ბუღალტრის კრიტიკა უფრო ძნელია, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტის

მინდა გითხრათ, ვცდილობ რბილი სიტყვები შევარჩიო, საახალწლო დღეებია, მაგრამ, მაინცა და მაინც არ გამომდის.

მე მიკვირს ეს ქვეყანა სად პოულობს ასეთ ჩინოვნიკებს, რომელნიც ამ ათი წლის წინათ, ამ ცხრა წლის წინათ, ჩემი თაობის ხალხს, რომელთაც ერთადერთი დანაშაული გვქონდა – გვენატრებოდა დამოუკიდებელი საქართველო, – დაგვდევდნენ, გვცემდნენ, გვტყეპდნენ. მე მახსოვს სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ, ჩვენი თანატოლი ბიჭები როგორ გვეუბნებოდნენ – 25 თებერვალი თუ შენთვის გლოვის დღეა, წადი, ძმაო, და სახლში იგლოვე, ჩემთვის ბედნიერების დღეა ის დღე, როცა სერგო ორჯონიკიძემ შემოაბიჯა საქართველოშიო.

მე თავისთავად ადამიანის პოზიციის ცვლილების მომხრეცა ვარ, სასურველიცაა, როცა ადამიანები მცდარ პოზიციებს იცვლიან. მე ისიც კარგად მესმის, რაც მიეტევება იუპიტერს, არ მიეტევება ხარს; რომ იყვნენ და არიან ადამიანები შეუცვლელნი თავიანთი დიდი გამოცდილებით, და ამ ადამიანებთან ჩემი დამოკიდებულება გარკვეულწილად განსხვავებულია. მაგრამ, თუკი ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება აქვს, თუკი მხოლოდ მექრთამეობის გამოცდილება აქვს, რატომ მეელინებიან ისინი ჩემგან ნაოცნებარ დამოუკიდებელ საქართველოში ისევ უფროსებად და რატომ გვასწავლიან სახელმწიფოებრივ აზროვნებას? – ეს ჩემთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია.

მე, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ თქვენთვის არჩევანი ადვილი არ არის, იმასაც ვითვალისწინებ, რომ თქვენ მრავალ პატიოსან ადამიანს დაუძახეთ სახელმწიფო პოსტებზე, ვითვალისწინებ, რომ ადამიანი არ არის ისეთი მარტივი არსება, რომ დაპროგრამებული იყოს – დღეს თუ პატიოსანია, სამუდამოდ იქნება პატიოსანი.

შეიძლება წესიერი კაციც გაფუჭდეს.

ყველაფერ ამას ვითვალისწინებ, მაგრამ იმასაც ვხედავ, რომ საქართველოს არ სცალია ექსპერიმენტებისათვის, ის ხალხი, რომელნიც უწესობის თვალსაზრისით დიდი ხანია შემჩნეული არიან, კატასტროფულად დაბლა სწევენ სახელმწიფოსა და ხელისუფლების ავტორიტეტს.

ახლა, მე, რა თქმა უნდა, ზოგადად ვსაუბრობ, კონკრეტულად ვერ დაადებ კაცს ხელს და ვერ იტყვი, რომ აი, ესაა მაინც და მაინც ასეთიო. არადა, რასაც ქუჩაში ლაპარაკობენ, ხშირად მართალია ხოლმე. ამ ტიპის მოღვაწეებსა და მოხელეებზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ, მოგეხსენებათ, ჩვენი სახელმწიფოს წინაშე უზარმაზარი პრობლემა დგას.

ნუთუ დამოუკიდებელ საქართველოში კაცმა ვერ უნდა იგრძნოს ის, რასაც მე-19 საუკუნეშიც კი გრძნობდა გლეხი, როდესაც ამბობდა – ბატონიც მყავს და პატრონიცო. კი, იყო ბატონ-ყმობა, მაგრამ ბატონი გლეხის პატრონიც იყო, დღეს გლეხს ჰყავს ბატონი და არა ჰყავს პატრონი.

არ უნდა მიეპატრონოს თავის რაიონს გამგებელი, თავის მხარეს – გუბერნატორი? მე რომ მოგახსენებდით, ის ჩვენი ტოლები, რომლებიც საზიზღარ დავალებებს ასრულებდნენ ჩვენს წინააღმდეგ, დღეს გუბერნატორები არიან, დამოუკიდებელი საქართველოს გუბერნატორები არიან, არ ვიცი, რა დამსახურების გამო! ამჯერად არ ვასახელებ გვარებს.

ეს ყველაფერი მოქმედებს იმაზე, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა ნელ-ნელა ჩვენი ცნობიერებიდან დაიკარგება. უბედურება ის კი არ არის, რომ ჩვენ ბრძოლა წავაგეთ, უბედურება ის იქნება, როცა ბრძოლის წაგებას შევეგუებით.

ბატონო პრეზიდენტო, ყველა საკითხი ბოლოს და ბოლოს მოგვარებადია. ჩვენ არ ვცხოვრობთ დალხენილ ქვეყანაში, მაგრამ თუ დაუკვირდებით, პრესა სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით მაინც და მაინც არ აქტიურობს. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ სოციალური თვალსაზრისით არ დაიძაბოს ქვეყანა და ვინმემ ხელისუფლებას ანგარიში არ გაუსწოროს სოციალური გასაჭირის გამო, ვინაიდან ამას აქვს ობიექტური მიზეზები. მაგრამ ლაპარაკია იმ სუბიექტურ მიზეზებზე, რომელთა მოგვარებაც შეიძლება. ლაპარაკია იმაზე, რომ ამ ტვინის სახელმწიფო მოხელეების ხელში, და მე მარტო მათ არ ვგულისხმობ – რაც ერი, ის ბერიო, – ვგულისხმობ რიგით მოქალაქეებსაც. მაგალითად, როდესაც ლარი ავარდა, ფასებიც გაიზარდა, მაგრამ, როდესაც ლარი გამაგრდა, ფასები იგივე დარჩა. რუსთაველი რომ ამბობდა – „ვაჭარნი ჯაბანნიო", – ამის ცოცხალი მაგალითების მომსწრენი გავხდით. დალოცვილო, დაწიე ეს ფასი, ხომ გამაგრდა ეს ლარი. ასე რომ, მე მთავრობას კი არ ვაკრიტიკებ მხოლოდ, ხალხის გაუტანლობაც ვიცი. არც ხალხი ვიქცევით მაინც და მაინც ისე, დამოუკიდებელ სახელმწიფოს რომ შეჰფერის და მოქალაქეს რომ შეშვენის ამ სახელმწიფოსი.

მაგრამ ზემოდან მოდის ყველაფერი...

ჩვენ სამაჩაბლოს და აფხაზეთის პრობლემა გვკიდია დამოკლეს მახვილივით და თუ 1999 წელს რაღაცა შედეგი ვერ მივიღეთ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ბატონო პრეზიდენტო, რაღაცა იმედი გამოჩნდა ჰორიზონტზეო (მიდიხარ და ეს ჰორიზონტი სულ უკან და უკან იწევს) ეს ფრაზა უნდა ამოვარდეს ლექსიკონიდან. ასე აღარ შეიძლება, 1999 წელს ჩვენ აუცილებლად რეალური შედეგები უნდა ვიგრძნოთ. კი ბატონო, მე პირობითად ვამბობ ამას, შესაძლოა ეს 2000 წელს იყოს, მაგრამ ეს დიდი ათასწლეული საქართველომ არ შეიძლება ასე სამარცხვინოდ დაასრულოს. სამარცხვინო მდგომარეობაშია ქვეყანა, რომელსაც ბრძოლა წაგებული აქვს. ღვთის მადლით ვიმედოვნებ, რომ ომი წაგებული არა აქვს.

მაპატიეთ, რომ ასე ხანგრძლივად გამომივიდა ეს საუბარი, ეს ყველაფერი დავუკავშირე იმ ადამიანებს, რომლებიც სიზმარს არ ნახულობენ ქართულად, რომელთაც საქართველო არ ესიზმრებათ, რომელთაც შეუძლიათ თათბირებზე თქვენ შესანიშნავად მოგაჩვენონ თავი, იმიტომ, რომ იმის გამოცდილება აქვთ მხოლოდ და მხოლოდ, როგორ ჩააბარონ ანგარიში, როგორ მოაჩვენონ უფროსს თავი, რომ უფროსი ყოველთვის მართალია და ა. შ. ისინი თქვენ ვერასოდეს ენას ვერ შემოგიბრუნებენ, სიტყვას ვერ შემოგიბრუნებენ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ სიტყვის შემობრუნებაა კარგი, იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება ყოველთვის მართალი იყოს პრეზიდენტი, პრეზიდენტი კი არა, ერთხელ ღმერთიც ცდებაო, – ნათქვამია. ხომ შეიძლება თქვენ რამეში არ იყოთ მართალი? უბრალოდ, ვერ გეტყვიან, რომ თქვენ არ ხართ მართალი. კი, გყავთ, რამდენიმე კაცი – შამიაშვილია ეს, თუ რამდენიმე სხვა, მაგრამ უმრავლესობა სიტყვას ვერ შემოგიბრუნებთ სახელმწიფოს ინტერესიდან გამომდინარე კი არა, თავისი პირადი ინტერესიდან გამომდინარე, ვერ შემოგიბრუნებენ სიტყვას.

კადრების საკითხი დაკავშირებულია ქვეყნის თავისუფლების საკითხთან.

თქვენ ბრძანეთ, ბატონო ედუარდ, რომ არაფერი უბედურება არ არის იმაში, რომ ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის მმართველს გაუჩნდეს პრეზიდენტობის პრეტენზია. რა თქმა უნდა, ამაში უბედურება მართლაც არაფერია. ეს მართლაც სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. უბედურება ის კი არ არის, რომ ვიღაცეებს პრეზიდენტობის პრეტენზია უჩნდებათ, უბედურება ისაა, რომ ამ ქვეყანაში რა ხალხს უჩნდება ეს პრეტენზია და კიდევ ის გახლავთ უბედურება და ცოტა უფრო ღრმა უბედურება, რაზედაც მინდა ასევე გითხრათ, თუმცა, გითხრათ ქარაგმით:

ერთხელ გალაკტიონ ტაბიძეს ჰკითხეს, თქვენ კი ხართ პირველი პოეტი, მაგრამ მეორე ვინ არისო. მეშვიდედან დავიწყოთ ათვლა, ძამიკორო, – უპასუხა...

თქვენ, ბატონო ედუარდ, პირველი რომ ხართ, მეორეც გვინდა გვყავდეს, მესამეც გვინდა, მეოთხეც და ასე შემდეგ...

დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

აი, როგორი იყო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის რეაქცია „ახალი საქართველოს" რედაქტორის გამოსვლაზე:

ბატონო ნოდარ, მე დიდ მადლობას მოგახსენებთ ძალიან გულახდილი, პატიოსანი, მართალი გამოსვლისთვის და იმისთვის, რომ თქვენ, თქვენი შეხედულებები ასე კაცურად და სერიოზულად ჩამოაყალიბეთ, – თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

სახელმწიფო მოხელის პრობლემა ჩემი პრობლემაა, პირველ რიგში, და მე ძალიან კარგად ვიცი ფსიქოლოგია სახელმწიფო მოხელისა, ძველი წყობისაც და ახალი წყობისაც.

სამწუხაროდ, ეს რთული ამბავია, ძალიან რთული. ხშირად გარედან უფრო იოლია მსჯელობა, განსჯა, ვინემ თვით შიგნიდან ჩანს ეს საკითხი.

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში თანამოაზრენი ვართ, ეს პრობლემა ჩვენს წინაშე დგას და კიდევ დიდხანს იდგება.

დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის მხოლოდ ინსტიტუტები, ან პარლამენტი, თუ გნებავთ, ან პრეზიდენტი. დამოუკიდებელი სახელმწიფო გულისხმობს მოქალაქეს და გულისხმობს მოხელეს, იმ მოხელეს, რომელიც ხალხის ნებას ასრულებს.

სამწუხაროდ, აქ ბევრია გადასაწყვეტი, დაწყებული ფინანსებიდან, დამთავრებული, უბრალოდ, პროფესიონალიზმით. ჩვენ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, 200-250 ახალგაზრდა გვყავს გაგზავნილი საზღვარგარეთ და მე მათ როგორც თვალის ჩინს, აქედან ვუფრთხილდები და ველოლიავები, თუ როდის გაივლიან ორ-სამწლიან კურსებს.

ზოგი დაბრუნდა უკვე.

მაგალითად, ფინანსთა მინისტრი: რამდენი ცდა გვქონდა საკმაოდ უშედეგო და უიმედო და ბოლოს და ბოლოს, მე მგონი, მივაგენით ადამიანს, რომელმაც გაიარა ის დიდი სკოლა, რომელსაც საბაზრო ეკონომიკის ფინანსები ჰქვია, საბაზრო ეკონომიკის ეკონომისტი ჰქვია და, ასე თუ ისე, ნახა თავისი ადგილი, მაგრამ ამას რამდენი წელი დასჭირდა... ასეა სხვა დარგებშიც.

მე ერთადერთი რამ მაწუხებს. თქვენ გუბერნატორებზე შეაჩერეთ ყურადღება. ჩემთვის სულ ვფიქრობდი – ვინა ჰყავს-მეთქი ბატონ ნოდარს მხედველობაში, სულ მეშინოდა თემურ შაშიაშვილი ხომ არ არის-მეთქი და – არაო. გია არსენიშვილი არ ჰგავს იმ კაცს. მამალაძე გუშინდელი მოსული ახალგაზრდა კაცია. გიგლა ბარამიძე ინტელიგენტური ოჯახიდან არის, თვითონ ინტელიგენტი და განათლებული კაცია. თედო ისაკაძე უნივერსიტეტის პრესკლუბიდან არის. და ასე შემიძლია გავაგრძელო.

მართალი ხართ თქვენ. ძველად გლეხი იტყოდა, საუკუნეების განმავლობაში ასე იყო, ალბათ, ბატონიც მყავს და პატრონიცო. მაგრამ მე მინდა ისიც შეგახსენოთ, რომ დღესაც იმას მღერიან (იცინის) – „ჩავუხტეთ მუხრან ბატონსა, თავს დავანგრიოთ ბანია", და ამ უბედურების გამო „პური ვერ დავლგი გოდრითაო". ასეც იყო და ისეც იყო. ჩვენს დროშიც ასეა.

მთავარი ის არის, ბატონო ნოდარ, მე მგონია, რომ ჩვენ გზა ავირჩიეთ სწორი და რახან ვართ თავისუფალი და დამოუკიდებელი, ეს კადრების საკითხი მოგვარდება, რაც დასალექია, დაილექება, რაც გასაწმენდია, გაიწმინდება. მოდის ახალი თაობა, პარლამენტში შეიხედეთ, რამდენი ახალგაზრდაა მაღალი ინტელექტის, რამდენი ახალგაზრდაა სუფთა და მოუსყიდველი, მე არ ვამბობ ყველაზე, მაგრამ ისეთი ახალგაზრდები არიან, რომლებიც საქართველოსთვის ხვალ და ზეგ ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

ახლა მე ბევრი შემიძლია ვისაუბრო ამის შესახებ და ვიკამათოთ მე და თქვენ, დიდი სიამოვნებით. მე მიმაჩნიხართ თქვენ ძალიან საინტერესო მოსაუბრედ და მზად ვარ, როცა თქვენ ამას ჩათვლით საჭიროდ, დავჯდეთ და ვისაუბროთ და მერე გამოვაქვეყნოთ ჩანაწერი.

* * *

„საქართველოს რესპუბლიკა": ჩავთვალოთ ეს ჩანაწერი მომავალი დიალოგის პრელუდიად.

როგორც ჩანს, გერმანელები არ ჩქარობენ. ჩვეული სიდინჯით მუშაობენ. მათ ქართველი მუშებისა და სპეციალისტებისაგან მარტო აღნაგობით, თმის ფერითა თუ შეხედულებით არ გამოარჩევთ, განაწესის მიხედვითაც ყველა უნიფორმაშია, ოთახში, მონიტორებთანაც კი ჩაფხუტები ახურავთ.

ჰელმუტ ზეინვალდი, ფირმა „კაბის" წარმომადგენელი, ინჟინერი, შარშან აპრილიდან მუშაობს. რუსულად საკმაოდ გამართულად საუბრობს. თარჯიმნის პრობლემა მოეხსნა.

ორი წელი აგრეგატი დაკონსერვებული იყო, – მეუბნება ბატონი ჰელმუტი – ცუდ მდგომარეობაში დაგვხვდა. წყლის გაწმენდის პრობლემა გვიშლის ხელს. ჭუჭყიანი წყალი შევიდა აგრეგატში. როცა ეს საკითხი მოგვარდება, ნაკლები შეფერხება გვექნება.

ბატონი ჰელმუტი, ქართველი სპეციალისტებისგან განსხვავებით, მაინცდამაინც თავდაჯერებული ვერ არის: – არ ვიცი და ვერ გეტყვი აგრეგატი გასაშვებად ზუსტად როდის მომზადდება. მართალია, წინასწარი მონაცემებით, ყველაფერი ნორმალურად არის, მაგრამ ხანგრძლივად გაჩერებული ბლოკის აგრეგატების ამუშავების შემდეგ პრობლემები ყოველთვის წარმოიქმნება ხოლმე, ხანძარმა მეათე ბლოკსაც ავნო, მაგრამ არა ისე, მის ამუშავებაში ხელი რომ შეგვიშალოს.

გერმანელებმა თავისი საქმე იციან, როგორც ბატონი ზეინვალდი მარწმუნებს, მეათე ბლოკი საბოლოო გამართვის შემდეგ უპრობლემოდ იმუშავებს.

ჩვენც ამის იმედად ვართ.

დღეს თბილისის თბოელექტროსადგურს 800 კაცი ემსახურება. ეს ხალხი თავდაუზოგავად შრომობს, რათა ქვეყანას ელექტროენერგია ჰქონდეს, მაგრამ მათ ნაშრომს ვიღაც თვალით უხილავი და უჩინარი კაცები იპარავენ და შავთეთრი მერსედესებით აღმადაღმა დაგრიალებენ. ენერგეტიკოსების დიდ ნაწილს, მათ, ვინც უშუალოდ აწარმოებს ელექტროენერგიას, საკუთარი ნაშრომი – რამდენიმე თვის ხელფასი მიუღებელი აქვს. როგორც საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი თემურ გიორგაძე ამბობს, ეს ზამთარი ჩვენთვისაც და მათთვისაც ენერგოკრიზისის თვალსაზრისით ბოლოა. სულ მალე, გაისად, ყველაფერი წესრიგში იქნება, რადგან ამის მექანიზმი უკვე შემუშავებულია და მის განხორციელებას ხელს ვეღარაფერი შეუშლის.

ბატონი თემური ხანძრის შემდეგ აქ ათენ-აღამებს. ახლაც აქ არის და საკმაო ხანია, ვსაუბრობთ.

– ხანძრამდე, – ამბობს თემურ გიორგაძე, – თბილისს 9 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას ვაძლევდით. „თელასის" ახალი მფლობელი ქალაქის დასაკმაყოფილებლად 12 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას ითხოვს. თუ ენერგოსისტემას 300-მეგავატიანი ბლოკი დაემატებოდა, ეს კიდევ 7 მილიონ კილოვატსაათს მოგვცემდა. ამ ხანძარმა სისტემა კატასტროფამდე მიიყვანა. თითქმის ავტომატურად 600 მეგავატი სიმძლავრე დავკარგეთ. ხანძარმა მეათე ბლოკზეც იმოქმედა, კაბელები გადახურდა და საჭირო გახდა კომუნიკაციების შეცვლა-გადამოწმება. ხანძარმა თბილსრესს მილიონი ლარის ზარალი მიაყენა. ამაში არ შედის თანხა, რომელიც ამ ხნის მანძილზე ენერგობლოკს უნდა ეწარმოებინა... საქართველოს ენერგოსისტემას უკვე მერამდენე წელიწადია, ექსტრემალურ პირობებში უხდება მუშაობა. თბილსრესი ერთადერთი ბაზისური სადგურია, მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ ენგურჰესიც ბაზისური სადგურის დარად ვამუშაოთ. წლევანდელი ენერგოკრიზისი კლიმატური პირობებითაც არის განპირობებული. ენგურისა თუ სხვა ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავები დაცლილია. ასეთი ვითარება საქართველოში რამდენიმე ათეული წელი არ ყოფილა, 22 დეკემბერს კი უწყლობას მეცხრე ენერგობლოკის ავარიაც დაერთო და წარმოუდგენლად მძიმე ვითარება შეიქმნა. 20 იანვრამდე მდგომარეობიდან გამოვალთ. მე-9 და მე-10 ბლოკები ამუშავდება. ჩაირთვება სხვა სიმძლავრეებიც.

ჩვენ „თელასის" უცხოურ პარტნიორებთან ხელშეკრულება არ დაგვირღვევია. ეს ფორსმაჟორული ვითარებაა, სტიქიური უბედურებისაგან დაზღვეული არავინაა. ეს ხელშეკრულებაშიც აისახა, ფორსმაჟორის შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეფერხებაზე მხარეები პასუხს არ აგებენ.

4 იანვრიდან საქართველო სომხეთიდან 100 მეგავატს იღებდა, რუსეთიდანაც შემოდიოდა ელექტროენერგია. „საქენერგოს" ხელმძღვანელი მოსკოვში აწარმოებს მოლაპარაკებას.

– ბატონო თემურ, არსებობს მოსაზრება, რომ „თელასის" გაყიდვა იძულებითი ნაბიჯი იყო?..

– რატომ იძულებითი, ეს სახელმწიფო პოლიტიკაა. „თელასი" გაიყიდა. გეგმაში სხვა მუნიციპალური ენერგოკომპანიების გაყიდვაცაა, გამსხვილდება და შეიქმნება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს და აჭარის ენერგოკომპანიები. ელექტროსადგურები სამართავად გადაეცემა ინვესტორებს. დღეს „თელასის" პრივატიზებაზე ყველაზე მეტს ის წუხს, ვინც ამ განუკითხაობით სოლიდურად ითბობდა ხელს.

– ყოველ შემთხვევაში ყველაფრის გადაუხდელობის პრობლემაზე გადაბრალება არ შეიძლება. დღეს უფასოდ არავინ არავის არაფერს აძლევს, მათ შორის, ელექტროენერგიასაც. სად მიდის ეს თანხები?

– მეც მაინტერესებს, თქვენ გეკითხებით, ეს ფული სად მიდის? დამეხმარეთ ამის გარკვევაში! ჩვენ მუნიციპალურ ენერგოკომპანიებს არ ვაკონტროლებთ, იმ საწარმოებში ვერც ეხსნი და ვერც ენიშნავ ხელმძღვანელს, რაც შეგვეძლია ჩვენი ძალებით ვავლენთ დამრღვევებს.

ერთი სული მაქვს, როდის მივცემ ამერიკელებს საკმარის ელექტროენერგიას, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს ტელეფონის ზარები. უცხოელი ინვესტორი თავად დაარეგულირებს ამ პრობლემას, მერე იმათ დაურეკონ.

ხმამაღლა ვაცხადებ, საქართველოში ელექტროენერგიის ტოტალური დატაცებაა გამეფებული. ეს ეხება ყველა რგოლს.

– საქართველოს ენერგოსისტემას შეუძლია უზრუნველყოს ელექტროენერგიით თბილისის სადღეღამისო მომარაგება?

– რა თქმა უნდა, ყველაფრის გაჩერება რომ მოგვეხდეს, მათ აუცილებლად მივაწვდით ენერგიას, რადგან ისინი რეალური გადამხდელები არიან, საერთოდ ეს პრობლემა მოგვარდება. ბოლო ზამთარია, რომელსაც საქართველო, ენერგოკრიზისით გაივლის.

– დღეს რომ არა აქვს ქალაქს შეუზღუდავად ელექტროენერგია?

– თბილსრესი თუ გაჩერდება, ვერც ერთი იმპორტიორი ვერ დააკმაყოფილებს ელექტროენერგიაზე საქართველოს მოთხოვნილებას.

– ხვალ თუ შეგიძლიათ უზრუნველყოთ ქვეყანა ელექტროენერგიით, გუშინ რა გიშლიდათ ხელს?

– ვიდრე გადახდის პრობლემა არ მოგვარდება, ასე გაგრძელდება. გადამხდელს კი, რამდენიც საჭიროა, იმდენ ელექტროენერგიას მივაწვდით.

– თელასის ამერიკელი მეპატრონეები როგორ აპირებენ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ამოღებას?

– ძალიან მარტივად. მათ არ ეყოლებათ ჩვენისთანა ინკასატორი, ისინი მოვლენ თქვენთან, გაგიფორმებენ ხელშეკრულებას, მოგცემენ ორი თვის ვადას, მოგიტანენ ქვითარს. გავა ეს ვადა, არ გექნებათ გადახდილი სალაროში თანხა, ჯერ გაგაფრთხილებენ და დაგაჯარიმებენ, მერე კი სასამართლოს გადაგცემენ.

– ვითომ ჩვენ ვერ გავაკეთებდით ამას, ეს ამერიკელების მოგონილი მეთოდი ხომ არაა?

– ჰკითხეთ „თელასს", რატომ არ აკეთებდნენ? ხმამაღლა ვამბობთ: მუნიციპალური ენერგოკომპანიები კორუფციის ბუდეა, მოსახლეობასთან, მე როგორც ვთქვი პრეტენზია არა მაქვს, მათ ტყუილად არავინ არაფერს აძლევს. არც კაზინოები და ღამის ბარებია მუქთად გაჩახჩახებული.

როგორც საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ამბობს, თუ უცხოელ პარტნიორებს არ მივაწვდით ენერგიას, ისინი თავად შეიძენენ და ეს ენერგობლოკები საერთოდ უქმად დაგვრჩება. ამიტომაც ორ კვირაში თითქმის შეუძლებელი მოესწრო. დაზიანებული ბლოკები აღსდგა. განუსაზღვრელი იმპორტის დაშვება, როგორც მინისტრი ამბობს, არ შეიძლება, რადგან ადგილობრივი გენერაციის ობიექტები დაუტვირთავი, ხოლო ხალხი უმუშევარი დარჩება.

ასე თუ ისე, არ შეიძლება ქვეყანა მუდმივ კრიზისში იყოს, ამას თუ ჩვენ ვერ მოვაგვარებთ, სხვა გააკეთებს. ვითომ ჩვენი საკეთებელი რატომ უნდა აკეთოს სხვამ?

შოთა მაჭარაშვილი.

საქართველოს კანონი

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.98) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. აკრძალულია სავაჭრო ობიექტების აბრებზე დიაბეტისა და სხვა დაავადებების ხსენება“.

2. 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. შეჩერდეს უცხო ქვეყნის ტელე-რადიომაუწყებლობის საქართველოში ტრანსლაციის დროს რეკლამის ჩანაცვლება „საქართველოს ტერიტორიაზე ტელე და რადიოტრანსლაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს კანონი

„მიგრანტთა ინსპექტირების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. „მიგრანტთა ინსპექტირების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 15.07.1998) მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში ციფრი „5“ შეიცვალოს ციფრებით „10“, „ბ“ ქვეპუნქტში ციფრი „3“ – ციფრით „8“, ხოლო „გ“ ქვეპუნქტში ციფრი „1“ – ციფრით „5“.

2. ეს კანონი ამოქმედდეს 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს კანონი

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „საქართველოს ეროვნული ბანკის“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995, №27-30, მუხ. 642) 59-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს ფასიანი ქაღალდების კომისიას კომისიის მიერ ბანკების იმ შვილობილი კომპანიების შემოწმება, რომელთაც კომისიისაგან მიღებული აქვთ ლიცენზია საბროკერო კომპანიის საქმიანობაზე, რათა აიცილოს რისკი ბანკის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ბანკის შვილობილი კომპანიის გაუმართლებელი საქმიანობით. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს თავისი წარმომადგენლის ჩართვა კომისიის მიერ ბანკის შვილობილი საბროკერო კომპანიის შემოწმებისათვის მივლენილ ჯგუფში“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს კანონი

„აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №17-18, 9 მაისი, 1997) 23-ე მუხლის მე-3 პუნქტს „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) ინფორმატიზაციის;“, ხოლო „ზ“ – „ს“ ქვეპუნქტები შესაბამისად ჩაითვალოს „თ“ – „ტ“ ქვეპუნქტებად.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს კანონი

„მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. „მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 15.07.1998) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების მიმართ“.

2. ეს კანონი ამოქმედდეს 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს კანონი

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №003, 1996) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილება:

1. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) შექმნას ან შეიძინოს შვილობილი ორგანიზაციები – საბროკერო კომპანიები, – რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის საქმიანობაში და ფლობდეს მასში წილს შეუზღუდავი ოდენობით, თუ ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება ბანკის ხელუხლებელი კაპიტალისა და რეზერვების ჯამური ოდენობის 15 პროცენტს“.

2. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი უფლებების განხორციელება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე რეგულირდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით“, ხოლო პირველი აბზაცი ჩაითვალოს პირველ პუნქტად.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში („პარლამენტის უწყებანი“, №29-30, 9.07.97) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილებები:

1. მე-4 მუხლის:

ა) „ე“ ქვეპუნქტს სიტყვების „სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ყველა ტიპის მოქმედი საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“.

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზის ლიანდაგი და მასთან დაკავშირებული სიგნალიზაციის, ტელეკომუნიკაციის დისპეტჩერიზაციის და ენერგომომარაგების სისტემები, გაზის მაგისტრალური მილსადენი, საავტომობილო გზები (პარალელური, თანაბარი მნიშვნელობის გზის არარსებობისას), თვითმფრინავების ფრენის მართვის სისტემები და ასაფრენ-დასაფრენი ზოლები“.

გ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საქართველოს სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, სასამართლო სისტემის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამტაცო და სარეზერვო ქონება“.

დ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) სიხშირეთა სპექტრი, საფოსტო კავშირი, სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის პირველი არხის ტექნიკური საშუალებები და საანტენო – საფიდერო მოწყობილობები, სამთავრობო კავშირის ტექნიკური საშუალებები და საქართველოს პოზიცია გეოსტაციონალურ ორბიტაზე“.

ე) „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) წყალმომარაგების სისტემების სათავე ნაგებობები, წყალსადენის სატუმბავი სადგურები და მაგისტრალური მილსადენები, საკანალიზაციო სისტემების მაგისტრალური კოლექტორები და რეგიონული გამწმენდი სადგურები“.

2. ამოღებულ იქნეს მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., №12, მუხ. 421) დაემატოს შემდეგი შინაარსის 165^4-165^9 და 209^2 მუხლები:

1. „მუხლი 165^4. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების წესების დარღვევა

1. ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების წესების დარღვევა, –

გამოიწვევს ემისიის პროსპექტის ხელმომწერი პირების დაჯარიმებას 10 000 ლარამდე.

საბროკერო კომპანიების მმართველების, ბროკერების ან იმ პირების მიერ საბოლოო პროსპექტის გარეშე ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ან პროსპექტის გამოყენება, რომლის დამტკიცებაც შეჩერებული ან გაუქმებულია კომისიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარამდე.

ემისიის პროსპექტში არსებითი უზუსტობები და არსებითი მოვლენის გამოტოვება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარით.

ემიტენტების, ფასიანი ქაღალდების მფლობელების, საბროკერო კომპანიების მმართველების და ბროკერების მიერ საჯარო შეთავაზების თაობაზე პროსპექტის დამტკიცებამდე ინფორმაციის გახმაურება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების ემისიის ან სხვა სათანადო ანგარიშების დადგენილი წესით წარუდგენლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარამდე.

ემიტენტის მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრის მიერ ემისიის პროსპექტში შესწორებების შეუტანლობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

მუხლი 165^5. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის წესების დარღვევა

ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ მის მიერ გამოშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდების დადგენილი წესით დემატერიალიზაციის განუხორციელებლობა, –

გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ მისი საჯარო ფასიანი ქაღალდების შესახებ ჩანაწერების საწარმოებლად ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის შეურჩევლობა, –

გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის შერჩევის თაობაზე შეუტყობინებლობა, –

გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 400 ლარამდე.

ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ საჭირო ანგარიშების მოუმზადებლობა ან წარუდგენლობა, –

გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 2000 ლარამდე.

ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების მიერ ყალბ ან შეცდომაში შემყვან ანგარიშებზე ხელის მოწერა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარამდე.

პირების მიერ ანგარიშის წარუდგენლობა ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების ისეთი შეძენის თაობაზე, რომლის შესახებაც მათ დადგენილი წესით ევალებოდათ ანგარიშის წარდგენა, –

გამოიწვევს თითოეულ წარუდგენელ ანგარიშზე ამ პირების დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

პირების მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გაცხადება და გამოყენება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

სატენდერო შეთავაზების დადგენილი წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

პირების მიერ მინდობილობის თხოვნასთან დაკავშირებული დადგენილი წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარამდე.

მუხლი 165^6. ლიცენზირების წესების დარღვევა

ფასიანი ქაღალდების ბაზრის იმ მონაწილის მიერ, რომელსაც მოეთხოვება ლიცენზია, ლიცენზიის მიღების გარეშე ოპერაციების განხორციელება, ან ლიცენზირებულად თავის მოჩვენება, ან საქმიანობის გაგრძელება, როდესაც მისი ლიცენზია შეჩერებული ან გამოთხოვილია, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარით.

დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ წარდგენილ განცხადებაში შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის შეტანა ან არსებითი ინფორმაციის გამოტოვება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

მუხლი 165^7. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის წესებისა და სხვა წესების დარღვევა საბროკერო კომპანიის მიერ დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან თანამშრომლის მიერ „მოკლე“ გაყიდვის, სესხის აღების და სამარჯო ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.

ჟურნალებში, ჩანაწერებში და საანგარიშგებო მოთხოვნებში დარღვევები, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარამდე.

ბროკერების მიერ ქცევის შესახებ კომისიის წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარამდე.

მუხლი 165^8. სავაჭრო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, მათი თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოს წევრების მიერ საანგარიშგებო, კონფიდენციალურობის მოთხოვნებისა და წესების შემუშავების პროცედურის დარღვევა

საანგარიშგებო მოთხოვნების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარამდე.

წესების შემუშავების დადგენილი პროცედურის დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარამდე.

კონფიდენციალურობის მოთხოვნების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

მუხლი 165^9. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის სხვა წესების დარღვევა

პირის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ლიცენზირებული საბროკერო კომპანიის გარეშე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარამდე.

პირის მიერ კანონის დარღვევით ვაჭრობა ლიცენზირებული საბროკერო კომპანიის გარეშე, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარამდე.

პირის მიერ კანონის დარღვევით საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა იმ სავაჭრო ბირჟის (ბირჟების) გარეთ, რომლებზეც ხორციელდება ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარამდე.

პირის მიერ ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენება (ინსაიდერული ვაჭრობა), –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარამდე.

პირის მიერ ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობასთან დაკავშირებით დადგენილი წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარამდე.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თაღლითობასა და მანიპულაციაში პირის მონაწილეობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარამდე.

მუხლი 209^2. ფასიანი ქაღალდების კომისია

ფასიანი ქაღალდების კომისია განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 165^4-165^9 მუხლებით. ფასიანი ქაღალდების კომისიის სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვს ფასიანი ქაღალდების კომისიის თავმჯდომარეს ან წევრს“.

2. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 26-ე ნაწილი:

„ამ კოდექსის 165^4-165^9 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ოქმს ადგენენ ფასიანი ქაღალდების კომისიის საამისოდ უფლებამოსილი თანამშრომლები“.

3. 252-ე მუხლის მე-2 ნაწილში ციფრების „165^1“ შემდეგ დაემატოს ციფრები „165^4-165^9“.

4. 262-ე მუხლის მე-2 ნაწილში ციფრების „164“-ე შემდეგ დაემატოს ციფრები „165^4-165^9“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს კანონი

საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ

ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტებისა და ერთდღიანი ვიზიტიორების (შემდგომში – ტურისტი) აღრიცხვას და სტატისტიკური მონაცემების ბანკის შექმნას, ხელს უწყობს დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ტურისტთა აღრიცხვა არის ქვეყანაში ტურისტული საქმიანობის კონტროლის, რეგულირებისა და დარგის სისტემური მართვის საშუალება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ტურისტი – პირი, რომელიც იმყოფება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, უცხო გარემოში, დასვენების, საქმიანი თუ სხვა მიზნით, ვადით არანაკლებ 24 საათისა და არაუმეტეს ერთი წლისა – უწყვეტად, და ყოფნის ადგილას მისი საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი;

ბ) ერთდღიანი ვიზიტიორი – პირი, რომელიც იმყოფება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, უცხო გარემოში, დასვენების, საქმიანი თუ სხვა მიზნით, ვადით არაუმეტეს 24 საათისა და ყოფნის ადგილას მისი საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი;

გ) ორგანიზებული ტურისტი – პირი, რომელსაც შეძენილი აქვს ტური, ანუ რომლის მოგზაურობა ორგანიზებულია ტურისტული სუბიექტის (ფირმის, საწარმოს, ორგანიზაციის ტუროპერატორის და სხვა) მიერ და იღებს მისგან კომპლექსურ მომსახურებას;

დ) ტრანზიტული ტურისტი – პირი, რომელიც მიემგზავრება მესამე ქვეყანაში საქართველოს ტერიტორიის გავლით.

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

1. ეს კანონი გამოიყენება:

ა) ყველა ტურისტის მიმართ, რომლებსაც აქვთ საქართველოში შემოსასვლელი ვიზა, ან რომელთა შემოსვლა ვიზის გარეშე დაშვებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებთა მიმართ, რომლებიც ტურისტებად მიემგზავრებიან საქართველოდან.

2. ამ კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს საპატიო მოქალაქეებზე, უცხოეთის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა მეთაურებსა და თანამშრომლებზე, იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, საერთაშორისო აეიახაზის ტრანზიტულ ტურისტებზე (მგზავრებზე), რომლებსაც უფლება არა აქვთ დატოვონ აეროპორტში გამოყოფილი ტერიტორია, საერთაშორისო სარეისო სატრანსპორტო ეკიპაჟების წევრებზე.

მუხლი 4. ტურისტთა აღრიცხვის წესი

საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვა ხორციელდება „მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მიგრანტის ბარათის მეშვეობით.

მუხლი 5. ტურისტთა აღრიცხვის განმახორციელებელი ორგანოები

1. ტურისტთა აღრიცხვას ახორციელებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის კონტროლის დეპარტამენტი „მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. ზემოაღნიშნული დეპარტამენტი ტურისტთა მოძრაობის თაობაზე კვარტალში ერთხელ დადგენილი წესით ინფორმაციას აწვდის საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტს.

მუხლი 6. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 1999 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს კანონი

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 19 ნოემბერი, 1996) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვების „საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება“, შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის დადგენილება“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 14^1 მუხლი:

„მუხლი 14^1

1. საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის ნორმატიული აქტია საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის დადგენილება.

2. საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის დადგენილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში“.

3. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა „ბანკისა“ შეიცვალოს სიტყვებით „ბანკის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის“.

4. 28-ე მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვების „საქართველოს ეროვნული ბანკის“, შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის“, ხოლო სიტყვების „საქართველოს ორგანული კანონით“, შემდეგ – სიტყვები „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“.

5. 44-ე მუხლში სიტყვების „საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 24 დეკემბერი.

მეზობლებთან

აზერბაიჯანი

„შევრონი“ დასახმარებლად მოიჩქარის

ცნობილმა ამერიკულმა ნავთობის კომპანია „შევრონმა“ განაცხადა, რომ უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებისათვის ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანის პროექტის განხორციელებაში. ეს განაცხადა კომპანიის პრეზიდენტმა რიჩარდ მაცკემ. მან ხაზი გაუსვა, რომ „შევრონი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ტერმინალების მშენებლობას სუფსის რაიონში და განიხილავს სუფსის გავლით არა მარტო ნავთობის, არამედ თხევადი გაზის, სხვა საწვავის ტრანსპორტირების შესაძლებლობას. „თუ კასპიის რაიონებიდან ევროპისა და აზიის ქვეყნებში საწვავის ფართო ტრანსპორტირების საკითხი დადებითად გადაწყდება, „შევრონი“ მზად არის ყოველგვარი დახმარება გასწიოს, რათა, რაც შეიძლება მალე გადაიჭრას მატერიალური და სხვა ნებისმიერი პრობლემა“, – დასძინა რიჩარდ მაცკემ.

ეროვნული ბანკის რეზერვები

აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის ოქროსა და ვალუტის რეზერვები მარშან, 1998 წელს, 500 მილიონ დოლარს აღემატებოდა.

ეს განაცხადა აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ელმან რუსტამოვმა. 1995 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა სულ 16 მილიონს. შეეხო რა საბანკო სისტემის სრულყოფის საკითხებს, მან აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში რეალურად არის 70-ზე მეტი ბანკი და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საწესდებო კაპიტალის შევსების რეჟიმი კერძო ბანკებისათვის 1999 წლის 1 იანვრისათვის 1,5 მილიონ დოლარს შეადგენდა. გასული წლის პირველი იანვრისათვის მოთხოვნები საწესდებო ფონდისადმი გაცილებით ნაკლები იყო – მილიონი დოლარი.

კანონპროექტი რადიაციული უსაფრთხოების შესახებ

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ბუნებრივი რესურსების, ენერგეტიკისა და ეკოლოგიის საკითხთა მუდმივი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე განიხილეს კანონპროექტი „აზერბაიჯანის მოსახლეობის რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“. ხანგრძლივი დებატების შემდეგ კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კანონპროექტი განსახილველად გადაეცეს მილი-მეჯლისს.

ეს კანონპროექტი ითვალისწინებს ყველა რადიაციული წყაროს უვნებელი მოქმედების სამართლებრივ საფუძვლებს, მოსახლეობის დაცვას რადიაციული საფრთხისაგან.

სომხეთი

ურთიერთობა ვითარდება

სომხეთსა და თურქეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების პროგრამის ფარგლებში ერევანში ხუთ დღეს იმყოფებოდა თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია 10 კაცის შემადგენლობით. როგორც სომხეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტმა არამ ვარდანიანმა განაცხადა, ვიზიტის დროს განიხილეს თანამშრომლობის შესაძლო სფეროები, კერძოდ, ცემენტის, ელექტროენერგიის, საფეიქრო ნაწარმის, პამიდვრის პასტის წარმოებისა და ექსპორტის, ერთობლივი სატრანსპორტო ტვირთზიდვის და სხვა საკითხები, მთელ რიგ საკითხებზე დაიდო ხელშეკრულებები და კონტრაქტები.

ოქროც და სხვა კომპონენტებიც

საწარმოო გაერთიანება „სომხეთოქროს“ არარატის ოქროს მომპოვებელ ფაბრიკაში დამთავრდა საცდელ-სამრეწველო დანადგარის გამოცდა, რომელიც ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს. ამ დანადგარის საშუალებით მთლიანად შეიკრა მადნის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური ციკლი და წარმოება უნარჩენო გახდა. დამატებით მიმდინარეობს მთელი რიგი ძვირფასი კომპონენტების – რკინის აჯასპის, გოგირდოვანი ნატრიუმის და სხვათა მოპოვება.

ბიზნესის განვითარებისათვის

მსოფლიო ბანკმა გადაწყვიტა მისცეს სომხეთის მთავრობას ბიზნესის განვითარებისათვის 11 მილიონი ამერიკული დოლარი.

კრედიტი გამოყოფილია უაღრესად შეღავათიანი პირობებით 35 წლის ვადით და წლიური 0,75 პროცენტით. მთელ თანხას სომხეთის წამყვანი ბანკები 1999 წლიდან მოყოლებული გაანაწილებენ რესპუბლიკის საწარმოთა შორის განვითარების პროგრამების განსახორციელებლად.

„ოქროს ვარსკვლავი“ – სომეხ ექიმს

კემბრიჯის საერთაშორისო სამეცნიერო-ბიოლოგიური ცენტრის (დიდი ბრიტანეთი) „ოქროს ვარსკვლავი“ მიენიჭა სომხეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის დირექტორს, სომხეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ლევონ მკრტჩიანს. ეს საპატიო ჯილდო მას მიენიჭა კიბოსსაწინააღმდეგო დარგში გამოკვლევებისათვის.

მილოცვაში ინგლისელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ავთვისებიან სიმსივნეთა ჰეტეროტრანსპლანტაციის, ბლასტომოგენეზის კონცეფციათა ევოლუციისა და სხვა დარგებში მკრტჩიანის მიერ შექმნილ შრომებს მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ და ისინი წარმატებით გამოიყენება როგორც თავად სომხეთში, ასევე რუსეთში, გერმანიაში, ინგლისში, კერძოდ, ჰაიდელბერგის (გერმანია) ეროვნული კიბოს ცენტრში, ლონდონის ჩესტერ-ბიტის ინსტიტუტში, საფრანგეთის გ. რუსის სახელობის ონკოლოგიის ინსტიტუტსა და ბრიუსელის კიბოსსაწინააღმდეგო ინსტიტუტში, მსოფლიოს სხვა ქალაქებში.

საქინფორმი.

საზღვარგარეთ

ხაზინადართა ხელმრუდობა ბიუჯეტს აცარიელებს

ახალი წელი რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე დიდი აფიორის გახსნით დაიწყო. მოსკოვის ოლქის ფედერალური სახაზინო სამმართველოს საქმიანობის შემოწმებისას გამოვლინდა დიდძალი სახელმწიფო სახსრების უკონტროლო ხარჯვის ფაქტები. როგორც გამოირკვა, საბიუჯეტო ფული განზე გადიოდა 1995 წელს სამმართველოს შექმნის დღიდან. სწორედ მაშინ იყიდა სამმართველომ სხვადასხვა კომერციული ორგანიზაციებისაგან მოსკოვში 6,5 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის ხუთი სახლი, რასაც 6,8 მილიონი დოლარი მოხმარდა. გარდა ამისა, შეძენილია უძრავი ქონება, რომლის ღირებულება 1,3 მილიონ დოლარს შეადგენს. სად გაქრა საბიუჯეტო სახსრებიდან 5,5 მილიონი დოლარი, ჯერჯერობით უცნობია. გამოძიება გრძელდება.

დიალოგი აჩრდილთან

ბორის ელცინი შეიძლება მესამედ გახდეს პრეზიდენტი. თუმცა, არა რუსეთის, არამედ კავშირისა. ასეთი აზრი დაადასტურა პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა **დსთ** ქვეყნებში ივანე რიბკინმა.

ის იდეა, რომ ეფემერული ბელორუსია-რუსეთის კავშირი შეიძლება სრულფასოვანი სახელმწიფო გაერთიანება გახდეს, ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გაისმის. აი ახლაც, რუსეთის მთავარი ინტეგრატორი რიბკინი ჩაება პროცესში. „ელცინისთანა ადამიანების გამოცდილება უბრალოდ ფასდაუდებელია", — თვლის იგი. მით უმეტეს, რომ შესაძლო კანდიდატურისაგან მეორე — ლუკაშენკო — არ ესახება „რეალურად". პრინციპულად, რიბკინი სწორია. როგორიც ერიო, ისეთი ბერიო. აჩრდილისებრ კავშირს უფრო მეტად შეეფერება პრეზიდენტის როლში „ჰამლეტის მამის აჩრდილი", წერს **„მოსკოვსკი კომსომოლეცი"** და განაგრძობს:

19 იანვარს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოში დანიშნულია სახელმწიფო სათათბიროს მიერ მოთხოვნის წესით შეტანილი შეკითხვის განხილვა, რომელიც ელცინის ხელისუფლებისაგან გადაყენებას ეხება. იგი უკავშირდება არა იმდენად „დანაშაულობებს", რომლებსაც ელცინს სათათბიროელები სწამებენ, რამდენადაც პრემიერისათვის ძალაუფლების გადაცემის პროცედურას პრეზიდენტის იმპიჩმენტის შემთხვევაში, აგრეთვე ვადამდელი არჩევნების დანიშვნის წესს, თუ ვინიცობაა, პრეზიდენტი ვერ შეძლებს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას.

პრეზიდენტს გენოციდში ადანაშაულებენ

რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის იმპიჩმენტის სპეციალური საპარლამენტო კომისია თებერვალში დაამთავრებს მუშაობას, — განაცხადა კომისიის ხელმძღვანელმა ვადიმ ფილიმონოვმა (კომპარტიის ფრაქცია). მან აღნიშნა, რომ ამავე დღეს გაიმართება კომისიის მორიგი სხდომა, რომელიც განიხილავს სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების, მეხუთე, დასკვნით პუნქტს — რუსი ხალხის გენოციდი. ფილიმონოვის თქმით, მასზე „გულისმომკვლელი შთაბეჭდილება" მოახდინა ექსპერტთა მიერ მოტანილმა ფაქტებმა.

ლიდერყოფილთა შეხვედრა

საშობაო არდადეგების ბოლო დღე მიხეილ გორბაჩოვმა მეუღლითურთ ისრაელში გაატარა. იგი თელ-ავივში ჩავიდა ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის შიმონ პერესის მიწვევით, რათა მონაწილეობა მიეღო „პერესის მშვიდობის მომხრეთა ცენტრის" მმართველი საბჭოს ყოველწლიურ კრებაში. ამ ორგანიზაციის მიზანია მშვიდობის დამკვიდრება ახლო აღმოსავლეთში, ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის განვითარება ისრაელსა და პალესტინის ავტონომიას შორის. ისრაელში გორბაჩოვს ოვაციით შეხვდნენ. „ქალბატონო რაისა, მარტო თქვენ როდი გიყვართ თქვენი მეუღლე", — ასე მიესალმა პერესი ცოლ-ქმარს. კითხვაზე, რას შეცვლიდა თავის პოლიტიკაში, 10 წლით უკან დაბრუნება რომ შეძლებოდა, გორბაჩოვმა თქვა: „სტრატეგია იგივე მექნებოდა, მაგრამ შესაძლოა, დეტალები შემეცვალაო". გორბაჩოვთან ერთად ისრაელში მიწვეული იყვნენ სხვა ქვეყნების ძველი პოლიტიკური ლიდერები — კოსტარიკის ყოფილი პრეზიდენტი ოსკარ არიას სანჩესი, საფრა-ს ყოფილი პრეზიდენტი ფრედერიკ დე კლერკი და სხვები.

თელ-ავივში გორბაჩოვმა ყვავილებით შეამკო იცხაკ რაბინის მემორიალი.

ინდონეზია: არეულობა გრძელდება

ერთი კაცი დაიღუპა და ორი დაიჭრა იმის შედეგად, რომ ინდონეზიის უშიშროების ძალებმა ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს არეულობის მონაწილეთა წინააღმდეგ ქალაქ კარავანგში, რომელიც 60 კილომეტრით არის დაშორებული ჯაკარტას. აქ ათასმა მცხოვრებმა მიიტანა იერიში პოლიციის უბანზე, დაარბიეს ეთნიკურ ჩინელთა მაღაზიები და ხელყვეს მათი საკუთრება. ძალადობის მიზეზი გახდა უმნიშვნელო კონფლიქტი, როცა პოლიციელებმა დააჯარიმეს ადგილობრივი მცხოვრები — მოტოციკლისტი.

ბოლო ორი თვის განმავლობაში ინდონეზიის ქალაქებს, მათ შორის დედაქალაქს, ძალადობის ტალღამ გადაუარა, რაც განპირობებულია როგორც პოლიტიკური მიზეზებით, ისე რელიგიურ-თემობრივი წინააღმდეგობებით. ამის შედეგად დაიღუპა 30-ზე მეტი და დაშავდა ასობით კაცი, გადამწვარი და შებილწულია ათობით ეკლესია და მეჩეთი. როგორც ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი ალატასმა ჯაკარტაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მთავრობა ძალზე შეშფოთებულია. ჩვენ ვცდილობთ დავძლიოთ უკანონობა და ახლანდელი ძალადობის ტენდენცია, რადგან, თუ მღელვარება გაგრძელდა, ამას ნეგატიური შედეგები მოჰყვება ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობისათვის", — აღნიშნა მან.

რუსმა მესაჭურვლეებმა უნიკალური რაკეტა წარმოადგინეს

რუსეთი მსოფლიო საჭურვლის ბაზარს სთავაზობს „ჰაერ-ჰაერის" კლასის უნიკალურ რაკეტას — რ-74 ე-ააა-11 ნატოს კლასიფიკაციით. იგი საზღვარგარეთული ავიაგამანადგურებლებისათვის არის განკუთვნილი და გამოიყენება ახლო მალამანევრული ბრძოლისათვის, ამასთან, შეიძლება დაიდგას პრაქტიკულად ყოველგვარ საფრენ აპარატზე. რაკეტა გამოდგება წინა თაობების თვითმფრინავების აღსაჭურვავადაც, რომლებიც დიდძალი ოდენობით აქვთ შეიარაღებაზე მესამე სამყაროს ქვეყნებს.

პინოჩეტი ბუზს არ ააფრენს?

ხუთშაბათს ინგლისელი ლორდები კვლავ შეუდგნენ პინოჩეტის საქმის განხილვას. ამასობაში კი, ლუსია ირიარტმა, გენერლის მეუღლემ, გაზეთ „ლა ტერსერას" კორესპონდენტს ინტერვიუში განუცხადა: „რა დანაშაულობებზეა ლაპარაკი, აუგუსტოსთანა უწყინარი კაცი მეორე არ არის, და ახლა იმიტომ სთხოვენ პასუხს, რომ ჩილე მარქსიზმის შავი ჭირისაგან გაათავისუფლაო". მისი თქმით, ყოფილი პრეზიდენტის ოჯახი იძულებული გახდა გაყიდოს ყველაფერი, რაც უდგათ სახლში, რათა გაისტუმრონ ექიმებისა და ადვოკატების ხარჯები.

ჩვენ მარტონი არ ვყოფილვართ ამ სამყაროში

ახალზელანდიელმა ასტრონომებმა ირმის ნახტომის ცენტრში აღმოაჩინეს დედამიწის მსგავსი პლანეტა, სადაც შესაძლებელია სიცოცხლე. სამხრეთის კუნძულის მაუნტ-ჯონის ობსერვატორიაში მიღებულია რადიოსიგნალებისაგან გარდმოქმნილი ამ ციური სხეულის გამოსახულება, რომელიც დედამიწას 25 ათასი სინათლის წელიწადით არის დაშორებული. მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელს ოკლენდელ ფილიპ იოკს მიაჩნია, რომ ჩვენი ტყუპისცალი პლანეტა ზუსტად ისეთივე მასის არის, როგორც დედამიწა, და თავისი მზისგან ისევე დაცილებული, როგორც ჩვენ — ჩვენი მნათობისაგან. ეს კი ნიშნავს, რომ ამ პლანეტაზე მიზიდულობის ძალა და ტემპერატურა არ განსხვავდება დედამიწისეულისაგან, და მაშასადამე, იქ შესაძლებელია სიცოცხლე.

ჩეჩნეთის პარლამენტში მინისტრთა კაბინეტს ამტკიცებენ

ჩეჩნეთის პარლამენტი განაგრძობს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის დამტკიცებას. დეპუტატებმა უკვე დაამტკიცეს 5 მინისტრი, პრეზიდენტ ასლან მასხადოვის მიერ წამოყენებულ ექვს კანდიდატს უნდობლობა გამოუცხადეს. მათ შორის აღმოჩნდნენ კულტურის, ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ახმედ ზაკაევი და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი უმარ ხამბიევი. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ რუსლან ალიჰაჯიევმა განაცხადა, პრეზიდენტის მიერ ამ კანდიდატურების ხელმეორედ დასახელების შემთხვევაში დეპუტატებმა შეიძლება მათ მხარი დაუჭირონ. ასლან მასხადოვის პრესმდივნის თქმით, მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს, ხელახლა წამოაყენოს პარლამენტში დასამტკიცებელი მინისტრების კანდიდატურები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

ლაპლანდიიდან — სიყვარულით

ფინელები საახალწლო დღესასწაულს ოქტომბრის შუა რიცხვებში აღნიშნავენ. ნებაყოფლობით ორგანიზაციებში შემავალი მოხალისენი კარდაკარ დადიან და მოქალაქეებს სთხოვენ ძველ სათამაშოებს ხელმოკლე ქვეყნების ბავშვებისათვის. ნოემბერში ფლეგმატიკური ფინელები უკვე აზრზე მოდიან, ხოლო დეკემბერში იწყებენ სრულმასშტაბიან სმას, მიუხედავად იმისა, რომ სპირტიანი სასმელები ფინეთში ძალზე ძვირი ღირს. და კიდევ — მიდიან არქტიკის მუზეუმში, სადაც არ ბეზრდებათ დედამიწის წაჭრილი კინკრიხოს ყურება, ვინაიდან იგი მსოფლიოს ცენტრს — ფინეთს წარმოსახავს.

კორუფცია

ეროვნული მაფიის თავისებურებანი

კრიმინოლოგი და ჟურნალისტი მსჯელობენ ორგანიზებული დამნაშავეობის შესახებ



როგორც გინდა, ისე განმარტე „მაფია", შედეგი ყოველთვის ერთია...

— მოდით, მოკლედ გავახსენოთ მკითხველს დანაშაულებრივ დაჯგუფებათა „საბრძოლო წესები", უფრო ზუსტად, ის მოდელები, რომლებითაც იქმნება და მოქმედებს დანაშაულებრივი დაჯგუფება.

— თუ ძალზე სქემატურად ვიტყვით, ეს გახლავთ ორი დონე: „ზედა", ლეგალიზებული და ფარული, ჩრდილოვანი. პირველზე განლაგებულია საფინანსო-ეკონომიკური, საინფორმაციო-პოლიტიკური და დამცავ-დეტექტური „დივიზიონები". მეორე, იატაკქვეშა დონეზე — საქვეკონტროლო ბანკები, „სამფარეულო საწარმოები", ორგანიზებული დამნაშავეობის დაჯგუფებათა ძალოვანი სტრუქტურები, რომლებიც ეწევიან დაზვერვას, კონკურენტების დაშინებასა და ლიკვიდაციას. და, ბოლოს, რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ეს თქვენთვის მოსასმენად, — მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კორუმპირებული „სეგმენტი", რომლის ბიზნესის წყაროა შემკვეთთა აპოლოგეტიკა და მოწინააღმდეგეთა დისკრედიტაცია, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება. ამ მოდელის „გეომეტრია" შეიძლება გამოისახოს ოთხი რომბის სახით, რომელთა წვერში იკვეთებიან დანაშაულებრივი, საფინანსო, ეკონომიკური და პოლიტიკური წარმონაქმნების ლიდერები. აი, ამ წერტილებში...

და აქ, მაკიენკომ უბის წიგნაკში ჩამიხატა ეს მოდელი.

— ძალიან ჰგავს ქვიშის საათს. ზედა „კოლბის" შიგთავსი ყველაზე ვიწრო ადგილიდან გადმოდის ქვედაში...

— და გადადის უკან, როდესაც „ქვიშის საათს" გადააბრუნებ. შედარება ზუსტია. სწორედ ამ ჭურჭლის „წელში", ყველაზე ვიწრო ადგილას გადის საბიუჯეტო სახსრების გადატუმბვისა და ბინძური კაპიტალების რეცხვის, ინფორმაციისა და „კადრების" გაზიარების არხები, აქ ხდება დამნაშავე ავტორიტეტების, პოლიტიკური მოძრაობების ფუნქციონერებისა და კორუმპირებული კალმოსნების დაკავშირება.

— სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელთა საახალწლო თათბირზე ითქვა, რომ ორგანიზებული დამნაშავეობის დაჯგუფებათა წინააღმდეგ ჯერჯერობით „ვერა და ვერ ხერხდება ერთიანი ფრონტის შექმნა". როგორ გგონიათ, რატომ?

— მიზეზი მრავალია, მაგრამ მე გამოვყოფ მხოლოდ ზოგიერთს. ჯერ ერთი, დანაშაულებრივი სინდიკატების ცალკეული რგოლები და მათდამი კონტროლი სხვადასხვა სამართალდამცველი ორგანოების იურისდიქციაში შედის, რომ იტყვიან ათი ძიძის ხელში ბავშვმა კისერი მოიტეხაო. კარგად ორგანიზებული, ერთიან სისტემად შეკრული „ბალღი" ანცობს, როგორც მოისურვებს, და ზედაც არ უყურებს თავის უსუსურ, თავგზააბნეულ ძიძებს. მეორე, სამართალდამცველი ორგანოები ხშირად იძულებული არიან, იმოქმედონ სახელმწიფო უშიშროების იმ ძირითად შემადგენელთა გარეშე, რომელთა საქმიანობა სუსტად ან არანაირად არ კოორდინირდება და რომლებიც ამასთანავე განიცდიან ხშირ ცვლილებებს პოლიტიკური კონიუნქტურის საამებლად. ამის შედეგად სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა და ორგანიზებული დამნაშავეობის დაჯგუფებათა საქმიანობისადმი კონტროლის მთელი სისტემა უაღრეს უძლურებას ავლენს. და, ბოლოს, კანონი. არ კმარა თქვა, რომ იგი ვერ არის შექმნილი სიტუაციის ადეკვატური — მთელი რიგ შემთხვევებში კანონი უბრალოდ ხელს აფარებს მაფიოზურ დაჯგუფებებს, ორგანიზებულ დამნაშავეობას და კორუფციას.

— რამდენად მართლზომიერია ტერმინი „მაფია" რუსეთის ორგანიზებული დამნაშავეობის დაჯგუფებათა მიმართ?

— აბსოლუტურად მართლზომიერია.

— წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ კომისარი კატანი, რომელსაც ჟურნალისტები ეკითხებიან, რა არისო მაფია...

— პასუხის გასაცემად სულაც არ არის აუცილებელი სიცილიელი პოლიციის კომისარი იყო. სხვათა შორის, მე შევხვედრივარ მის ცხოვრებისეულ პროტოტიპს. ის, ვინც პროფესიულად სწავლობს რუსეთის ორგანიზებული დამნაშავეობის ფენომენს, საკმაოდ კარგად იცნობს მის იტალიურ-სიცილიურ ანალოგს. ანდა, უფრო ზუსტად, წინამორბედს, და ზოგიერთ მომენტში — „თანამებრძოლ ამხანაგებსაც". ასე რომ, მაფიაზე ვილაპარაკებ როგორც რუსი ექსპერტი, რომელსაც აფიქრებს საკუთარ ქვეყანაში შექმნილი საქმეთა ვითარება. ოღონდ, წინასწარ გთხოვთ, მომიტევოთ „თეორიის" ერთგვარი სიჭარბე — პრაქტიკა თვალწინ გვაქვს ყველას, მაგრამ ყველას როდი ესმის, რასთან გვაქვს საქმე...

— მარად ხასხასებს ხე სიცოცხლისა, როგორც თქვა კლასიკოსმა.

— მაფიოზური „სიცოცხლის ხის" ვარჯს შეადგენს შანტაჟი, მკვლელობა, ძალადობა. მაფიის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს განეკუთვნება, აგრეთვე, „ომერტას (დუმილის) კანონი", ურთიერთთავდებობა, ლიდერის — „ნათლიის" განსაკუთრებული როლი და მისდამი უსიტყვო მორჩილება, მოწინააღმდეგეთა დემონსტრაციულ-სასტიკი განადგურება.

— ყოველივე ეს, სხვათა შორის, არის კომისარ კატანის სერიალშიც...

— დიახ, გარკვეული თვალსაზრისით ეს ფილმი სასწავლო თვალსაჩინოების საშუალებაც იქნებოდა, მაგრამ ჩვენ აქ როდი ველაპარაკობთ კინოზე, თუნდაც ისეთ ბრწყინვალეზე, როგორიც არის კოპოლას „ნათლია". კრიმინოლოგიის ენაზე მაფია — ეს არის მასობრივი ნეგატიური სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, რომელსაც აქვს გარკვეული კანონზომიერებანი, თავისებურებანი და მახასიათებლები.

— ვერც ერთ სამამულო ლექსიკონში ვერ ვიპოვე იტალიური სიტყვის „MAF(F)IA" -ს ეტიმოლოგია...

— ეტიმოლოგია უნდა ვეძებოთ მის არსობრივ ნიშან-თვისებებსა და მახასიათებლებში. ძალზე საგულისხმოა, მაგალითად, მაფიის ჩასახვის კანონზომიერებანი. იგი აღმოცენდა ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური პროცესების, საზოგადოების ფენებად დაყოფისა და მარგინალიზაციის, „დატაკი" დამნაშავეობისა და „თეთრსაყელოიანი" დამნაშავეობის პარალელური ზრდისა და თანდათანობითი შერწყმის ნიადაგზე. ყველა ეს და სხვა კრიზისული მოვლენები, რომლებიც მას წარმოშობს და აისახება დამნაშავეობის დინამიკასა და სტრუქტურაში, იოლი საცნობია რუსეთის სინამდვილეში და ზუსტად ფიქსირდება არა მარტო მეცნიერებაში, არამედ ყოფითს დონეზეც.

— რაც შეეხება ყოფას, სიტყვა „მაფია" მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებაში.

— სიტყვა და, საერთოდ, მეტყველება — ეს არის ერთგვარი ნიშანი, რომელიც მრავალის მთქმელია საზოგადოების მდგომარეობაზე. იცით თუ არა, რომ ქურდული გამოთქმების ხმარება ჩვენს ახალგაზრდობაში დაახლოებით ათჯერ გაიზარდა 80-იან წლებთან შედარებით? არის მთელი „ოჯახი" გამოცემებისა, რომლებიც ახდენენ ახალგაზრდული ჯგუფების ენის, ცნობიერების, ქცევის მოდელის კრიმინალიზაციას.

— და მაინც, მეტისმეტად ხშირად ხომ არ გვაკერია პირზე ეს „მაფია"?

— არა. არსებობს და „სამართლიანად" ფართოდ გამოიყენება მაფიის რამდენიმე ცნება. ფართო თვალსაზრისით — ეს არის ორგანიზებული დამნაშავეობა, მისი სინონიმი. აღნიშნავს ორგანიზებულ დამნაშავეობასთან დაკავშირებულ ადამიანთა ეკონომიკურად გავლენიან ფენას, რომელიც სოციალურ-ეკონომიურ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და გამოირჩევა ცხოვრების განსაკუთრებული სტილით, ხოლო ჩვენს პირობებში „განსაკუთრებული" საქმიანი სტილით, რომელიც ჩამოყალიბდა რუსეთისათვის ტრადიციული ნიჰილიზმის, ორმაგი „კანონიერებისა" და ხელისუფალთა თვითნებობის ატმოსფეროში.

— „ახალი რუსები"?

— არ არის სავალდებულო, მაინც და მაინც ეს ტიპი. თუმცა, მაფიოზური ორგანიზაციები ხშირად იქმნება ეროვნულ-თვისტომური იდენტურობის საფუძველზე. მაგრამ, ყველა მაფიისათვის სავალდებულო და საერთო ნიშანია დანაშაულობათა ჩადენა ორგანიზაციის ეგიდით და სპეციფიკური ხერხებით, დამნაშავეთა დაცვა იმ მძლავრი სტრუქტურების ძალებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ პრაქტიკულ დაუსჯელობას და გამორიცხავენ ქმედითს სამართლებრივ დევნას. და, ბოლოს, ამ ცნებით გამოიხატება ორგანიზებული დამნაშავეობის დაჯგუფებათა ყველაზე შემოსავლიანი სარეწაოები, რომლებიც ხორციელდება ფარულად ან აშკარად, ლეგალური ეკონომიკური სტრუქტურების საფარით: „ნარკომაფია", „ნავთობმაფია", „იარაღის მაფია" და ასე შემდეგ...

— მოდით, შევეხოთ „ეროვნული ნადირობის თავისებურებებს".

— ყოველ ქვეყანაში მაფიოზურ წარმონაქმნს დამახასიათებელი თავისებურებანი აქვს. მაგალითად, აშშ-ში დამნაშავეობამ შეისისხლხორცა იტალიურ-სიცილიური მაფიის ბევრი ნიშან-თვისება — „ოჯახი", „კლანი", რომელსაც სათავეში უდგას ყოვლისმძლე „ნათლია". შზბ-ში მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დანაშაულებრივი სინდიკატის ასეთ ტიპს აქვს მაფიისათვის დამახასიათებელი სამი ნიშანი: სტრუქტურის შინაგანი განტოტვილი სტრუქტურა, საქმიანობის განსაზღვრული სფეროები და პოლიტიკური დაცვა. იტალიურად — „კოზა ნოსტრა" („ჩვენი საქმე").

— გასაგებია, სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი... რუსულ „კოზა ნოსტრაზე" რას იტყოდით?

— მაფიის ყველა ეს ნიშანი შეიმჩნევა ჩვენშიც. ოღონდ, ერთი არსებითი შესწორებით: ლიდერის დაკავების შემდეგ „ფირმა" არათუ არ ცდილობს იატაკქვეშეთში გადასვლას, არამედ აქტიურებს სარეკლამო-პროპაგანდისტულ საქმიანობას. ცდილობს — ხშირად წარმატებითაც — საზოგადოებრიობის თვალში „გაათეთროს თავისი ყორანი".

— სულ ეს არის?

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენმა რუსულმა მაფიამ შეისისხლხორცა მრავალი წლის ქურდული ტრადიციები. „კანონიერი ქურდების" — დამნაშავე ავტორიტეტების ინსტიტუტი, რომლებიც მისდევენ ახალ „სარწმუნოებას" — მაფიოზური საქმიანობის ძირითად დებულებებსა და სტანდარტებს. რუსული დამნაშავეობის ლიდერებმა შეუხამეს თავიანთი გამოცდილება ახალ პირობებს და, შექმნეს რა თავიანთი ორგანიზაციები — 15 უდიდეს ტერიტორიულ დანაშაულებრივ სინდიკატში გაერთიანებული 30 ათასი დაჯგუფება, — გადმოიღეს საზღვარგარეთული მაფიისათვის დამახასიათებელი ნიშნები: ურთიერთთავდებობა, კორუფციული დაცვა, პოლიტიზებისა და ღრმა კონსპირაციის შეხამება, მსხვერპლთა დაშინება და ფიზიკური ლიკვიდაცია, აქტიური წევრების დაცვა ორგანიზაციის მთელი სიძლიერით...

— მაინც, როგორია რეალური ფასი, რაც უჯდება საზოგადოებას მაფიოზური კლანების ბატონობა?

— შეიძლება ვილაპარაკოთ სრულიად კონკრეტულ ღირებულებრივ გამოხატულებაზე. რუსეთის სახელმწიფო საგარეო ვალი 200 მილიარდ დოლარს აღემატება და იგი მნიშვნელოვანწილად საზოგადოების კრიმინალიზაციის შედეგია. რატომ? **შზბ**-ს თანამშრომლებს შორის, რომლებიც უთვალთვალებდნენ რუსეთის სიტუაციას, 90-იანი წლების შუა ხანებში გავრცელებული იყო ასეთი სანაძლეო: რამდენი დღის შემდეგ აღმოჩნდებოდა კერძო პირების საზღვარგარეთულ ანგარიშებზე სახსრები, რომლებსაც სესხად აძლევდა რუსეთს დასავლეთი. ეს სესხი მიღებისთანავე გადაღიოდა კორუმპირებული ისტებლიშმენტის წარმომადგენელთა ჯიბეში, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული უწინარესად მოსკოვის დაჯგუფებებთან, მათ კი სულ ახალ-ახალი „ინექციები" სჭირდებოდათ. და ეს მხოლოდ ერთი არხია კოლოსალური საგარეო ვალის ფორმირებისა. რუსეთის მოქალაქეთა კუთვნილი აქტივების თანხა საზღვარგარეთ, უძრავი ქონების გარდა, 300 მილიარდ დოლარს შეადგენს. მაგალითად, მარტო ესპანეთში უკანასკნელი წლების მანძილზე შეძენილია 60 ათასი ვილა, სახლი, ბინა. და მთელი ამ კოლოსალური თანხების გატანა ხორციელდებოდა რუსეთში მაფიოზური საქმიანობის ზემოქმედებით — გამოძალვის, დანაშაულებრივი ტერორის, ხელისუფლების გახრწნის შედეგად.

— რამდენად სწორია მტკიცება, რომ რუსული მაფია ღრმად არის ჩაბმული ტრანსეროვნულ დანაშაულებრივ გაერთიანებებში?

— ამ კითხვის პასუხი ეკონომიკის სფეროში ძევს. ტრადიციულად, რუსეთს საგარეო ბაზარზე გაჰქონდა ენერგოშემცველები, ფერადი ლითონები, იარაღი. ყველას გვახსოვს 1993-94 წლების შეკვეთილი მკვლელობების სერია, როდესაც მიმდინარეობდა ბრძოლა ალუმინისა და ნავთობგაზის კომპლექსებისადმი კონტროლის ხელში ჩასაგდებად. როგორც შედეგი — საგარეო ბაზარზე ამ „პოზიციების" მიღებით საქმეს უძღვებიან დანაშაულებრივი სამყაროს მესვეურები ან მათთან დაკავშირებული პირნი. რაც შეეხება პოლიტიკას, რუსულმა მაფიამ, ფაქტობრივად, დაასრულა ხელისუფლებრივ-მმართველობითს დონეზე დამნაშავე ავტორიტეტების ლეგალიზაციის პროცესი.

— ვაითუ, მკითხველს ეს რამდენადმე აბსტრაქტულად ეჩვენოს...

— აბა, რა აბსტრაქციაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ჩვენმა მოქალაქეებმა არათუ იციან, ვინ შედის ხელისუფლებაში ჩვენს ქალაქებში, არამედ ხშირად ხმასაც აძლევენ მათ და ცდილობენ დაიცვან? ნუ დაგვავიწყდება ნურც ის, რომ მაფია მასზე ლაპარაკის ასეთ „აბსტრაქტულ-თეორიულ" დონესაც კი ვერ იგუებს. საჯარო გამოსვლებსა თუ პრესაში უარყოფენ დამნაშავე ავტორიტეტების — „კანონიერი ქურდების" კავშირს საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ორგანიზებულ დამნაშავეობას ასაღებენ, როგორც „უწყინარ" ჯგუფურ დამნაშავეობას და ა. შ.

— მე მაინტერესებს ეროვნებათშორის კონფლიქტებში ორგანიზებული დამნაშავეობის ჩაბმის პრობლემა.

— ასეთ კონფლიქტებში მაფიოზურ დაჯგუფებათა მონაწილეობა წინათაც და ახლაც უაღრესად ქმედითია. უნდა გვესმოდეს: ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მისდამი კონტროლი საკუთრების სათანადო გადანაწილებითურთ იყო და არის მაფიის სტრატეგიული მიზანი. შეიარაღებული კონფლიქტი კი საუკეთესო გზაა ამ მიზნის მისაღწევად. მასში კრიმინალურ-პრაგმატული ინტერესები „ეროვნულ-გამათავისუფლებლის" სახით არის შენიღბული, მაგრამ მთლიანად ეს გახლავთ ბრძოლა „კრიმინალური ხელების თავისუფლებისათვის". ორგანიზებული დამნაშავეობის ჯგუფები აფინანსებდნენ სეპარატისტულ მოძრაობებს ჩეჩნეთში, აფხაზეთში, ცხინვალში, დნესტრისპირეთში, ქმნიდნენ საამისოდ კომერციულ ბანკებს მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში, ყიდულობდნენ იარაღს და აგროვებდნენ დაქირავებულებს. ხშირად გზავნიდნენ თავიანთ ხალხს სეპარატისტული რეჟიმების ეშელონებში. კონფლიქტებმა რუსეთის მაფიის ტრადიციულ სარეწაოებში შეიტანა ისეთი „მომგებიანი მუხლი", როგორიც არის ცოცხალი ადამიანებით თუ ნემგით ვაჭრობა, და ტერორიზმი გადააქცია საერთაშორისო ურთიერთობაზე მისი ზემოქმედების საშუალებად. ამ მხრივ, რუსეთის მაფია პირველია მთელ დედამიწის ზურგზე, მაგრამ ეს ველიკორუსებს არ უნდა ეამაყებოდეთ, ვინაიდან, საბოლოო ანგარიშით, იგი კითხვის ქვეშ აყენებს რუსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და მისი მოქალაქეების უსაფრთხოებას.

— გამომდინარეობს თუ არა თქვენი სიტყვებიდან დასკვნა, რომ მაფია მართლაც უკვდავია?

— არამც და არამც. მაფიის განადგურება შესაძლებელია. მაგრამ მასთან ბრძოლის სტრატეგიაზე საგაზეთო ინტერვიუში ლაპარაკი მიმაჩნია, არცთუ კორექტულად და აბსოლუტურად შეუძლებლად — თუნდაც, სამსახურებრივ-პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით. ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ.

ანდრია მაკიანენკო,
შსს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

თეიმურაზ მამალაძე,
„ნოვიე იზვესტია".

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით.

უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

...და ერთი წელიც გავაცილეთ უკეთესობის მოლოდინით

კატის წელიწადი—
1999 წლის 16 თებერვლიდან
2000 წლის 5 თებერვლამდე

ვილენ მარდალეიშვილი

ერთი ავტორის გვერდი

მრავალსახეობა

მოგონებებში ჩაღრმავებულ წიფურიას ფორტუნამ გაუმართლა



შემოვიდა ბორია ღიმილით, ხმაურით და ლამაზად გაფორმებული სქელ-სქელი წიგნი მაგიდაზე დამიდო: ა, ბატონო, რომ გეუბნებოდი, ერთ-ერთ სასიგნალო ცალს შენ მოგიტან-მეთქი, შევასრულე!..

ეს წიგნი ქართული თეატრისა და კინოს დიდად ნიჭიერი და კოლორიტული მსახიობის – ბორის წიფურიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოგვითხრობს... თავიდან ცნობილი თეატრმცოდნე ქალბატონი ნადეჟდა შალუტაშვილი გვაცნობს მსახიობის განვლილ გზას და, შემდეგ იწყება, რაც იწყება: წიგნის უდიდესი ნაწილი ეთმობა ბორის წიფურიას მოგონებებს და ისიც სხარტად, იუმორით, ხალისით გვიამბობს ყოველივეს, რაც გადახდა და, რაც გონებიდან დღემდე არ ამოშლილა.

— როგორ დაიბადა წიგნის შექმნის იდეა? — ვეკითხები სტუმარს.

— ერთ დღეს ჩემმა ყოფილმა პედაგოგმა, ბრწყინვალე პიროვნებამ, ქალბატონმა ნადია შალუტაშვილმა მითხრა, ბორია, შენზე წიგნი უნდა დავწეროო. გავგიჟდი, რა წიგნი, რის წიგნი-მეთქი, მაგრამ ისე შემიჩნდა, მეც დავყაბულდი. შევხვდით, რაღაც-რაღაცეები ჩაიწერა და ერთი სამი თვის შემდეგ წამაკითხა. არ მომეწონა, ნამეტანი გაიდეალებული ვიყავი შიგ, უკეთესი არტისტი ქვეყანაზე არ არისო, წერდა... ავდექი და დამატებით მივუტანე მასალები და ყველაფერი, როგორც იტყვიან, კონდიციამდე დავიყვანეთ.

წიგნი დაიწერა, მაგრამ ახლა გამოცემა მიიხარი შენ!.. პოდა, ბედად, გავიცანი გამომცემელი და მეცენატი, შესანიშნავი მამულიშვილი კოტე წერეთელი. ვენაცვალე, მან იკისრა გამოცემა და, აი, ხომ ხედავ!..

მივუტანე კოტეს ქალბატონი ნადიას ნამუშევარი, გაუკვირდა, ეს რა არის კაცო, ბროშურას ბეჭდავო?.. მიდი, მიუმატე რაღაცეებიო... მეტი რა საქმე მქონდა – თეატრიდან გამიშვეს, კინოში დაკავებული არ ვიყავი. დავჯექი და 12 დღე და ღამე თავი არ ამიღია, რაც გამახსენდა ვწერე და ვწერე, გადავეშვი მოგონებებში. ეს მოგონებები, სახალისო სიტუაციები, ბევრი მოყოლილი მაქვს, ბევრიც უცნობია და, ალბათ, დააინტერესებს მკითხველს. იმედი მაქვს, არ გამკიცხავენ, ასე შეულამაზებლად რომ გავამხილე ყველაფერი. რა ექნა, მე ხომ ცხოვრებაშიც, ისევე როგორც სცენაზე ან ფილმში, რეალისტად ვრჩები. წიგნში ფოტომასალაც ჩავრთე, ეს სურათები აცოცხლებენ თეატრალურ ინსტიტუტში ჩემი სტუდენტობის პერიოდს, მეგობრებთან, კოლეგებთან, ჩემ ძვირფას ადამიანებთან გატარებულ დროს.

— ეს ყველაფერი კარგია და სასიამოვნო, ჩემო ბორია, წინასწარ ვიცი, სულ სიცილ-ხიცილით წავიკითხავ შენს მოგონებებს, მაგრამ, რახან ხელში ჩაგიგდე, მოდი ერთი „ფორტუნაზეც“ ვისაუბროთ. ეს ტელეშოუ უცებ გახდა პოპულარული, გამოჩნდა შენი სამსახიობო ნიჭის ახალი წახნაგები...

— ვითომ?... კიდევ უნდა დახვეწა... ისე კი, ვატყობ, მაყურებელმა ცუდად არ მიიღო.

სატელევიზიო თამაშებს, ჩემო ვილენ, საერთოდ, ამერიკელები დგამენ. ჩვენ რომ გვგონია, ვაიმე, რუსებს რა კარგი სატელევიზიო თამაშები აქვთო, ეს სულ ამერიკელებისგან არის წამოღებული თუ ნაყიდი. დიახ, ამერიკელები დგამენ თამაშებს და მერე ყიდიან სხვადასხვა ქვეყანაში. ასე შეიძინა ერთ-ერთი თამაში ჩვენი ტელევიზიის რეჟისორმა კახა კახაბრიშვილმა.

— შენ როგორღა მოაგონდი?

— არ ვიცი... ეს კი ვიცი, რომ ერთ დღეს ტელევიზიაში მისვლა მთხოვა და მაჩვენა კასეტა, ანუ შოუ პროგრამა, რომელშიც ინგლისელი ახალდაქორწინებული წყვილები მონაწილეობდნენ. პროგრამას საოცარი ელეგანტურობით უძღვებოდა ინგლისელი კომიკოსი. თუ მოგეწონაო, მკითხა კახამ. მე აღფრთოვანებული ვიყავი და არც დავიმალავს. მინდა, მსგავსი პროგრამა გავაკეთო და წაყვანას თუ იკისრებო... რატომაც არა-მეთქი.

კახამ სახლში გამატანა კასეტა და კიდევ რამდენჯერმე ვნახე ყოველივე. ამასობაში იდეაც მომივიდა: სულ ახალდაქორწინებულნი მოსაწყენი იქნება მაყურებლისათვის და, ქართული ტრადიციისამებრ, ოქროს და ვერცხლის გვირგვინოსნებიც ხომ არ შევურიოთ-მეთქი. იმწუთას აიტაცა იდეა შემოქმედმა ჯგუფმა და უკვე ვაჩვენეთ კიდეც ორი წყვილი.

მალე დარბაზში მაყურებლის პრობლემაც გადავჭერით – რომ მეტი სიმხიარულე და აზარტი ყოფილიყო, მაყრიონი დავსვით, რამაც უდავოდ გაამართლა.

— პირდაპირი ეთერი და უფრო მეტი იმპროვიზაცია ხომ არ აჯობებდა?..

— ასეც იყო ჩაფიქრებული და პირველი გადაცემა პირდაპირ ეთერით წავიდა, მაგრამ ერთმა ახალგაზრდა კაცმა კარგი რომ ვერ გამოიცნო, გულიანი გინება წამოსცდა და მივხვდით, ეგრე არ ივარგებდა. ამიტომ პარასკევობით ეხვდებით წყვილებს, ესაუბრობთ, ვაზუსტებთ რაღაც-რაღაცეებს და მოულოდნელობებისგანაც დაზღვეული ვართ.

— ვინ არჩევს ამ წყვილებს?

— ქორწინების სახლი იძლევა რეკომენდაციას და ჩვენც ვენდობით მათ.

— იმედია, რომ თანდათან უკეთესი გახდება პროგრამა.

— ჯერ სადა ხართ!..

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

საშობაო ჩანახატი

თქვენ ახლო ხართ მაღლა ღმერთთანა



საოცრად მოუხდა ამ სიმაღლესა და ნარიყალას ქედს წმინდა ნიკოლოზის ტაძარი, რომელიც ორიოდე წელიწადია, რაც ხელმეორედ „დაიბადა“ და მთელი სიდიადით გადმოხედა თბილისს. იგი ქართული ხუროთმოძღვრების მე-13 საუკუნის ძეგლია და დღემდე, ძირითადად, მხოლოდ საძირკველი იყო შემორჩენილი.

უკვე ცნობილია, ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, თუ როგორ მოვიდნენ აქ ოთხმოციანი წლების ბოლოს ენთუზიაზმით აღვსილი ახალგაზრდები შესანიშნავი მამულიშვილების – რომან გვენცაძისა და გურამ ფასჯიკიძის თავკაცობით, როგორ გაწმინდეს ტაძრის ირგვლივ გაუვალი ეკალ-ბარდები, როგორ „განაახლა“ ტაძრის არქიტექტურა არქიტექტორმა ტარიელ კაპაროიძემ, როგორ დაიწყო მშენებლობა, მერე კი ქვეყანაში დატრიალებულმა უბედურებებმა როგორ შეაჩერა იგი. ბიზნესმენ თემურ კვარაცხელიას დახმარებით კი, ეს რამდენიმე წელიწადია, კვლავ გაგრძელდა ეს საქვეყნო საქმე და, ბოლოს და ბოლოს, კეთილად განესრულა.

კედლების მოხატვა აკლდა ტაძარს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერაფერი კეთდებოდა. ადგა რომან გვენცაძე და ნიჭიერ მხატვრებს – **ლადო თევდორაძესა და დათო ხიდაშელს** დააკისრა ეს დიდად საპატიო მისია. ეს ახალგაზრდები თავიდანვე აქ ტრიალებდნენ, სხვებთან ერთად შრომობდნენ და გვენცაძემ მათი ფასი კარგად იცოდა.

— საპატრიარქოსთან შეთანხმების შემდეგ, — მიამბობს ლადო თევდორაძე, — **სექტემბერში შევუდექით საქმეს და საკურთხევლისა და გუმბათის მოხატვა უკვე დავასრულეთ. თუ მშვიდობა იქნება, ამ გაზაფხულზე მთლიანად მოვრჩებით...**

ლადო თევდორაძე ერთ-ერთი საინტერესო ფერმწერია, მრავალი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო გამოფენის მონაწილეა, რელიგიური თემა მისთვის უცხო არ არის. დათო ხიდაშელს კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უკვე მოხატული აქვს რამდენიმე ეკლესია, წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მოხატვისას თითქოს შეერთდა ორი ახალგაზრდა შემოქმედის ნიჭი და უნარი, თითქოს ერთი კაცი აკეთებს ამ წმინდა საქმეს.

შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ დაეით ალმაშენე[illegible] გვენცაძე...

ოცდაათმეტრიან [illegible] ლაპყრობილი, მაწ[illegible] სოებით ასურასხ[illegible] ბიბლიურ პერსო[illegible] ლი ხატწერის [illegible] თგულად აღ[illegible] ნობენ, რა [illegible] ღმერთთან, სულ [illegible]

სურათზე: მთავარანგელოზი გაბრიელი; ლადო თევდორაძე და დათო ხიდაშელი.

ლექსპრომტი კოლეგას



50 წლის სპარტაკ ქობულიას

აბაშიდან ჩამოვიდა, ლიხის ქედი გადმოლია,
ამბობს, ჩემისთანა ბიჭი ფაკულტეტზე არ ჰყოლიათ,
და დღეს შუბლის მოტიტვლებას, თუმცა
ჯავრობს ქობულია,
არა უშავს, მთავარია, მისი საქმე ქებულია.

ქებულია ოჯახით და კალმითა და ხუთი ძმითა,
ვარკეთილის ღამეები იმათ სიყვარულშიც ცვითა,
დავულოცოთ საქართველო, ნამეტნავად - სამეგრელო,
რაც აქამდე გულს დააკლდა, აწი გაეტანოს ლელო!

ბელა ღურღლიშვილის ნახატი.

მარიამის დაბადება

ამაზე სასიამოვნო ფაქტი რა უნდა იყოს: ახალი წლიდან დღემდე, ანუ ორ კვირაში მარტო № 5 სამშობიარო სახლში (მთავარი ექიმი ა. ლაბარტყავა) სამოცამდე ბავშვი დაიბადა. – ამათგან, 95 პროცენტი ქართველია,

– ამბობს გამოცდილი გინეკოლოგი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის დოცენტი **ვენერა ქელიძე. – საერთოდ, მშობიარენი აქ არასდროს გვაკლდა. მართალია, თბილისის უდიდეს მონაკვეთს – გლდანის რაიონს ვემსახურებით, მაგრამ მოდიან ქალაქის სხვადასხვა კუთხეებიდანაც. ახლა, ჩემთვის უხერხულია, ვისაუბრო იმაზე, თუ რა კარგ გარემოში უხდებათ ყოფნა დედებს, ჩვილებს, ან რა კარგი სპეციალისტები გვყავს... ამაში, შეგიძლიათ, თავად დარწმუნდეთ.**

პოდა, დავრწმუნდით კიდეც: მართლაც, თან გადაყვნენ ჩვენს ახლობელს (და, ჩვენი იქ ყოფნისა და ლოდინის პერიოდში, სხვებსაც – კიდევ 3-4 მშობიარეს) ეს ჩვენი ვენერა ქელიძე, მეან-გინეკოლოგი თამარ ბუაჩიძე, ბებიაქალები – ნაზი ხუციშვილი და მარინე ოქროპირიძე, პედიატრები – მარინე ლობჟანიძე და ნარგიზა ლებანიძე, პალატის ექთანი – ნაზი საბაშვილი, სანიტრები – ელიკო ლეკიშვილი და გულო ლაჭავა...

ველოდებით, ბოლთასა ვცემთ, თან, მოსაცდელში კედლებს ვათვალიერებთ. აქაოდა, მაინც სარემონტო და შესალებიაო, გახარებულ მშობლებს (მამებს), დეიდებს, მამიდებს, ბიძებს... (ვერც გაამტყუნებთ), ზედ „ისტორიული“ თარიღები ამოუტვიფრავთ: „1997 წლის 10 აგვისტოს აქ დაიბადა ელენე ჯიმკარიანი“, „ენაცვალოს მამიდა, აქ დაიბადა ბექა მოსიძე, წონა 4 კილო“, „1998 წლის 15 სექტემბერს აქ დაიბადა მთიელი ვაჟკაცი ლევან გუგიძე“, „1998 წლის 10 აპრილს აქ დაიბადნენ დათო და ანა კვანტალიანები“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

... და, აი, გაჩნდა საქართველოში კიდევ ერთი ახალი სიცოცხლე!.. ვულოცავთ ერთმანეთს, უპირველესად – მამას – გოგონას დაბადების გამო ოდნავ ნირწამხდარ ვალერის.

– რას არქმევ?! – ვეკითხები და ყურს ოდნავ ვუწევ.

– რა უნდა დავარქვა... მარიამი, ცხადია...

– აბა, გაუმარჯოს მარიამ სებისკვერაძეს!..

დიდ მადლობას ვუხდით მედპერსონალს, ვტოვებთ ბედნიერ დედას – ჩვენს კარგ ნინიკოს და ახალშობილს, რომელმაც, ღვთის შეწევნით, მთელი ოცდამეერთე საუკუნე უნდა გაიაროს და ქვეყანა ასახელოს.

ამინ!

პუბლიცისტის რწმენა

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა **მიხეილ მახარაძის** პუბლიცისტური წერილების კრებული „სხალთის ზარების ექო“, რომელიც აგრძელებს ავტორის ადრინდელი წიგნის – „სხალთის ზარები. წერილები აჭარაზე“ (1996) – თემატიკას და ასახავს ბოლო წლებში აჭარაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.



კრებული პოლემიკური ხასიათისაა და მის პირველ განყოფილებაში ძირითადად წარმოდგენილია 1996-97 წლებში პრესაში გამოქვეყნებული და ზოგიერთი გამოუქვეყნებელი წერილი. კრებულის მეორე განყოფილებაში კი შესულია ის გამოხმაურებები, რაც მოჰყვა „სხალთის ზარების“ გამოსვლას.

ახალ კრებულში მიხეილ მახარაძე ერთგულია თავისი მრწამსისა – „მოყვარეს პირში უძრახეს“ პოზიციიდან დაარისხოს განგაშის ზარი, როცა ამას საქვეყნო საქმე მოითხოვს.

ლექსის სისადავე

ბედმა ისე ინება, რომ ერთ ნიჭიერ რაჭველ კაცს – **გიული ციხისელს** თვალისჩინი წაართვა, თუმცა მას რწმენა და მომავლის იმედი არ დაუკარგავს და, ხანდისხან, ლექსსაც ახლობს ხოლმე თავის ფიქრს და სათქმელს. იქნებ, ამიტომაც გამოირჩევა სიწრფელითა და სისადავით გიული ციხისელის ლექსები, რომლებიც მისმა ახლობლებმა – კეთილმა ადამიანებმა აკინძეს და გამომცემლობა „სამშობლოში“ გამოსცეს.

ქართული პრესის სუპერლიდერი
- საინფორმაციო სააგენტო
მარადი
მოგვითხრობს

მოდა — 99

გოგონებო, დაიგრძელეთ მინიკაბები

ლიკა ყაზბეგი ჩემი კოლეგაა.

– ყოფილი კოლეგა, – მისწორებს ლიკა და განმარტავს, – მართალია დავამთავრე ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და პრესაშიც ვმოღვაწეობდი, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ჯერჯერობით სულ სხვა გზით წამიყვანა.

ლიკა ყაზბეგმა დააარსა სტუდია, რომელიც მოდელებს ამზადებს.

– მაინც, რა შემთხვევა იყო ლიკა, ასე რომ დაგათმობინა ჩვენი პროფესია?

– ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ დროებით დავთმე, უკეთესი მომავლის იმედით ვარ, რადგან, ვატყობ, თანდათან ფასდება ჟურნალისტის პროფესია... ვნახოთ, რა იქნება, შეიძლება ჟურნალიც კი გამოვცე... ჯერჯერობით კი მოდელებთან ვმუშაობ...

– აბა, ერთი მომიყევი...

– სტუდია „ლიკა ყაზბეგი“ საკმაოდ პოპულარულია ქალაქში. აქ უკვე თვითონ მოდიან მიმზიდველი გარეგნობის ქალ-ვაჟები, რომელთაც მე სიარულს ვასწავლი... დიახ, დიახ, არ გაგიკვირდეთ, ბევრმა არ იცის სწორად სიარული; ვერ ზომავს ნაბიჯს, მხრებს, თავს ვერ იჭერს...

– კი მაგრამ, თქვენ ვინ შეგასწავლათ ეს ყოველივე?

– მასწავლა ენთუზიასტმა, სომეხი ეროვნების ქორეოგრაფმა, რომელსაც სპეციალური სკოლა ჰქონდა დამთავრებული ერევანში...

–ლიკა, თქვენ „ენთუზიასტი“ ახსენეთ... ნუთუ, დღეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მართლა ენთუზიაზმით ამეცადინებთ ახალგაზრდებს?

– უმეტესობას – კი.

– და, ბოლოს და ბოლოს, მათ პოდიუმისთვის ამზადებთ?

– არა მარტო პოდიუმისთვის, ბევრი მათგანი მუშაობს ფოტომოდელად, სტუდიაში შეძენილი მანერები საშუალებას აძლევთ თამამად მიიღონ მონაწილეობა სილამაზის კონკურსებში, რეკლამებში, ტელეშოუ პროგრამებში და ა. შ.

– რა დრო სჭირდება, ლიკა, ამ „ბედნიერებას“?

– ზოგს სამი თვე (ამათგან, რა თქმა უნდა, გასამრჯელოს არ ვიღებ), ზოგსაც - მეტი.

—ლიკა, უკვე ახალი, 1999 წელი დგას, რას ურჩევდით მოდების მოყვარულთ, მაინც რა ფერებს მიანიჭონ წელს უპირატესობა?..

– წელს, მოგეხსენებათ, ჩინური კალენდრის მიხედვით, კატის წელიწადია, ამიტომ, უმჯობესია, ყვითელი ფერი, ნაცრისფერი და ყავისფერი სჭარბობდეს ჩაცმულობის საერთო ანსამბლში. მინიკაბების მოყვარულთ მოუწევთ მუხლისთავებამდე დაიგრძელონ კაბები, კვლავ სექსუალურ შტრიხად ითვლება გრძელ კაბებზე ჭრილის გაკეთება, სასურველია – წინა მხარეს. მაკიაჟი ბუნებრივს უნდა უახლოვდებოდეს. უკეთესია, თუ იგი მკრთალი იქნება. თმის ვარცხნილობას რაც შეეხება, წელს, სასურველია, გოგონებმა მოკლე „ჩოლკები“ ატარონ, ისე, რომ ჩანდეს წარბები.

– ეს, ყველაფერი, მშვენიერი სქესისთვის არის, ძვირფასო ლიკა... მამაკაცებმა რაღა ქნან?

– მამაკაცებმა გამოიყენონ ზემოთ აღნიშნული სამი ფერი და ჩაიცვან ე.წ. „კარდინალები“, გრძელი კოსტუმები.

– ლიკა, ახალმა ცხოვრებამ, ჟურნალ-გაზეთებმა და ტელევიზიამ უამრავი უცხოელი მოდელი გაგვაცნო, თითქოს და ყველაფერი ვიცით მათ შესახებ. ამ ფონზე რა პერსპექტივები აქვთ ქართველ მოდელებს?

– პერსპექტივა მათ ახლა გაუჩნდათ, შესაძლებლობა კი მომავლის საქმეა. ადრე თუ მათ კომუნისტური რეჟიმი უშლიდათ ხელს, ამჯერად უფრო ფინანსური პრობლემები ელობებათ. ამას ემატება ქართული სიზარმაცე, უნდობლობა იმ ხალხის მიმართ, ვინც მათ ფართო პერსპექტივებს სთავაზობს საზღვარგარეთ.

სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ უნდობლობას რეალური მიზეზებიც აქვს: საქართველოში უკვე „მოღვაწეობენ“ ე. წ. შოუმენები, რომლებიც კარგი გარეგნობის გოგონებს (უფრო მოზარდებს) ვარდის ფერებში უხატავენ პერსპექტივებს, სინამდვილეში კი სულ სხვა ინტერესები ამოძრავებთ. მე პირადად ვიცი, რომ რეალური საქმის გამკეთებელი მხოლოდ რამდენიმე პიროვნებაა თბილისში.

საერთოდ კი, რა თქმა უნდა, ამ სფეროს ჩვენში დიდი პერსპექტივა აქვს – უამრავია ეშხიანი, ასე ვთქვათ, მომგებიანი გარეგნობის გოგონა... თქვენ ხელის შეწყობა მიიხარით!..

სურათებზე: ქართველ დიზაინერთა კოსტუმებს წარმოგვიდგენს მოდელი ჯუნიკო ჯაშიაშვილი.

XXI საუკუნის საქართველოს მშენებლები

მეგობრის ვაჟიშვილი

1999 წელს უფრო საინტერესო საქმიანობას გეგმავს

ვაჟიშვილი მევუძე ჯუმბერ თითმერიას – ცნობილ ლიტერატორსა და მთარგმნელს, გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის“ მთავარ რედაქტორს, – რაღაც მჭირდებოდა და თან გადამყვა-მეთქი.

ცხადია, გაეხარდა, სახე გაებადრა: – აბა, რა უნდა ექნა, კაცოო...

ლევან თითმერია, მართლაც, სასიამოვნო ახალგაზრდაა. მის საუბარს რომ ისმენ, მის საქმიანობას რომ აკვირდები, უეჭველად გაიფიქრებ, რომ ეს ქვეყანა მთლად დაღუპული არ არის, და ხვალ-ზეგ, ამათი თაობა უკეთეს საქართველოს ააშენებს. ლევანი შპს „საარის“, ანუ ერთი მომცრო სტამბის თავკაცია და, „მომცრო“ უძახეთ თქვენ, სტამბა უმაღლეს დონეზე ბეჭდავს პოპულარულ ჟურნალ-გაზეთებს, ალმანახებს, წიგნებს... მაგალითად, აქ გამოდის „ცისკარი“, „XX საუკუნე“, „აფრა“, „დრამატურგია“...

ლევან თითმერია, შეიძლება ითქვას, შემთხვევით გახდა გამომცემელი და პოლიგრაფისტი. იგი სპეციალობით არქეოლოგია, სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას გერმანიაში მიავლინეს. ეს ის დროა, ქართველები რომ ერთმანეთს ესვრიან რუსთაველის პროსპექტზე, ჩაკეტილია აეროპორტი, აღარ არის მიმოსვლა და, ლევანიც, ძალაუნებურად, გერმანიაში რჩება, რაც შესანიშნავად გამოიყენა – საარბრიუკენის უნივერსიტეტის კოლეჯში უფრო ღრმად დაეუფლა გერმანულ ენას.

სამშობლოში წამოსვლის წინ ლევან თითმერიამ, თანამოაზრეების, პარტნიორების ხელშეწყობით სტამბა შეიძინა, ჩამოიტანა თბილისში, გამართა და, აი, უკვე რამდენიმე წელიწადია, ეს სტამბა მრავალნაირ შეკვეთებს იღებს და ასრულებს.

– ლევან, როგორც გავიგე, შემკვეთები კმაყოფილი არიან შესრულებული სამუშაოს ხარისხით, საერთოდ, გამოცემის თანამედროვე დონით, რაც მთავარია, ფასებიც ხელმისაწვდომიაო...

– რახან ამ საქმეზე „გადართვა“ გადავწყვიტე, გერმანიაში ყოფნისას შევეცადე საბაზრო ეკონომიკის პრინციპები შემესწავლა. ჩვენთვის ამჟამად მთავარია კლიენტურის სიმრავლე, მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ანუ პროდუქციის ხარისხი და ხარისხი... რაც შეეხება ფასებს, ამაზე მოვრიგდებით... თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რა ძვირია დღესდღეობით პოლიგრაფიული მასალები, მაგრამ კლიენტის მდგომარეობაც გასათვალისწინებელია. ახლახან მოვიდა ერთი ავტორი – წიგნი ჰქონდა გამოსაცემი, მეუბნება, ერთ-ერთ სტამბაში თქვენმა კოლეგებმა იმხელა თანხა მიანგარიშეს, თვალები შუბლზე ამივიდაო, მერე თქვენთან მომასწავლესო... დავიანგარიშე, მის თვალწინ კალკულატორით მივუმატე, გამოვაკელი, ფასებიც კი გავზარდე, მაგრამ მაინც ვერ „ავწიე“ იმ ჩვენი კოლეგების დასახელებულ თანხამდე... რას იზამთ, საბაზრო ეკონომიკაა, ზოგს ასე აძლევს ხელს და ასე მუშაობს...

თქვენ გაინტერესებთ აგრეთვე რა იყო გასულ წელს ჩემთვის მეტ-ნაკლებად სამახსოვრო?.. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. თუმცა, როგორ არა!.. ჩემი მშობლების საცხოვრებელი კორპუსი გოთუას ქუჩაზე კინაღამ დაინგრა, პიზის კოშკივით არის გადახრილი და, ჯერჯერობით, ჩემ ოროთახიან ბინაში ერთად, კოლექტიურად ვცხოვრობთ ყველანი. მშობლებსა და მათ მეზობლებს – 90 ოჯახს – ასე წვალებით რომ არიან სადღაც-სადღაც შეხიზნულნი, როდის დააკმაყოფილებს ბინებით მთავრობა, კაცმა არ იცის.

შარშან, ჩვეულებრივად, ვბეჭდავდით ჟურნალ-გაზეთებს, გამოვეცით რამდენიმე ძალზე კარგი წიგნი, აი, წელს კი, ალბათ, უფრო საინტერესო უნდა გახდეს ჩვენი საქმიანობა: უკვე შემოვიტანეთ ახალი დანადგარი, რაც, ცხადია, გააუმჯობესებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. რაც მთავარია, წელს ჩვენ თვითონ მივიღებთ დედნებს, ჩვენ თვითონ გავამზადებთ საბეჭდად, ანუ შეიქმნება გამომცემლობა. ეს კი, კონკურენციის პირობებში, პასუხისმგებლობას გვმატებს.

ტოლერანტობა / სპორტი

ერი და ეროვნება

ტოლერანტობა — ისტორიული ტრადიცია

გიყვარდეს შენი ერი და პატივს სცემდე სხვა ერს, სხვა ეროვნებას

ქართველი ხალხი ოდითგანვე საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებების მიმართ თანასწორუფლებიანი, შემწყნარებლური ურთიერთობით გამოირჩეოდა.

მარტო ის რად ღირს, რომ ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, ჩვენს ტერიტორიაზე დასახლებულ ებრაელებთან ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს.

თავის დროზე დავით აღმაშენებელმა საქართველოში ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახი ჩამოასახლა. ჩამოსახლებულ ოჯახებთან ქართველთა შუღლის არც ერთი ფაქტი მემატიანეს არ შემოუნახავს. ასე გრძელდებოდა მაშინაც, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს გადამთიელთა უღელი ედგა.

ვერც ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ და ვერც ახლო წარსულში სუსლოვისდროინდელმა, „საბჭოთა ხალხის, როგორც ახალი ისტორიული ერთობის" უგუნურმა პოლიტიკამ შეცვალა ქართველი ხალხის ტოლერანტული, პატრიოტული ბუნება.

ყოველგვარი ეროვნული განსაკუთრებულობისა და ყოყოჩობის გარეშე დადასტურებულია, რომ ქართველებს ოდითგანვე მოსდგამდა ერთი ცნობილი სენტენცია — გიყვარდეს შენი ერი და პატივს სცემდე სხვა ერს, სხვა ეროვნებას, რაც სრულებით არ ნიშნავს ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმას. იგი წლების განმავლობაში იყო და არის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა სოციალურ-პოლიტიკური უფლებების აღიარების, სახელმწიფოებრივ მართვაში მათი მონაწილეობის, კულტურის განვითარებაში ხელშეწყობის აქტიური თანამონაწილე.

სახელმწიფო კანცელარიაში უკვე რამდენიმე წელიწადია მოქმედებს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განყოფილება, რომლის მუშაობას კურირებს საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნებათაშორისი ურთიერთობის დარგში, პროფესორი ალექსი გერასიმოვი.

იგი დაიბადა 1936 წელს თბილისში. 1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ა. იოფეს სახელობის ლენინგრადის ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც იყო მივლინებული საკანდიდატო შრომის შესასრულებლად. 1989 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ი. კურჩატოვის სახელობის მოსკოვის ატომური ენერგიის ინსტიტუტში.

ამჟამად არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკის კათედრის გამგე. გამოქვეყნებული აქვს 180-მდე სამეცნიერო ნაშრომი საქართველოში და უცხოეთში. არის ექვსი პატენტისა და ერთი აღმოჩენის ავტორი. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

— ბატონო ალექსი, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამას წინათ მთავრობის სხდომაზე განიხილეს საკითხი, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან კულტურული თანამშრომლობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. რას იტყოდით ამის თაობაზე?

— დიახ, დეკემბერში მთავრობის სხდომაზე განიხილეს ეს საკითხი, მაგრამ პრეზიდენტმა მას ფართო და მასშტაბური დატვირთვა მისცა. მან მოითხოვა საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქის მენტალიტეტის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით შექმნილიყო მრავალწლიანი პროგრამა ქვეყნის მრავალეროვნულობის გათვალისწინებით. ეს ერთი მხრივ მიუთითებს, რომ პრეზიდენტი დიდ ყურადღებას აქცევს აღნიშნულ საკითხს, მეორე მხრივ კი იმას, რომ ჩვენ უკვე შევძელით ნორმალური ქვეყნის სახე მიგვეღო და დადგა ჟამი მის ყველა მოქალაქეზე, მათ შორის ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებზე ზრუნვისა.

ხსენებული გრძელვადიანი პროგრამა მოიცავს მრავალ ასპექტს. მაგრამ უმთავრესი მიმართულება, ალბათ, ახალგაზრდობის აღზრდა, მომავალში ქვეყნის აღმშენებლობაში მათ ჩასართველად მომზადება იქნება.

— რა ვითარებაა არაქართული მოსახლეობის მიერ საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართული ენის შესწავლის საქმეში?

— ჩვენ ხშირად ვიმყოფებით ეროვნული უმცირესობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში და მოწმენი ვართ იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თავად ითხოვს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის შესწავლას. კარგა ხანია საქართველოში შექმნილია და ხორციელდება სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამა. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისათვის ამ მიზნით გასულ წელს გამოიყო 700 ათასი ლარი. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ქართული ენის მასწავლებლების ნაკლებობას განვიცდით, მხედველობაში მყავს კვალიფიციური მასწავლებლები. გვაქვს წინადადებაც: იქნებ ეს პრობლემა გადაიჭრას ჯარის ალტერნატიული სამსახურის შემოღებით. ქართული ენის ახალგაზრდა სპეციალისტებმა, თუკი სურვილი ექნებათ, ჯარის ნაცვლად აღნიშნულ რეგიონებში ენის სწავლებას რომ მოჰკიდონ ხელი.

ასეა თუ ისე, აღნიშნული პრობლემა უნდა გადაიჭრას და ზემოხსენებული მრავალწლიანი პროგრამაც, ალბათ, სათავეს დაუდებს სრულფასოვანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საკითხის გადაწყვეტას.

ამას წინათ ქვემო ქართლში ჩატარდა ენის დღე. ეს იყო შესანიშნავად მოწყობილი ზეიმი, რითაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მოსახლეობა მართლაც მოწადინებულია სახელმწიფო ენის შესწავლით.

— ბატონო ალექსი, საინტერესოა, როგორ შეაფასებდით ეროვნული უმცირესობის მდგომარეობას ჩვენთან, სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან შედარებით?

— ეროვნულ უმცირესობათა პრობლემა საქართველოსთვის ყოველთვის უცხო იყო. რაც შეეხება ამჟამინდელ მდგომარეობას, ნება მომეცით სტუმრების ენით გიპასუხოთ. ჩვენთან ჩამოსული იყო **ეუთოს** ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი **მაქს ვან ლერ სტული,** რომელმაც დადებითად შეაფასა საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა. ასეთივე შეფასება გამოთქვა ცნობილმა რუსმა ადამიანის უფლებათა დამცველმა **კოვალიოვმა.** სულ ახლახან, ევროკავშირისათვის საქართველოში ეროვნული უმცირესობის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად, ჩვენთან გახლდათ დელეგაცია ევროპის ხალხთა ფედერალური კავშირის პრეზიდენტის **რომედი არკვინტის** ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა ჩვენთვის კარგად ცნობილი მწერალი **სვეტლანა ჩერვონაია,** რომელმაც ობიექტური წიგნი დაწერა აფხაზეთის მოვლენებზე. დელეგაციამ ძალზე შრომატევადი საქმიანობა გასწია და კარგად შეისწავლა საკითხი. ბოლოს ჰქონდათ შეხვედრები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან და ქვეყნის პრეზიდენტთან. უკვე მომზადებულია ევროკავშირში წარსადგენი ანგარიში, რომელიც 12 ენაზე გადაითარგმნება და საქვეყნოდ გავრცელდება. ამას წინათ დელეგაციისაგან მივიღეთ ძალზე თბილი წერილი. მასში დადებითად არის შეფასებული ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა ჩვენში და გამოთქმულია მადლობა იმ ხელშეწყობისათვის, რომელიც მათ აღმოვუჩინეთ აქ მუშაობის პერიოდში.

— რას გვეტყოდით ე.წ. „მესხეთელი თურქების" შესახებ?

— უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთი პრობლემა, რომელიც ჯერაც გადაუჭრელი აქვს საქართველოს, ეს არის რეპატრირებულ მესხთა პრობლემა. 80-იან წლებში, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით, ამ პრობლემის ეტაპობრივი გადაწყვეტა დაიწყო. რეპატრირებულ მესხთა ნაწილს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გამოუყვეს ნაკვეთები და დაასახლეს. ამჟამად სიტუაცია სხვაგვარია. ეს პრობლემა ჩვენმა სტუმრებმაც დაწვრილებით შეისწავლეს. ამ საკითხზე საუბარი გაიმართა ქვეყნის პრეზიდენტთანაც, აღინიშნა საკითხის ამ ეტაპზე გადაწყვეტის სირთულე, ამასთან — მისი გადაწყვეტის აუცილებლობაც. დაისახა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით მისი ეტაპობრივი გადაწყვეტის გზები.

— რა ვითარებაა ჯავახეთში?

— ჯავახეთის პრობლემა, როგორც ასეთი, უფრო ზოგიერთი ჟურნალისტის შექმნილია. ჩვენ შემოვლილი გვაქვს ჯავახეთის თითქმის ყველა სოფელი. ვესაუბრეთ ადგილობრივ მოსახლეობას, ორგანიზაცია „ჯავახკის" ხელმძღვანელებს, ქართულ და სომხურ მხარეს და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჯავახეთის მხარეში არავითარი საშიშროება არ არსებობს. რა თქმა უნდა, არის პრობლემები, მაგრამ ისინი უმთავრესად ეკონომიკური ხასიათისაა. ავიღოთ ყბადაღებული, იქ განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზა. ადგილობრივ მოსახლეობას არ სურს ამ ბაზის გაუქმება. ოპოზიცია მათი მხარდამჭერი პრესის მეშვეობით ყიჟინას ტეხდა — ადგილობრივი სეპარატისტები რუსეთის სამხედრო ბაზას ეყრდნობიანო! საკითხი კი გაცილებით მარტივად ასახსნელია — ადგილობრივი მოსახლეობის ძალზე დიდი ნაწილი ეკონომიკურად არის დაკავშირებული ამ ბაზასთან, ზოგი იქ მსახურობს, იქ იღებს ხელფასს, შოულობს საწვავს და ა.შ. ესე იგი, იქ რუსეთის ბაზის არსებობის საფუძველი უმთავრესად ეკონომიკური ხასიათისაა. ან ავიღოთ ასეთი მაგალითი: როდესაც საქართველოში ბრძანდებოდა სომხეთის პრეზიდენტი, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დასვა პროვოკაციული შეკითხვა — ხომ არ იქნებოდა კარგი, თქვენი შეხვედრა (იგულისხმებოდა პრეზიდენტების შეხვედრა) ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ჯავახეთში შემდგარიყო. რაღა თქმა უნდა, მას იქვე გაეცა სათანადო პასუხი. მაგრამ ავისმდლომებმა ხმა დაარხიეს, ჯავახეთი ნეიტრალურ ზონად იხსენიებაო.

რა თქმა უნდა, ჯავახეთში არსებობს სეპარატისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, მაგრამ როგორც რიცხობრივად, ისე გავლენის მხრივ, იგი იმდენად უმნიშვნელოა, რომ რაიმე სერიოზულ საფრთხეზე საუბარი ყოველმხრივ უსაფუძვლოა.

— ბატონო ალექსი, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც აღიარებს და ანგარიშს უწევს მთელი ცივილიზებული მსოფლიო. თქვენ მოგეხსენებათ, რომ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბებულია ქართული დიასპორები, რომელთაც, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა მშობლიურ ენაზე დაიკმაყოფილონ სულიერი მოთხოვნილებები. რა მუშაობას ეწევა ამ მიმართულებით თქვენი სამსახური?

— სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებულ ქართულ დიასპორებთან მუშაობის გააქტიურება ჩვენი სამსახურის ერთ-ერთ გადაუდებელ და სამურ საქმედ მიგვაჩნია. ამ ბოლო დროს აქტიურად ამოქმედდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება, რომელმაც პირველი საერთაშორისო კონფერენცია გამართა და სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, თურქეთისა და ირანის, თანამეგობრობის სახელმწიფოების ქართულ დიასპორათა წარმომადგენლებს უმასპინძლა. ამას წინათ, აზერბაიჯანში ოფიციალურად გაფორმდა ქართული სათვისტომო. თქვენ, ალბათ, იცით, რომ საინგილოში — კახის, ბელაქნისა და ზაქათალის რაიონებში ჩვენს თანამემამულეებს დიდი ყურადღება სჭირდებათ. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. განათლების სამინისტროს დახმარებით შევიტანეთ 20 ათასი ლარის ქართული სახელმძღვანელოები. შეიქმნა ერთობლივი ქართულ-აზერბაიჯანული კომისია, რომელსაც აზერბაიჯანის მხრიდან ჩემი კოლეგა, ეროვნულ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი ჰიდაიათ ორუჯევი ხელმძღვანელობს.

ქართული სახელმძღვანელოები ჩავიტანეთ სომხეთშიც და დავურიგეთ სომეხ ბავშვებს, რომლებიც ქართულ ენას სწავლობენ. უაღრესად საინტერესოა, რომ ერევანში ორმა სომხურმა სკოლამ ქართული ენის შესწავლის სურვილი გამოთქვა. საქმიანი ურთიერთობა გვაქვს რუსეთის, საბერძნეთის, ისრაელის ქართულ დიასპორებთან, ამ და სხვა ქვეყნების საელჩოებთან. პრეზიდენტის დავალებით უკვე ჩამოვაყალიბეთ კონცეფცია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობისა და მხარდაჭერის საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ.

— ბატონო ალექსი, თქვენ უპირველესად მეცნიერი ბრძანდებით. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოში ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლამ და მისმა დინჯმა, ყოველმხრივ მოზომილმა პოლიტიკამ აგვაცილა ეროვნულ უმცირესობებთან ხელოვნურად გამოწვეული გარკვეული გართულებები. ისიც სათქმელია, რომ ეს პრობლემა ადგილებზე მეტ ყურადღებას იმსახურებს. ასეთ ვითარებაში, ხომ არ გიფიქრიათ, რომ თბილისში და იმ რაიონებში სადაც კომპაქტურად არის დასახლებული არაქართველი მოსახლეობა, ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებული შტატების ხარჯზე შეიქმნას ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის განყოფილებები?

— თქვენს მიერ დაყენებული საკითხი ყურადღებას იმსახურებს. ამის თაობაზე ჩვენც გვიმსჯელია და, ალბათ, შესაბამისად ავსახავთ იმ პროგრამაში, რომელზეც ამჟამად ვმუშაობთ და განსახილველად მთავრობის სხდომაზე წარვადგენთ. ყოველივე ის, რაც მე მოგახსენეთ, ნაწილია იმ მუშაობისა, რომელსაც ჩვენ ვატარებთ. ვიმედოვნებ, მომავალში უფრო კონკრეტული, საგნობრივი საუბარი გვექნება.

— ეს კითხვა პირადად თქვენ, პროფესორ ალექსი გერასიმოვს გეხებათ. ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ თქვენი ნაშრომი „მყარ სხეულში მეტასტაბილური სტრუქტურების ტრანსფორმაცია-თერმოსტიმულირებული ეგზოელექტრონული ემისიის წყარო", აღიარებულია, როგორც აღმოჩენა.

— დიახ, ამის თაობაზე, ოფიციალური შეტყობინება მივიღე.

— სულითა და გულით გილოცავთ ამ აღიარებას და ახალ წარმატებებს გისურვებთ.

— გმადლობთ.

ესაუბრა
აბესალომ იმედაშვილი.

НАШЕ МАЙБУТНЕ

სურათებზე: ალექსი გერასიმოვი; შეხვედრა უკრაინელთა დიასპორის ოფისში.

კარატე

სურათებზე: „შოტოკან კარატე-დოს" თბილისის კლუბის ნორჩი სპორტსმენების გამოსვლის მომენტები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ასპარეზობენ ნორჩები

საქართველოში ძალუმად შემოიჭრა აღმოსავლური ორთაბრძოლების ისეთი სახეობა, როგორიც არის კარატე. მის მზარდ პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა კარატეს ფართოდ დანერგვა საჯარისო ნაწილებში.

კარატე პოპულარულია ნორჩ სპორტსმენთა შორისაც. მომრავლდა კარატეს შემსწავლელი წრეები, ჯგუფები. მათს დაოსტატებას კი საკმაოდ კვალიფიციური მწვრთნელები ხელმძღვანელობენ.

გახშირდა ჩვენი კარატისტების წარმატებებიც. უკვე საკმაოდ გვყავს სხვადასხვა ქამრისა და „დანის" მფლობელები, რომლებიც იოლად თავს არ აჩაგვრინებენ თვით აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებსაც კი.

ცნობილია კარატეს რამდენიმე ნაირსახეობა. ერთ-ერთი გახლავთ „შოტოკან კარატე-დო". სწორედ ამ სახეობაში გაიმართა საინტერესო საჩვენებელი გამოსვლები თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს დარბაზში გუშინწინ, რომელმაც დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ჭადრაკი

ნანა ჩინებულ ფორმაშია

დიდოსტატ ნანა იოსელიანს წლეულს მეტად საპასუხისმგებლო სეზონი აქვს — მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ორგზის მონაწილეს სექტემბერში სულ სხვაგვარი მსოფლიო პირველობა მოელის, რომელიც ნოკაუტ-სისტემით გაიმართება.

ახლა ნანა წარმატებით მონაწილეობს გერმანიის ქალთა ბუნდესლიგაში, სადაც იგი „უსვ პალეს" გუნდში თამაშობს. საინტერესოა, რომ ბუნდესლიგაში ბევრი უცხოელია. ასე, მაგალითად, ნანას გუნდში მეორე დაფაზე თამაშობს ცნობილი უნგრელი დიდოსტატი ილდიკო მადლი, რომელიც თავისი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ლიდერია, სხვა გუნდებში გამოდიან მარტა ლიტინსკაია (უკრაინა), ბობროვსკა-მილოსლავსკა (პოლონეთი), გიზელა ფიშდიკი (შვეიცარია), სიუზან ლალიჩი (ინგლისი). რაც შეეხება ქეთევან კახიანს, იგი ვაქთა ბუდესლიგაში თამაშობს.

ნანა იოსელიანი პარტიას პარტიაზე იგებს. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ ტურში მისი მეტოქე იყო მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირების არაერთგზის მონაწილე ჩინელი პენგი, რომელიც ახლა იცავს... ჰოლანდიის სახელს, ბუნდესლიგაში კი პირველ ადგილზე მყოფ გუნდ „ელბელფელდში" გამოდის. ნანამ ეს გამოცდილი დიდოსტატი დაამარცხა, თუმცა შავებით თამაშობდა.

თბილისელი — იტალიის ჩემპიონი

იტალიის ჩემპიონატში ამ ქვეყნის 10 უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის — ყოფილი თბილისელი იგორ ეფიმოვი, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია რომში ცხოვრობს. იგორ ეფიმოვი იტალიის ნაკრების მწვრთნელია და საერთაშორისო ოლიმპიადებზე ამ ქვეყნის პირველ დაფაზე თამაშობს.

ჩემპიონატი სან-ვინსენტში გაიმართა. პირველი ადგილისათვის ბრძოლა ძირითადად დიდოსტატებს — ეფიმოვსა და გოდენას შორის მიმდინარეობდა. საბოლოოდ ეფიმოვმა 6,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გოდენა მას ნახევარი ქულით ჩამორჩა და საერთაშორისო ოსტატ ბულოგნისთან ერთად მეორე-მესამე ადგილები გაიყო.

საუკეთესო ათეული

გამოქვეყნდა ფიდეს ახალი რეიტინგ-ლისტი. საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება; 1. გარი კასპაროვი (რუსეთი) — 2812, 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — 2783, 3. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) - 2740, 4-5. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) და ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — 2726: 6. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — 2712, 7. პეტერ ლეკო (უნგრეთი) — 2711, 8-9. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) და მაიკლ ადამსი (ინგლისი) — 2710, 10. პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) — 2703.

ფეხბურთი

რუსეთის ნაკრები კრიზისს განიცდის

როდესაც რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ვიაჩესლავ კოლოსკოვს** ეკითხებიან:

— დაგვეთანხმეთ, ჩვენი ფეხბურთი კრიზისს განიცდის. — იგი ასე უპასუხებს:

— მე სხვანაირად ვიტყოდი: ეს ჩვენი ნაკრები განიცდის კრიზისს.

— რა არის, თქვენი აზრით, ამ კრიზისის მიზეზი?

— თუკი სულ თავიდან დავიწყებთ, კრიზისის დასაბამი საბჭოთა კავშირის დაშლას დაემთხვა. 1988 წელს ჩვენ ჯერ მეორე ადგილი დავიკავეთ ევროპის ჩემპიონატში, შემდეგ კი სეულში ოლიმპიური ჩემპიონებიც გავხდით. 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში ვითამაშეთ, შემდეგ კარგად წარვმართეთ ევროპის 1992 წლის პირველობის შესარჩევი ტურნირი.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რის ვაივაგლახით, უფრო კი **უეფაში** ჩემი გაელენის წყალობით, შევინარჩუნეთ ადგილი ევროპის პირველობაზე დსთ-ს ნაკრების სახელწოდებით. ეს **ფიფას** დებულების უხეში დარღვევა იყო, რადგანაც იქ სრულიად გარკვევით წერია, რომ ნაკრები თავის ქვეყანას უნდა წარმოადგენდეს, მაშინ, როდესაც ასეთი ქვეყანა — დსთ საერთოდ არ არსებობდა. ჯერ იყო და, გფრ-ს და ჰოლანდიის ნაკრებებთან ფრედ ვითამაშეთ, მაგრამ შემდეგ წაგებამ შოტლანდიელებთან ანგარიშით 0:3 ჩვენს იმედებს ხაზი გადაუსვა.

აი, სწორედ ამ დროიდან იწყება ჩვენი ნაკრების რეგრესი, მაგრამ იგი მაინც მოხვდა 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტთა რიცხვში. ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, ჩვენი ნაკრები შიგნიდან ააფეთქეს: ჯერ შეადგინეს ცნობილი წერილი მწვრთნელების გადაყენების მოთხოვნით, შემდეგ ფეხბურთელების ნაწილმა თამაშზე უარი განაცხადა. იმ დროს რომ ჩვენ, — ყველა დონისა და რანგის ხელმძღვანელები — ერთსულოვანნი ვყოფილიყავით და მწვრთნელ პაველ სადირინისათვის მხარი დაგვეჭირა, შეგვეძლო სიტუაცია კონტროლისათვის დაგვექვემდებარებინა. ეს, მოგეხსენებათ, არ მოხდარა. შედეგი კი ის იყო, რომ ნაკრებში მოიწვიეს ის ფეხბურთელები, რომელთაც წერილს ხელი მოაწერეს, აგრეთვე, ისინიც, ვინც ეს არ გააკეთა. ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა, ერთიანი ნაკრები, როგორც ასეთი, არ არსებობდა და ყოველივე ეს შედეგშიც აისახა.

იმან, რაც მოხდა, მოთამაშეებს რწმენა დაუკარგა, დაიწყო ჩივილი და ჩხირკედელაობა, რომელიც 1996 წლის დასაწყისამდე გაგრძელდა. ამის მიუხედავად, რუსეთის ნაკრები მაინც გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში. მისმა ახალმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა შეძლო სიტუაციის სტაბილიზაცია, წინააღმდეგობების დაძლევა, მაგრამ წარსულის გამოძახილი მაინც დარჩა. კვლავ დაიწყო ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული კინკლაობა. საბოლოოდ, კვლავ დავმარცხდით.

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ვერ მოვხვდით, თუმცა ნათელია, რომ იმ შესარჩევი ჯგუფიდან საგზური ჩვენ უნდა დაგვრჩენოდა.

ყოველივე ეს დღეს ისტორიას მიეკუთვნება, თუმცა, მასაც თავისი სიმართლე აქვს. განა საიდუმლოა, რომ უკანასკნელი წლების საბჭოთა კავშირის ნაკრებში ძირითადად უკრაინის, საქართველოს, მოსკოვის წარმომადგენლები თამაშობდნენ. შემდეგ კი, ქვეყანა რომ გაიყო, რუსეთი პირისპირ აღმოჩნდა ბრაზილიის, არგენტინის, გერმანიის, იტალიის, ინგლისის, ესპანეთის ნაკრებებთან.

გულახდილები ვიყოთ: რუსეთის ნაკრების ადრინდელი დონეც მხოლოდ იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ევროპისა და მსოფლიო პირველობების ფინალურ ნაწილში გავსულიყავით, ისიც იმიტომ, რომ შესარჩევი ტურნირების წილისყრის დროს მაინცდამაინც ხელსაყრელი მეტოქეები გვხვდებოდნენ ხოლმე.

იტალიელებთან, გერმანელებთან და ფრანგებთან ჩვენმა შეხვედრებმა კი ცხადჰყვეს, რომ არა გვყავს ევროპული და მსოფლიო დონის ფეხბურთელები.

ჩვენი საზოგადოებრიობა ნაკრებისადმი საკმაოდ გულგრილად არის განწყობილი. ახლა ბევრი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ფეხბურთს შეეძლო ეკისრა „ეროვნული იდეის" თავისებური კატალიზატორის როლი, ამით საზოგადოების ყველა ფენა გაეერთიანებინა. შეიძლებოდა ამაზე დავეთანხმებულიყავით, თუმცა, მართალია, ამის დეკლარაცია კი ხდება, მაგრამ პრაქტიკულად საზოგადოებრიობის მიერ ნაკრების მატერიალური მხარდაჭერა მინიმალურია. რუსეთის ფეხბურთელთა კავშირმა ნაკრების შესანახად თვით უნდა გამონახოს სახსრები. ჩვენმა მიმართვამ შემდგომი ინსტანციებისადმი არავითარი შედეგი არ გამოიღო.

— ყალმუხეთის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი ირწმუნებოდა, რომ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მისი არჩევის შემთხვევაში ნაკრები 2002 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. თქვენ ხომ არ აიღებთ ასეთ ვალდებულებას?

— რა თქმა უნდა, არა, თუკი 2002 წლისათვის ჩვენ შევქმნით რუსეთის ახალ ნაკრებს, მაქსიმუმი, რასაც კი შეიძლება მისგან ველოდოთ, ეს გახლავთ შესარჩევ ტურნირში გამარჯვება და მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გასვლა. იქ კი საპრიზო ადგილს მას ვერავინ მოსთხოვს.

ყოველი მხრიდან

ბრძოლა ყველგან საჭიროა

იშვიათი შემთხვევა როდია, როცა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონები თავიანთი ქვეყნის „ჩვეულებრივ" ჩემპიონატებში აღარ მონაწილეობენ, არ ვიცი, „მუნდირის შებღალვისა", შიშისა თუ „ვარსკვლავთავადმყოფობის" გამო, თუმცა, ფიგურულ სრიალში რუსეთის ახლანდელმა ჩემპიონატმა დაადასტურა, რომ ვითომდა, „ახალბედებთან" ბრძოლა არათუ სათაკილო, არამედ საპატიოცა და ძალზე ძნელიც ყოფილა.

მაგალითად, ქალ ერთეულთა სრიალში, მართალია, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონმა მარია ბუტირსკაიამ და მეექვსედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, მაგრამ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ნორჩებმა იულია სოლდატოვამ და ვიქტორია ვოლჩკოვამ. მათ უკან მოიტოვეს ამ სახეობის ისეთი „ასები", როგორებიც არიან ევროპის ორგზის ჩემპიონი ირინა სლუცკაია და „გრან-პრის" ეტაპების გამარჯვებული ელენა სოკოლოვა. ამით მათ გზა გადაეკეტათ ევროპის მომავალი ჩემპიონატისაკენ, რომელიც 24 იანვარს პრაღაში იწყება.

თითქოს მივეჩვიეთ, რომ წყვილთა შეჯიბრში გამარჯვებულად აუცილებლად უნდა მოიხსენიებოდეს სანქტ-პეტერბურგელი „ჩვენებური" ანტონ სიხარულიძე. ასე იყო ახლაც. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ჩემპიონებს ელენა ბერეჟნაიასა და ანტონ სიხარულიძეს სათანადო მეტოქეობა თითქმის ვერავინ გაუწია და კვლავ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აღმოჩნდნენ. ეს ყველაფერი გასული კვირის 4-7 იანვარს მოხდა, კვირადღეს კი სახელოვანი დუეტი იაპონიაში აღმოჩნდა — ტოკიოში გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი, სადაც ელენამ და ანტონმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ჭეშმარიტად პირველები არიან!

ცეკვებში კი ყველა დაჯაბნეს ნატალია ლინჩუკის აღზრდილებმა. უპირველესად კი ანჟელიკა კრილოვამ და ოლეგ ოვსიანიკოვმა.

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონები ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე.

კორდა თავს იმართლებს

ალბათ, გახსოვთ, შარშან დეკემბერში ცნობილ ჩოგბურთელს პეტრ კორდას ბრალად წაუყენეს, რომ შარშანდელი უიმბლდონის ტურნირის დროს აღებული დოპინგის სინჯში აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატები, რის გამო მას ჩამოართვეს სარეიტინგო ქულები და ფული, რომელიც პრიზის სახით მან ამ ტურნირზე მოიპოვა. უფრო მკაცრ განაჩენს მოელოდნენ, მაგრამ მსოფლიოს მე-13 ჩოგბურთელი მაინც დაუშვეს წლევანდელი სეზონის ტურნირებზე.

ახლა იწყება ძალზე პრესტიჟული ავსტრალიის ღია ჩემპიონატი და მასში მონაწილეობისათვის იქ ჩავიდა „შერისხული" კორდაც, მან ხომ შარშან ამ ტურნირში გაიმარჯვა, ზოგიერთმა ჩოგბურთელმა, მათ შორის გორან ივანიშევიჩმა, ჯიმ კურიემ, იონას ბორკმანმა და სხვებმა — განგაში ატეხეს: კორდა ტურნირზე არ დაუშვათ, თორემ ჩვენ აღარ ვითამაშებთო.

გუშინწინ მელბურნში გაავრცელეს ჩეხი კორდას სპეციალური განცხადება. როგორც მასშია ნათქვამი, ზოგიერთი ჩოგბურთელის პროტესტის მიუხედავად, ის მაინც მიიღებს მონაწილეობას ჩემპიონატში, რათა დაიცვას შარშანდელი გამარჯვებულის წოდება.

იგი კვლავ აცხადებს, რომ აბსოლუტურად უდანაშაულოა. „მე არასოდეს მიცდია სხვა პროფესიონალ მოთამაშეებთან უპირატესობა მომეპოვებინა არაკანონიერი საშუალებებით!" — აცხადებს პეტრ კორდა.

უძღვება
ანზორ ბასილაია.

მოძალადე გაიქცა

ქარელის რაიონის პოლიციას მიმართა სოფელ ავნევში მცხოვრებმა, 1970 წელს დაბადებულმა რაულ გორგაძემ, რომელმაც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს აცნობა, რომ მისი თანასოფლელი, 1977 წელს დაბადებული ვალერი ჯახველაძე ცდილობდა გაეუპატიურებინა 1977 წელს დაბადებული ნატალია ლ. შსს პრეს-ცენტრის ცნობით, ჯახველაძე იმის გაგების შემდეგ, რომ გიორგაძემ პოლიციას მიმართა, სოფლიდან გაიქცა. გამოძიებას ამ საქმესთან დაკავშირებით აწარმოებს რაიონული პროკურატურა. ტარდება ოპერატიული ღონისძიებები ჯახველაძის დასაკავებლად.

გუგეშაშვილის გათავისუფლება სამეგრელოს მოსახლეობამ უნდა მოითხოვოს

დოდო გუგეშაშვილის გათავისუფლება შესაძლოა, თუ ამას სამეგრელოს მოსახლეობა მოითხოვს, — უთხრა პრაიმ-ნიუსს პარლამენტის პენიტენციალური სისტემისა და მსჯავრდებულთა საკითხების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ.

„მხედრიონის“ ერთ-ერთ ლიდერს დოდო გუგეშაშვილს 1997 წელს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას ბრალად სამეგრელოს რაიონის მშვიდობიან მოსახლეობაზე ყაჩაღური თავდასხმები და ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის გადაწვაში მონაწილეობა ედება.

თევდორაძის თქმით, სანამ სოფელ დარჩელის მოსახლეობა მის უდანაშაულობაში არ დარწმუნდება, გუგეშაშვილ თავისუფლება არ სურს.

ტრაგიკული კალანდა

ქობულეთის რაიონში „ვაზ-2101“ მარკის ავტომანქანამ, რომელსაც სოფელ ხუცუბანში მცხოვრები გიორგი ბლადაძე მართავდა, „იკარუსის“ მარკის ავტობუსს დაეჯახა, რომელსაც მართავდა 35 წლის ემზარ ერგემლიძე. როგორც ბეა-ს კორესპონდენტს საქართველოს შსს პრესცენტრში აცნობეს, ავარიის შედეგად „ვაზ-2101“-ში მყოფი 20 წლის ალეკო გოგიტიძე და 25 წლის დავით თხილაიშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალნენ, ხოლო გიორგი ბლადაძემ სხეულის დაზიანებები მიიღო.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: ბეამ, პრაიმ-ნიუსმა.

SIC!

წელიწადი დაიწყო,

ხომ არ დაგავიწყდათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა?

„საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველდღიურად გამოდის. ერთი თვით გამოწერა 11,25 ლარი დაგიჯდებათ დედაქალაქში, 13,65 ლარი — ქალაქგარეთ. ამ თანხაში შედის „საქპრესისა“ და ს/ს „მაცნეს“ მომსახურების ღირებულებაც.

ვინც უშუალოდ გაზეთის გამომცემელ შპს „პრესა-98“-თან პირდაპირი ხელშეკრულებით მოისურვებს „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერას და რედაქციიდან წაიღებს შეკვეთილ ეგზემპლარებს, მას ბევრად იაფი დაუჯდება — ერთი თვით 9 ლარი დედაქალაქში, 10,5 ლარი — ქალაქგარეთ; სამი თვით — 27 ლარი დედაქალაქში, 31,5 ლარი — ქალაქგარეთ; ექვსი თვით — 54 ლარი — დედაქალაქში; 63 ლარი — ქალაქგარეთ.

დაგვიკავშირდით, მობრძანდით: კოსტავას ქ. №14,
ტელ: 93-26-99, ან ნებისმიერ საფოსტო განყოფილებაში.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ «საქართველოს რესპუბლიკა!»

მილოცვა
თინა წულეისკირ-შენგელიას

საყვარელო თინა ბებო!

21 საუკუნის კარბიჭესთან სულითა და გულით გილოცავთ 80 წლის იუბილეს. შენი სითბო, შენი მარადიული სილამაზე, კეთილი გული და უდიდესი შრომის ნაყოფი არ მოგკლებოდეს.

გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენთან ერთად.

გეხვევით და გკოცნით შენი საყვარელი შვილიშვილები.

ბესიკ, ირინა, მამუკა, თინიკო, თამრიკო, მაია და თეა შენგელიები.

ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ საჯარო ვაჭრობით იყიდება სს სამრეწველო სავაჭრო ფირმა „ამირანის“ კუთვნილი ოთხსართულიანი საწარმოო კორპუსი საერთო ფართი 4285.6 კვ.მ. მდებარე, კოსტავას ქ. № 69-ში.

საწყისი ფასი 120 000 ლარი.

საჯარო ვაჭრობა გაიმართება ა/წლის 25 იანვარს დღის 12 საათზე, ვაჩნაძის ქ. № 9-ში მთაწმინდის რაიონის სასამართლოს შენობაში.

დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ ამავე სასამართლოს აღმასრულებლებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელმა შპს „პრესამ“ ცალკე წიგნად გამოსცა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

დაინტერესებულ გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს წიგნის დიდი რაოდენობით ან უშუალოდ გამომცემლისგან შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.

მისამართი:
მ. კოსტავას 14,
მე-4 სართული,
ტელ: 93-26-99.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო გიწვევთ აუქციონებსა და კონკურსებზე

რაიონი	ობიექტი	საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ დოლარებში)
თბილისი	III მასივის ზ/პლატოზე „სავაჭრო ცენტრში“ მდებარე სახაზინო საწარმო „ტაბახმელაზე“(ყოფ. ხურსათვაჭრობის მაღაზია №5) რიცხული ქონება 363,24 კვ.მ. და პავილიონი 30,7 კვ.მ.	6812,8
	III მასივის ზ/პლატოზე „სავაჭრო ცენტრში“ მდებარე 305,43 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი	5601,5
	საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „ქ“ კორპუსი მდებარე კოსტავას ქ.№70	100000
	სასაერო ხომალდი (პლანერი მოტორების გარეშე) იაკ-40 (საბორტე ნომერი 65750)	50000
	სასაერო ხომალდი (პლანერი მოტორების გარეშე) იაკ-40 (საბორტე ნომერი 87305)	54000
ზუგდიდი	ს/ს „ზუგდიდის ფაიფურის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტი (საწესდებო კაპიტალის 45,20, 28656 ცალი აქცია). ობიექტის მისამართია ქ.ზუგდიდი, ახალგაზრდობის ქ.№1	20000
გარდაბანი	შ.პ.ს. „აგროსერვისი ლილო“-ს ბალანსზე რიცხული სალორის შენობა მდებარე სადგურის ქ.№5-ში	101548
	„სახაზინო საწარმო აგრარული სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „გარდაბანი“ მდებარე ქ.გარდაბნის მიმდებარე თბილწყაროს დასახლებაში	2502

შენიშვნა: ნუსხაში მოყვანილი ობიექტების ღირებულების დაფარვა მოხდება ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი კურსით.

ამასთანავე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსებს საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12) პირველ სართულზე არსებული 11 კვ. მ. ფართის ხუთი წლით იჯარის ფორმით (ყოველწლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა შეადგენს 1000,0 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში) და საქართველოს გარემოს დაცვის ინსტიტუტის (ქ. თბილისი, ხაზეიშვილის ქ. №75) შენობის ნაწილის 1168 კვ. მ. 10 წლით იჯარის ფორმით (ყოველწლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა შეადგენს 5000,0 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში) გაცემის მიზნით.

აუქციონი ნულოვანი საწყისი ფასით, რომლებზეც გამოტანილი იქნება ამორტიზებული და ფიზიკურად გაცვეთილი ობიექტები, მოეწყობა ხონში.

გარდა ამისა, 22 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით მიიღება განაცხადები სპეციალიზებულ აუქციონზე აქციათა ნულოვანი საწყისი ფასით.

საპრივატიზებო ობიექტებზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრეს“ 25 დეკემბრის №53-ში და 7 იანვრის №1-ში.

გახსენება

რომან ზაალიშვილი



უსაზღვროა შენი მოულოდნელი სიკვდილით გამოწვეული მწუხარება, უკვე ორმოცი დღე გავიდა და თვალზე ცრემლი არ შეგვშრობია, წახვედი და გაუნელებელი ტკივილი დაგვიტოვე. ნუთუ მოგონებად დარჩები? არადა რა ძნელია, შეელიო ტკბილად მოსაგონებელ წლებს, დღეებს, იმას, რაც ჩვენს დიდ, მრავალშვილიან, ბედნიერ ოჯახთანაა დაკავშირებული. შენ ხომ დიდი სიხარული იყავი, შვილებში გამორჩეული, განებრივებული, დედას ოთხი გოგოს შემდეგ რომ დაებადე და ეს დღე — 15 იანვარი, ჩვენთვის ბედნიერების დღედ დაამკვიდრე. დღესაც 15 იანვარია, შენი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღე, დღესაც შევიკრიბებით შენი ახლობლები, მეგობრები, შენს დაობლებულ ოჯახში, მაგრამ დაბადების დღის მოსალოცად კი არა — სამარადისო სასუფევლის გზაზე გასაცილებლად (რა მწარე დამთხვევა!..). წმინდა სალოცავმა და ღვთის მადლმა გაგინათოს გზა, ჩვენო საფიცარო ძმაო. ყოველივე ღვთის ნებაა — მხოლოდ ღირსეულნი შეაღებენ სასუფევლის კარს და ჩვენც გვწამს შენი ღირსების, განსაკუთრებული სიკეთით დამშვენებული კაცური კაცობისა, რომელიც წინ წაგიძღვება.

ბავშვობა და ლამაზი, უზრუნველი წლები შენს საყვარელ სოფელ — კუმისში გაატარე, შემდეგ კი სწავლა თბილისში გააგრძელე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და უმაღლესი საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩაები შრომით საქმიანობაში და დიდი შრომითი, ნაყოფიერი გზა განვლე, საოცარი ნიჭისა და ენერგიის ყმაწვილი იყავი, გვხიბლავდა შენი დიდი შრომისმოყვარეობა და ცხოვრების ღრმა ცოდნა. აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდი. დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიანი წლებიც გადაიტანე, ჯანგატეხილი დაბრუნდი, მაგრამ საქმისათვის არ გიღალატია, კვლავ ცხოვრების შუა გულში ტრიალებდი, ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობდი, კარგი შვილები, კარგად აღზრდილი შვილიშვილები და პატარა ბადიშები გულს გიხარებდნენ. მაგრამ ბედმა მწარეც გარგუნა, სულ ახლახან მეუღლე გარდაგეცვალა და მარტოდ დარჩენილს ცხოვრება გაგიმწარდა, ისედაც, ჩვენი ქვეყნის უბედურებით, გაუსაძლისი ყოფით გულდამძიმებულს რომ ჩაგებძინა, აღარ გაგიღვიძია...

წახვედი ცხოვრების ქარცეცხლში გამოვლილი კეთილშობილი ადამიანი, პირნათლად მიუხვალ შენს წინაპრებს, საყვარელ მშობლებს, ახლობლებს ულალატო და ჭეშმარიტი ქართველი კაცის სახელით.

სამარადისო ხსოვნა და სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა, ჩვენო საყვარელო ძმაო.

დები, მარიამ და ეთერ ზაალიშვილები.



რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ხელმძღვანელობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, კომბინატის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი

სოსო დევდარიანი

პანაშვიდი 17, 18 I 4 სთ. დაკრძალვა 19 I 2 სთ. ქ. რუსთავი, XII მიკრორაიონი, სახლი №1.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან, გულრიფშის რაიონიდან დევნილი, II მსოფლიო ომის ვეტერანი, საქართველოს დამსახურებული ექიმი

ილია ეგნატეს ძე ცანავა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 15, 16 I, თბილისი ვაჟა-ფშაველას 79/182, დაკრძალვა 17 I სოფ. ნახუნაოში, მარტვილის რ—ნი.

ხსოვნა

გურამ ქავთარაძე

ვერა და ვერ შეეთვისა ახალ საცხოვრებელ უბანს. მთაწმინდისკენ, ბავშვობის სახლისაკენ მიმავალს უმტყუნა გულმა.

ქავთარა, — ასე იცნობდა **გურამ ქავთარაძეს** ყველა და არა მარტო ჩვენი სამეგობრო. ინჟინერ-ელექტრიკოსი, თბილისში დაბადებული და გაზრდილი, „ასფალტოვიჩს“ უწოდებდა თავის თავს. მართლაც თავისი ქალაქის მოტრფიალე იყო. ყველაფერს უხმაუროდ, უჩუმრად აკეთებდა თავი ქალაქისათვის, ახლობლებისათვის, ნაცნობ-მეგობრებისათვი

ბევრი შეუწუხებია, მაგრამ არა პირად საქმეზე, ადამიანთა ამ ცნობისა და მათთან ურთიერთობის უჩვეულო ალღო ჰქონდა.

თითქოს ჩქარობდა ცხოვრებას — ყველაფერში გვისწრებ — პირველმა შეირთო ცოლი, პირველს შეეძინა შვილი, შვილ შვილი და შვილთაშვილიც, ხარობდა ჩვენი ბედნიერებით მხარში გვედგა ჭირსა და ლხინში. მისი ფეხბურთის ქომაგო ბის ამბავი ხომ მთელმა ქალაქმა იცოდა, სტადიონი უმისო წარმოუდგენელი იყო. ასეთი იყო ჩვენი და ყველას ქავთარ ვაი, რომ თბილისის უგვირგვინო საპატიო მოქალაქეს — გ რამ ქავთარაძეს, თავად ერთგულ, ულალატო კაცს სწორედ გულ უმტყუნა.

მეგობრე

ზაურ გიგინეიშვილი

საზოგადოება „აბაშელი“ ღრმა მწუხარ ბით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი ს ზოგადოების აქტიური წევრი, ღირსეული ქალაქე და მამულიშვილი **ზაურ ლევანის ძ გიგინეიშვილი**. იგი იყო ჭეშმარიტად დიდს ლოვანი, მაღალი ადამიანური თვისებებით და სიკეთით აღვსილი, სპეტაკი და ხალას პიროვნება. მასთან ურთიერთობა ყოველთვ ქმნიდა თბილ, მეგობრულ განწყობას და აღვივებდა სიყვარ ლსა და ურთიერთპატივისცემას. იგი მომხიბლავი იყო უბრალოებ უშუალობითა და სათნოებით. ის იყო კაცი, რომელსაც სიამო ნებას ანიჭებდა მოყვასის დახმარება და ნუგეშისცემა.

ბატონი ზაურის შრომითი საქმიანობა იყო თავდადებული, მ ყაითი და ერთგული ღვაწლის ნიმუში. სადაც არ უნდა ემუშა რა თანამდებობაზეც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან და ყოველთვ დაუცხრომელი იყო და არ იშურებდა ძალასა და ენერგიას და სრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის. ამიტომა იმსახურებდა იგი განსაკუთრებულ სიყვარულს თანამშრომლებშ

ბატონი ზაური დაიბადა 1936 წელს აბაშის რაიონის სოფელ პირვე მაისში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, თბილისის სასოფლ სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნაყოფიერად მ შაობდა აბაშის რაიონის მეაბრეშუმეობის სისტემაში, მოღვაწ ობდა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, ტრესტ „ინ მშენში“. იგი თბილისში გადმოსვლის შემდეგაც არ მოწყვეტია მშ ბლიურ აბაშის რაიონს. ყოველთვის ცდილობდა, ხელი შეეწყო თ ნამემამულეებისთვის, ახარებდა აბაშელთა წარმატებები და ცდ ლობდა, თავადაც მიეღო მონაწილეობა მათ წინსვლაში.

ბატონი ზაურის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება საზოგად ება „აბაშელის“ წევრებსა და მეგობრებში.

საზოგადოება „აბაშელის“ საინიციატივო ჯგუ

ილია მოწონელიძე

გარდაიცვალა სააქციო საზოგადოება „თბილავტოსერვისის“ მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე, ომისა და შრომის ვეტერანი **ილია დავითის ძე მოწონელიძე**.

ილია მოწონელიძე დაიბადა 1923 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ზედა ღვარდიაში, 1942 წ., სკოლის დამთავრებისთანავე, გაიწვიეს ჯარში, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, იბრძოდა 414-ე ანაპის სახელობის დივიზიაში. დაჭრილი, ინვალიდებული დაბრუნდა ფრონტიდან. 1952 წელს დაამთავრა სრულია საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის მოსკოვის ფილიალი.

1953 წ. მუშაობა დაიწყო საავტომობილო ტრანსპორტის ს ქალისტრის №5 ავტოსატრანსპორტო საწარმოში იურისკონს ლტად. ამ დროიდან მოყოლებული ერთგულად ემსახურებო და იცავდა რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ავტოკომბ ნატის ინტერესებს.

1995 წელს ავტოკომბინატ „თბილვაჭრობტრანსის“ სააქც საზოგადოება „თბილავტოსერვისად“ გარდაქმნის დღიდან გარ დაცვალებამდე იყო მისი მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომა რე. დაჯილდოებული იყო სამამულო ომის I ხარისხის ორდ ნით, მრავალი მედლით და სიგელით.

ბატონი ილია იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, გ ლისხმიერი ადამიანი, პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეუ პიროვნება. ასეთად დაამახსოვრდებათ იგი თავის საყვარე კოლექტივში, სადაც მან 46 წელი იღვაწა.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი ადამიანი, მისი ნათელი ხსო ვნა მარად დარჩება თანამშრომლების, მეგობრების, ახლობ ლების გულში.

სააქციო საზოგადოება „თბილავტოსერვისი“

ვანო ხუციშვილი

კიდევ ერთი „კაი ყმა“ — კაცური კაცი წ ხვედი ჩვენი თაობიდან...

წახვედი კაცი — სოფელი!

ერთ კაცს რომ შეეძლო და ევალებოდა იმაზე გაცილებით მეტი სიყვარულით ეფ რებოდი მშობლიურ მიწას, მისით სუნთქ ვდი და სულდგმულობდი.

ასეთი იყავი, იმედი გვაქვს, მალე გაღვი დება მირაქის ველზე შენგან ჩათესილი სიყვარულის მარცვალი და დღევანდელობით ასე მწარედ გულნატკენი, ისევ გაიხარებ ზეც ურ საქართველოში.

სამწუხაროდ, აღარა ვართ სამი ვანო, ორნიღა დავრჩით...

ახლა უშენოდ ვიტყვით შენს საყვარელ „მშრომელი კაცის“ სადღეგრძელოს და შენი გარდაცვალებით გულდამძიმებულები ფეხზე დავუდგებით შენს ხსოვნას!

ისღა დაგვრჩენია, ვანუგეშოთ შენი ლამაზი ოჯახი და ღმერთს შევევედროთ შენი საუკუნო განსვენება.

ვანო მიყორაშვილი, ვანო გოდერძიშვილი

მეუღლე გურანდა ციციშვილი, შვილები აკა, ლევანი, რძლები ნანა მეგრელიშვილი, ირინა დემეტრაძე, სოფო ბაქრაძე, შვილიშვილები გიორგი, ელენე, შვილთაშვილი აკუნა, ბიცოლა მარიკა ბუკია, ბიძაშვილები ნანა ქავთარაძე, თინათინ ბუკია, სიძეები მალხაზ გორგაძე, ზაზა სააკაძე, მძახლები გურამ მეგრელიშვილი, ალექსანდრე დემეტრაძე, დავით ბაქრაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ ირაკლის ძე
ქავთარაძე

პანაშვიდი 15, 16 I, 4 სთ. გამოსვენება 17 I, 3 სთ. აბაკელიას 9.

თამაზ შილაკაძე ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

გურამ ქავთარაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს პროფესორ ა. ლვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის გინეკოლოგიური კლინიკა იუწყება ღვაწლმოსილი ექიმის

ქეთევან ნიკოლაძის

გარდაცვალებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერების“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გაერთიანების სამასალე და ქაღალდის საწყობის გამგე

სერგო შირანიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ციური კალანდაძე-გიგინეიშვილი, შვილი ხათუნა, სიძე ოთარ ჩხაიძე, შვილიშვილი ქეთევანი, და მერი, ძმა ნოდარი, ცოლისძმა კარლო კალანდაძე, დისშვილები გიზო, გაიოზ მონიავები, ვახტანგ, ქეთინო ხონელიძეები, ძმისშვილები თამაზ, ლევან გიგინეიშვილები, ბიძაშვილი თენგიზ კალანდაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ ლევანის ძე გიგინეიშვილი

პანაშვიდი 17, 18 I, 4 სთ. გამოსვენება 19 I, 2 სთ. თბილისი, დიდი დიღომი, დიმიტრი თავდადებულის ქ. 18, I სადარბაზო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

მეგაკომი

„მეგაკომი“ გილოცავთ შობა-ახალ წელს და საახალწლო საჩუქარს გთავაზობთ:

ათასი ტელეფონის აპარატი უფასოდ

(თქვენ მხოლოდ დეპოზიტის გადახდა მოგიწევთ).

ექვსნიშნა ნომერი; არანაირი კოდი; სწრაფი დაკავშირება

გაფართოებული მომსახურების ზონა;

მაშინ, როცა ყველგან გაზრდილ ფასებს აწყდებით, ჩვენ შემცირებულ და ძალიან ხელმისაწვდომ ფასებს გთავაზობთ

MOTOROLA

წუთის ღირებულება მხოლოდ 19 თეთრი

თუ ტელეფონს 14 თებერვლამდე შეიძენთ „მეგაკომში“, თქვენზე წარმოუდგენლად ხელსაყრელი პირობები გავრცელდება — ადგილობრივი წუთის ღირებულება აღდგომამდე (11 აპრილი) თქვენთვის მხოლოდ 5 თეთრი იქნება.

გაუკეთეთ საჩუქარი საკუთარ თავს და თქვენთვის საყვარელ ადამიანს.

„მეგაკომი“ — პირველი ფიჭური კავშირი.

ჩვენი მისამართია:
- კოსტავას 22 — „მეგაკომი“;
- სამუშაო საათები 10.00-19.00
- სასტუმრო „აჭარა“;
- კაფე-ბარი „ნაციონალი“, ჭავჭავაძის 42;
- სამუშაო საათები 10.00 — 18.00.

დამატებითი ინფორმაციისათვის

დარეკეთ
99-99-99.

ჯი ლაინი

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ზონდო მჟინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საბეჭდით კორპუსში, ხომერაულის 29.